

# კატრი ნიკოლა

როგორც ექიმი

ტ

მის ღრობის ქართველ-კათოლიკენი საქართველოში



ბზილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძის

1896



დაქვეყნებულია ქართული ენის  
კატალიგის — 2  
საქართველოს რევოლუციური  
საბჭოთა კავშირის

# კატრი ნიკოლა

როგორც ექიმი

მ

მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში

37209



თბილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 сентября  
1896 юда.

## პატრი ნიკოლა

ისე მკაცრათ, თვალ-ხილულათ და შორს-მჭკრეტელათით საქართველოს სამეფო საქმეების მიმდინარეობას ეკრავინ გრძნობდა და თვალ-ყურს ადევნებდა, როგორც ქართველკათალიკეთა მოძღვარნი: კაპუცინები, ძმანი იეზუიტების ორდენისა, ფრანცისკოელების, დომინიკიანელების და კარმილიტიანელების. ჩვენს სამეფოს სხეულს ესენი ისე მზერდნენ, როგორც ფსიზელმა კაცმა თავის სასკეს საჩკეში უყურავს. ქრისტიანობის დიდმა პატრივისტებმა დასერგა პატრების გვამში ქართველთ პატრივისტების სიყვარულის სასოება. ამათ იდეკეს თავს ქართველთ მიფარველობა, პატრონობა და გზის ჩვენება, ესენი თავიანთის ძალადის შემძლებლობით დაუხსლოდნენ ქართველთ მეფეებს, უძაღლეს თავადისშვილებს და დაიწყეს მათს განვითარებაზე მეცადინეობა და შრომა. ამათ გაწურთნეს და გამოზარდეს მრავალნი გვამნი ქართველთა, ამათ განავითარეს ვახუშტი ბატონიშვილი და ასწავლეს გეოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელობა, ისტორიის და სხვები, ამათის მეოხებითვე განემეზავრა ერთს დროს ვახუშტი რომში და იქ უნდოდა მას ენახა ვახტანგ ორბელიანი, სან ბაზილის მონასტერში, პატრი ტულუკაანთ დავითა, რომელმაც რომში ქართული წიგნების ბეჭდვა 1733 წლიდან დაიწყო და ზოგიერთნიც სხვა მსწავლულნი მოძღვარნი ლათინთა.

ვახტანგ მეფის რუსეთში გადასახლების შემდეგ ქართლი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, მოწინავე თავადის შვილები და ძველ-მთავრები სულ ამ მეფეს გაჭყენენ უვან, მთელი ქართლი დაცარიელდა, თფილისში დარჩნენ ზოგიერთი ფრანგის

პატრები, რომელნიც მწუსარებით მწყიდნენ ქართველთ საქმეს. 1730 წლებში თფილისში 15-მდე ლათინთ მოძღვარნი სცსოვრებდნენ, ესენი ბევრს გაჭირებულ კაცს აძლეოდნენ შველას და დარიგებას. ნამეტურც ესმარებოდნენ ექიმობის მხრით და წამლებით. იმ დროის მოძღვართ თფილისში ჭქონდათ კარგი საერო სასწავლებელი, საერო სასწავლებლის გვერდით საქიმო სასწავლებელიც და მასთანვე წამალსახანაც.

თფილის გარეშე პატრები მოგზაურობდნენ დასავლეთ-საქართველოში, სამშვილდეში და ასეთ ადგილებში სადაც ქართველნი უძღვდელთ იყვნენ დაშთენილნი, ამიტომ სშირად ქართველთაგანნი გრიგორიანობას უგაკშირდებოდნენ და ზოგიც თათრობას. მოძღვარმა პავლე ბიჭიაშვილმა თრიალეთში გათათრებულ ქართველებთან რომის ტასტს სამოცი კომლი შესძინა და თფილისში ოც-და-ათი კომლი, რომელნიც თათრობასე იყვნენ გადაბირებულნი. მასთან სპარსელების მეხეთი ახლანდელ ძველ მეხეთის ალაგას ყოფილა, სულ ძველათ კი იქ ქართველების მღვთისმშობლის ეკლესია იყო. კასტანგ მეფის რუსეთში განსვლის შემდეგ თფილისში ქართველთ აშკარათ და მოურინდებლივ იწყეს გათათრება, ქართველთ აღარკინ ჭპატრონობდა, მთელი საქართველოს სამღვდელოება კასტანგს გაჭყვა რუსეთში, საქართველო დაცარიელდა სამღვდელოებისაგან, ხალხს გული გაუტყდა, თფილისის ეკლესიები დაიკეტა, ხალხის უმეტესმა ნაწილმა გრიგორიანთ ეკლესიებში იწყეს სიარული. მასთან იწყეს ჩივრასშენის, ნორასშენის და სსკა ეკლესიების შენება. ზოგ ქართველთ თათრის მეხეთში იწყეს სიარული და თათრობა. ლათინთ მოძღვართა ქართველთ საქციელი არ მოსწონდათ, მაგრამ რა მწყიდნენ მათს უპატრონო მდგომარეობას, დიდათ ებრალებოდათ, საიდუმლოთ დარიგებასაც აძლეოდნენ, რომ ქართველთ ქრისტიანობა მტკიცეთ შენასათ და მდგარიყენენ მამა-პაპის სჯულსე. ქართველნი აუწყებდნენ მათ: მამანო! რაფერ შეკინასლოთ ჩვენ ჩვენი სჯული, რომ ძღვდელი ჩვენ არა გყვას, ეპისკოპოსი, ეკლესიები და-

კეტილებია და ჩვენი ბატონიშვილებიც სულ გათათრებულები  
ზრიან. ვატრებმა ბეკრი იმეცადინეს და ქართველ ქრისტიანებს  
ჩასმინეს ქრისტიანობის მნიშვნელობა და სიყვარული.

ვატრების მოღვაწეობის ცნობებმა სპარსეთამდისაც მიად-  
წია და იქ ეს მეფე ერეკლემაც შეიტყო, რომელსაც დიდათ  
ესიამოვნა. მეფე ერეკლემ მასშინათვე დაიხსლოვას სპარსეთში  
მყოფი ლათინთ ვატრები და მათ ვატივისცემას და საუბარს და-  
უწყო. შემდეგ ესენი ისე დაიხსლოვას, რომ უმათოთ კერც  
ერთს საქმის ვითხვას და განდაწყვეტას კერ გაბედავდა. ამ  
დროს სპარსეთში სცხოვებდნენ ძლიერ ბეკრი გათათრებულ  
ქართველ თავადიშვილები, რომელთაც აგრეთვე აღეგრომნათ  
გამში ლათინთ მოძღვართ უძალესი ვატივისცემა. ვატრებმა  
ამათვე ისე იმოქმედეს, რომ ესენი მალე მობრუნდნენ ქრის-  
ტიანობისაკენ. აი ამ დროს გაფრანგდნენ სპარსეთში: ბარათა-  
შვილები, სუმბათაშვილები, ერისთვისიშვილები, ორბელიანები,  
ჩოღაყაშვილები, ენდრონიკაშვილები, ყანდარელი, მანანდარელი,  
ბილანიშვილი, იშხნელი, ჩხვიძე, ჯაყელი, ჯაყელნი ჯავახეთშიაც  
იყვნენ წინეთ გაფრანგებულნი და ბეკრიც სხვები.

საქართველოს ერის მდგომარეობას და ვატრების მოქ-  
მედებს ისე კარგათ ვერაგან მზერდა, როგორც ანტონ კათა-  
ლიკოზი და სპარსეთში მყოფი მეფე ერეკლე, ამის დაუნახა-  
ბა არც შეიძლებოდა, რადგანაც 1739 წლებში საფრანგეთის  
სასულიერო გაზეტებში დიდათ აქეს ეს მეფე, რომის ერთ-  
გულათ აღიარეს. საფუძვლათ ის მოჭყვანდათ, რომ სპარსეთ-  
ში მეფე ერეკლეს თავის მრჩეველათ კათოლიკის მსწავლელი  
ბერები ახლავს გვერდითათ. ეს გახდა კლემენტო პაპის უძ-  
თავრეს საგნათ, რომ ამან საქართველოს ჯეროვნათ დაუწყო ვა-  
ტივისცემა. პაპს დიდათ სურდა და ენატრებოდა საქართველოში  
ქრისტიანობის აყვავების საქმე. 1725—30 წლებში საქართვე-  
ლოდამ ქართველი ვატრები დაწვრილებით აუწყებდნენ ხოლმე  
სხვა და სხვა ცნობებს და მასთანვე საიმედო ნიშნებს, რომ  
ქართველნი რომის ვატივისმცემელნი ზრიან, აქ ქრისტიანობა

არ აღმოიფხვრება. ჰაზმა „პროპაგანდოში“ განასვლა ქართული ენის კათედრა, რომის სასულიერო სტამბაში მოაქებინა ძველი ქართული ასრები, იქ მეოფს გორელს ჰატრს ტულუკანთ დაკითას მიანიჭა სრული უფლება მღვდელ-მოქმედებისა. ეს პირველი მაგალითი იყო, მაშინ საქართველოს შვილთ იშვიათად ეძლეოდათ მღვდლობის უფლება, რადგანაც კშინოდათ, რომ ვაი თუ საქართველოში ამათგან რამე პარტიობა დაიბადოს და ამ საქმემ ქრისტიანობასაც ავნოს—განსაკუთრებით კათოლიკის სარწმუნოებასა. ამიტომ ქართველი გვარის მოძღვრებს საქართველოში არ გზანინდენ, ყოველთვის უცნო გვარისას; რომელნიც ქართულ ენაში იქვე რამში მზადდებოდნენ.

თუ რაგორ განცხადდა რომში საქართველოს ამბები და რაგორ აქტეკდნენ უურადლებას იქიდან საქართველოს, ეს ცხადად აიხსნება იმ გარემოებებისა, რომ გორელმა ჰატრმა ტულუკანთ დაკითამ იტალიურის ენიდან ქართულს ენაზედ სთარგმნა „საქრისტიანო მოძღვრება“ და 1733 წ. რომში, ცალკე წიგნათ დაბეჭდა კლიმენტო პაპის ბრძანებით და დასმარებითვე. იმდენი ცნობა საქართველოს შესახებ რომში არა დროს არ წასულა და იმდენი საკმეველი ლათინთ მოძღვართგან ქართველთა ქრისტიანობის შესახებ არა დროს არ დაკმეულა, რამდენიც მეოვრამეტე საუკუნის დამდეგ დაიკმა. კანტანგ მეფის რუსეთში განსვლის შემდეგ თფილისში განდნენ ლათინთ რიგან მოძღვარნი, ამ მოძღვართ დიდი დაკალება დასდეს ქართველთ, ამით დიდ პარტივისმცემლებათ შეიქმნენ პაღლე მღვდელი ბიჭინაშვილი და ბეჟან მღვდელი მეგრვალიშვილი. რრიგ ეს მღვდლები სპარსეთში იყვნენ სამეოფნი და მაჭმადის სჯულზედაც მიზიდულნი, გათათრებულნი, მაგრამ სპარსეთში მეოფთ ლათინთ მოძღვრებთ ესენი ქრისტიანობაზე მტკიცეთ დაუტოვებინათ. ერცხვინათ გათათრება. პაღლე მღვდელი შემდეგ შეერთებულ იქმნა კათოლიკობასთან და დასაკლეთ-საქართველოში დაბრუნებული, ბეჟან მღვდელი-ვი დაშთა ძველს



სწულზე და სპარსეთში მეოფე პატრებთაგან დახსნილ იქმნა და განთავისუფლებული. ბეჟან მღვდელი რომის ერთგულათ გახდა, მალე საქართველოში — თფილისში დაბრუნდა. თფილისში ყოფნის დროს ბეჟან მღვდელი ლათინთ მოძღვართ გვერდით იდგა და სწავლობდა ლათინურ ენას, სსკა და სსკა მეტნიერებს, ამას ჭქონდა პატარა სკოლა და იქ ქართველთ ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა. საქართველოში მეოფეთ ქართველთ პატიოსანთ და შესემნიდთა გვამთა გარემოებამ მიიწიდა რომის ყურადღება და ბენედიქტე პაპის ბრძანებით საქართველოში მოსულ იქმნენ რამდენიმე ლათინთ მეტნიერ-მოძღვარნი.

ახალ მოსული მამები ქართველთ შვილების გონების ემბაზათ აღმოსხნდნენ, განსხნათლავათ და ექიმებათ. ასეთს მოქმედებას ქართველნი ხამნიც არ იყენენ მათაგან, პატრები ამ დიხსებით ძველათვე იყენენ შენიშნულნი და ქებულნი. ერთი ამ მოძღვართაგანი არის პატრი ივანე, იმ დროის ქართველთაგან — „ლათინთ ხუცეს-მონაზნათ“ \*) წოდებული. პატრი ივანე იყო მეტნიერი კაცი, კარსკვლავთ-მრიცხველი, ანატომი, ექიმი, წამლების მკეთებელი, გლახაკთ მწე, ეკროპიული ენების მცოდნე და ზედმიწევნით ქართული ენის და საქართველოს ისტორიის. პატრმა ივანემ ძველს ფრანგების ეკვლესიის მასლობლათ გახსნა ერთი კარგი სასწავლებელი და იქ მიისმო მოწაფეთ ყველა სარწმუნოების შვილები, მთელი სასწავლებელი გაიხრო იმ დროის ქართველთ და სომეხთ შვილებით, ფრანგის ყმაწვილებიც იყენენ, მაგრამ უფროს მოწაფენი. იმ დროს მეორე პატარა სკოლა პატრებს თვით თავიანთ სადგომის გვერდზე ჭქონდათ, ეკვლესიის მასლობლათ. პატარა ყმაწვილებს პატრები ასწავლიდნენ, პატრი ივანე უფროს ყმაწვილებს ასწავლიდა, რომელთაც შექმდებოდათ სსკა და სსკა სამეტნიერო საგნების გაკება. პირველი მაგალათა იყო საქართველო-

\*) „მზა-მეტყველება“. ანტონ კათალიკონისა.

ში, რომ თფილისში ქართველთ შვილებს აუწყა ჰატრმა ივანემ, რომ დედამიწა ტრიალებსო. ამ განცხადებამ მიიზიდა მთელი თფილისის ქართველნი და მათ შორის სამღვდელთა ზირნიც. მოწაფეებს ჰატრები ჩინებულათ უმარტავდნენ ყველა სამცხნიერო სავგებეს. ახალგაზდანი და თვით სასულიერო ზირნიც დიდის სასოებით ისმენდნენ ჰატრთა მოძღვრებას. ჰატრებმა ძალე დაიწყეს თარგმნა ქართულს ენაზე სამღროთო ფილოსოფიურის წიგნების და როგორც შეეძლოთ, ისე სთარგმნიდნენ რვეულებათ მოწაფეთათვის. ჰატრების წმინდა ცხოვრებამ და შრომამ გაიტაცა თვით საქართველოს უმაღლესი სამღვდელთა.

სასწავლებლის ხარჯს თვით ეს მქადაგებელი მამები უძღებოდნენ, იმ დროის კვალათ ამათ კაი ხარჯი ჰქონდათ, რადგანაც ესენი საყოველთაოთ ქადალდს და მელანს სმარობდნენ, რაც იმ დროს ერთობ ძვირი იყო საქართველოში. ქადალდს მოძღვრები რომილამ იბარებდნენ და სშირად კოსტანტინუპოლის გზით ეღუშებოდათ კიდეც, ნამეტურ ზღვის დეღვის დროს. ქადალდი-კაი არა და, სშირად თვით ეს მოძღვარ მამებიც-კაი იღუშებოდნენ მგზავრობის დროს, გაცარცვას და მტერთაგან თავდასხმას ხომ სშირად სცდიდნენ ხოლმე და ხანდისხან მგზავრობის დროს უკიდურეს მდგომარეობაშიაც კარდებოდნენ. მოსწავლენი ჰატრებს შრომის ფასს თავიანთ სურვილისამებრ გადუხდიდნენ: ზოგს რძე მიჰქონდა, ზოგს ჰური, ზოგს ყველი, ერბო, ზოგს ძროხა, თხა, ცხვარი და ამ გვარები. ჰატრები საჩუქარს მიიღებდნენ და ძროხას, თხას ან სხვა რამ მწველელს თფილისის დარიბ ხალხს ურიგებდნენ, ნამეტურ ჰკრივ და წკრილ-შვილ დედაკაცებს.

ჰატრებმა მარტოთ ეს არ იკმარეს, ამათ იმეცადინეს და თფილისის ქართველ-კათოლიკენი დევნისაგან დაიხსნეს. ამათ მოიზოკეს ის უფლება, რომ კათოლიკეთ დევნა არც სომხებს შეეძლოთ და არც ქართველებს. 1740 წლამდის კათოლიკების სასაფლავო ქადაქ გარეთ იყო, შორს, რაც დიდათ აწუხებდა

პატრებს. სსსთფლავოც ყოველთვის მერყეობაში იყო, სთფლავები დეკნაში. პატრების მერყეობით სსსთფლავს ადგილათ მათ მიეცათ სოლოლაკის მხრისაკენ ადგილები, სანდაცი ამოიხსენებნენ. თფილისში მცხოვრებ კათოლიკებმა სსსთფლავში სმები მატინეს და ყველა კათოლიკს აუწყეს პატრების ამაგი და ღვაწლი არა მარტოთ სსსთფლავში კათოლიკებისათვის, არამედ მთელის ქართულის გარის სსსთრგებლოთ—ღწვა სსსთფლავს გარეშე: სპარსეთში, ოსმალეთში და ევროპის სსსთფლავში იყოთა შორის. პატრების სსსთრგებლო შრომა მარტოთ ფრანგებისთვის არ იქმნა ცხადი, ეს ყველამ კარგათ ნახეს, პატრიარხის შრომის ნაყოფს მოესწრნენ. ქართულებში გახნდნენ შესმენილი კაცები, რომელთაც იწყეს ევროპული სწავლა-მეცნიერების მიმდევრობა. ბევრი რამ შეისწავლეს ამით პატრებისაგან.

რომ ყოველივე მართალია პატრების შესახებ, ეს ცხადათ სხანს იმ გარემოებამაცა, რომ ოდესაც კასტანჯ მიუემ სსსთფლავ დავადო და თავის სსსთფლავს და სეროს დიდებულებით რუსეთში გადასახლდა, მის მცირე ხნის შემდეგ პოლშის მიუესთან ქართულოთ დეპუტაცია გაიგზავნა, რომელთაც წაიღეს მიერფასი სსსთფლავები და პატრებისაგან პოლშურათ დაწერილი კარგი თხოვნა კავშირის ჩამოგდებისათვის. დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს პოლშელ მოგზაურ მოძღვარს იეზუიტს კრუზინსკის, ამან ბევრ გზის ნახა ქართული ბატონიშვილები სსსთფლავსა თუ სპარსეთში და ბევრი რამ დარეგებაც აუწყა მათ სსსთრგებლოთ ქართულოთ გარისა.

პატრებთ შორის მსწავლულ პატრმა ივანემ დიდი ყურადღება მიაქცია თფილისში მცხოვრებ ქართულოთ და კათოლიკეთა ღარბათ ცხოვრებასა, — ამის მერყეობით ჟვარის-მამის ეკლესიის ზეთ, სანდაცი მათი ძველი ეკლესია იყო და რომელ ეკლესიის შენობა დღეკანდღამდერ არის დაშენილი, მის მახლობლივ გამართეს კრდომილთათვის თავშესაფარი ბინა, ნამეტურ სნეულთათვის. ამას გარდა კათოლიკობაში ღარ-

სეს კათოლიკეთა მტკიცე „ძმობა“, რომელ ძმობასაც უნდა მტკიცეთ და შეერთებულის ძალით ემეტადინა, რომ საქართველოში ძეგოთ და დაბებში მცხოვრებთ და ობლათ ყოფილს კათოლიკებისთვის დასძარება მიეტათ ქონებრივის ძალაჯნობის მხრით, ნამეტურ დეენულების დროს. ამ დროს ეკუთვნის გორისკენ რამდენიმე ოჯახის გაფრანგება. ზუბალაშვილების გაფრანგებაც ამ დროს მიეწერება, ერთი ამ გვარის წევრთაგანი გორის პატრებთან აღზრდილა, მწიგნობარი კაცი გამოსულა და იქამდის გასახლავრებულა, რომ მეფე ერეკლეს მისთვის ჯერჯანი პატივიც მიუცია.

ძაშინ ოსები არათუკს სჯულს აღიარებდნენ, მათში ქრისტიანობა ძველათვე დაეტა. მათზე დასავლეთ-საქართველოდამ და შავი ზღვის ნაპირებიდან ოსმალებს უჭირათ თვალთ. აქ თათრობა უკვე დაწყობილი იყო. გორის ეკკლესიის ფრანგის პატრებმა ეს ამბავი კარგათ იცოდნენ, იგინი დიდათ სწუნდნენ ოსებში ქრისტიანობის აღმოფრის საქმეს და მანძიდიანობის გავრცელებას, ამათ დიდათ სურდათ ოსეთში კათოლიკობის შეტანა და გავრცელება, რადგანაც ამათ გაქრისტიანების ნატრასს საბა ორბელიანისაგან წარდგენულს პირობის წერილშიაც უკავია ადგილი, რომელიც მან საფრანგეთის კოროლს ლუდვიკს წარუდგინა. მაგრამ საუბედუროდ, პატრებს ამის საშუალება ვერ მიეტათ, გაუძნელდათ, რადგანაც რომის ტახტი ძაშინ დაბანდებული იყო შინაურის საქმეებისაგან. ოსეთი დარჩა უპატრონოთ, იქ მანძიდიანობა აღორძინდა. საცა მანძიდიანობა ვერ გავრცელდა, იქ ოსები თხის თავის პატივისმცემლათ გარდიქნენ. ისიც ცხდათ ვიცით, რომ გორის კათოლიკეთ ეკკლესიის მახლობლათ ლათინთ მქადაგებულთ მოძღვართ „ძმობა“ არსებობდა და ამ მოძღვარ მამებმა გორიდან აქა-იქ მგზავრობაც დაიწყეს, ოსეთში პირველათ ამათ ცხინვალის მხრით შესდგეს ფეხი, გორის შემდეგ მეორე ბინა ცხინვალში უნდა დადგინათ, ცხინვალში 1760 წლებში კათოლიკეთ ეკკლესიაც აღშენდებოდა, რომ 1753 წლებში თფილისის კათო-

ლიკებს თეიმურაზ მეფის და ზოგიერთ ქართველთაგან რისხვას არ მოკლენოდათ. ოსეთში 100 კაცამდის იქმნა ჰატრებთაგან გაჭრისტიანებულნი და ამათ უმეტესი ნაწილი საცხოვრებლათ ცხინვალში იქმნენ გადმოსულნი. ცხინვალში მყოფ ქართველ-კათოლიკეთ რიცხვს რუსეთის მთავრობაც მოესწრო, ამის ცნობებს მცირეთ კაკასიის აქტებშიაც უკავიათ ადგილი.

თფილისის და გორის ქართველ ჰატრებთაგან ქართველთ მრავალი ემსწილეები იქმნენ გაწვრთნილნი და განკითარებულნი. სხეჭთა შორის ყოფილა ივანე ორბელიანი, დიდი მეტრევე სიბრძნე-მეცნიერებისა, ჰატრებთაგან გაწვრთნილი, უკანასკნელ ჰატრების რჩევით რომშიაც წავიდოდა, მაგრამ სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეუშალა. ამან სთარგმნა ლათინურის ენიდამ „წიგნი სარწმუნოებისა“, სადაც დაიფარა ჰატივი რომის ეკლესიის და ჰაპისა. ჰატრების მეოხებითვე გაიწურთნა სარდიონ ხოლასყაძელი, რომელმაც შემდეგ ქართულ ენაზე სთარგმანა „დიდი არიხმეტრია“ თავისი თფიურებით, ამათსავე დროს ითარგმნა ლათინურის ენიდამ „ცის ქმნილების წიგნი, ვარსკვლავთა, ზოდთა, პლანეტთა, რომელსა შინა მრავალი თფურა არს დასახული“. ჰაატა ბატონი-შვილის გაწურთნაც ხომ ამათ მიეწერებათ, და თფილისის სომეხ მოქალაქეთა შვილებთა რიცხვი ხომ დიდია, რომელნიც ევროპაში გაიღინენ სასწავლებლათ და რომელთა ზომაც ბერძნი რამ ხელობა და ცოდნაც შეიძინა, საქართველში მოსვლის შემდეგ ყველა ეს ცოდნა თფილისში მოიტანეს, ვითარცა შმოკანის შვილმა, რომელმაც, მსწავლა ხატვა და ხაზვა, და რომელმაც თფრადის წამლებით დახატა ქალაქ თფილისის ჰლანი მეფის ირავლის თხოვნით. ჩვენ აქ ასეთ პირებს ყველას ვერ დავასახელებთ.

სამხედრო და სახელმწიფო მეცნიერებათა შესახებაც ამთგან ითარგმნა ვრცლათ წიგნები და მოიფინა საქართველოს მწიგნობრებთ შორის. მეცნიერების საქმე საქართველში ისე დატრიალდა, რომ ეინც-ვი ქართველთაგანი სიბრძნის მოყვარეობას

დაიწყო და, იმას მაშინ: თუკი იკრანგს დაუძახებდნენ. მიზეზი ამის ცხად არს. ამბობს ივანე ხელაშვილი \*) — „რადგანაც საქართველოში მეცნიერი პატრები საფრანგეთიდან მოდიოდნენ“. ერთ დროს გიორგი მეცამეტეს სადაო კითხვით გაუხდა: „რომ ქვეყანა ტრიალებს“, ზოგნი ასე აწმუნებდნენ მეფეს, და ნამატურ გორის პატრი ყოველ ნაირს საიდუმლოებას დედამიწის ტრიალის შესახებ ახსნით უმტკიცებდა, მაგრამ მეფეს არ სჯეროდა, არ სჯეროდათ მსწავლულ ქართველთაც, ამით ეტყუადა ხოლმე მეფე: რა კქნა, არ იქმნა, ვერ დაგაჯერე პატრი, რომ მზე და მთვარე ტრიალებს და არა დედამიწა, წადით შვილო და პატრი დააწმუნეთ, რომ დედამიწა დგას და მზე და მთვარე ტრიალებსო. მაგრამ რას არ მოიგონებენ ეს ფრანგები, ყველაფერს — რაც-კი წარმოუდგენია კაცის გონებისაგან.

მაგალითსაც მოკიყვანთ: ბატონიშვილების ქართულ ძეგლი წიგნების წიგნთ-საცავში მოიპოვება „არიფმეტიკის ამიცანის წიგნი“, რომელ წიგნსაც სსკა და სსკა ადგილას აწერია შემდეგი: — „ქ. 1727 წელსა, აპრილის 17-სა, მიკებაზე ლათინურის ენის სასწავლოთ ღამბერთას. 1727 წელსა, ქრისტეშობას მიკებაზე ბაროკეტოსა სასწავლოთ არქიტექტურისა, მილოტერიისა და არტილერიისა, ფრანციტულის ოსტატს მიკებაზე 1727 წელს, მარტს. ქორწილი მოხდა 1729 წელს, ღამბერთას მივე სასწავლოთ ერთს თუძანი, ქ. ფრანციტული წიგნი ვიყადე, — მივე სამი შაური; უწინდელ ფრანციტულ ოსტატს მივე სამი შაური, ანდრია დაიბადა 1730 წელსა, პეტრე 1732 და 1734 წელსა პარშა, კასილი 1736 წელსა.

ჩვენს ისტორიულს მწერლობაში ფიქრობდნენ, რომ აქ მოხსენებული ნასწავლი ღამბერთო უნდა იყოს ღამბერტი, მოძღვარ მოგზაური, რომელმაც საქართველოში XVII საუკუნის იმოგზაურსა, სამეგრელო მრავალ ნაირათ ასწერა 1620 წელს და მისი აღწერა რამდენ გზისმე დაიბეჭდა ევ-

\*) კალმასობა: ივანე ხელაშვილისა. გამოც. 1895 წ.

როჰაში და 1650 წელს ნეაპოლშიაც გამოიცა. ამ პირთა შესახებ ცნობები საეკლესიო მიგვაჩინია, რადგანაც დროის განმავლობა ერთობ დიდია. 1615 წლებში ლამბერტი სამეგრელოში მოდის და ნუ თუ ეს 1734 წლამდის დაჩნებოდა, ამდენ ხანს განა იცოცხლებდა. ჩვენ ეს ლამბერტი სხვა მსწავლულ მოძღვარ პატრათ მიგვაჩინია, ასევე ბაროკეთა, ორივე ესენი არიან მოგზაურ მოძღვარნი, მსწავლულნი გვამნი XVIII საუკუნისა. ამას თქვი არ უნდა, საფრანგეთის ძველ მოძღვართა სამხედრო სწავლაც კარგათ იცოდნენ და არსიტუკტურაც სომ მათი ხელობა იყო. საქართველო XV II საუკუნის შემდეგ პატრებით გაივსო, აქ ესენი მოღვაწეობდნენ ქრისტიანობის სიბრალულის მეოხებით და ლამბერტი და ბაროკეთიც რომ ყოფილიყვნენ ჩვენში, განა ამას ეჭვი უნდა რამისა, მაშინდელ ყველა მოძღვართ ცნობებს რომ მოკლწია ჩვენ დრომდის, დღეს ცხადთ გამოხსნდებოდა მათი შრომის ისტორია, მათი ღვაწლი საქართველოს ერის წინაშე, ღვაწვა და მეცადინეობა ქართველთ შვილების განსანათლავათ. ეს მოძღვარ მამები რომ ქართველთათვის უნგარო მუშავნი და მასწავლებლნი იყვნენ, ამას არავინ ძალავს ჩვენში, თვით ქართველი ალ. ცაგარელიც-ვი სწერს, რომ საქართველოში პატრები სამრეკლო სკოლებს სსნიდნენ და მის მეოხებით ანათლებდნენ ქართველთ შვილებსაო. ასევე მოიხსენა სომეხთ ისტორიკოს ანქელოგმა ალ. კრიცოკმა, რომ საქართველოში ფრანგის პატრებს დიდი სარგებლობა მოჰქონდათო, ეკოპიული მეცნიერების მისეკდრა ამათ შემოჰქონდათ საქართველოში, ყველა რიგიანი ბატონი-შვილები და მწერლები ამათი მომხადებულები და განსწავლულები რიანო\*). სხვა სახსარი ქართველთ არა ჰქონდათ-რა განვითარების მისაღებათო. ეს ჭეშმარიტია, თვით პატრებსაც ქართველთ განვითარება და სწავლა დიდათ ენატრებოდათ, ეს ცხადათ მტკიცდება იქნადაც, რომ ვასტანგ მეფის საქართვე-

\*) Католицизмъ въ Грузіи. А. Ерицова, 1891 г.

ლოში სტამბის გასსნის ასის წლის წინეთ ამათ რომში გასსნეს ქართული სტამბა და წიგნების ბეჭვდაც დაიწვეს.

ზატრებთ მორის ეგეღასუ ჩინებულათ იღვწოდა ჰატრი ივანე, ამ მოძღვარმა დიდი გაკლენა იქონია ანტონ კათოლიკოზს და ბეკს კიდევ სსკა უმაღლეს სასულეირო პირებსე. ანტონ კათოლიკოზს პირველათ ამან გაუსსნა გზა მეცნიერებისა, პირველათ ამან ასმინა მას მეტაფისიკის მნიშვნელობა, ფილოსოფიის, ფისიკის, ლათის-მეტეჟელების, ბაჟმისტერის ფილოსოფია და სომსუნიდამ რეტორიკა ამ მოძღვრის მეოხებით და დაწიგებით გადმოითარგმნა ქართულს ენასე. ივანე ჰატრი დიდათ ჰატრეცემულ იყო ქართულთ დიდებულთაგანა, თვით სამღვდელო პირთაგანაც. ამან მრავალ გზის სწერა ისტორიული წერილები საქართველს შესახებ და გზავნა რომში მოსსენებათ. ამის წერილები ზოგი იმ დროის რომის და საფრანგეთის სასულეირო გასეთებშიაც იბეჭდებოდნენ. ეს ჰატრი იმოდენათ მოსერსებულ იოფილა ქართულს ენაში, რომ მთელი წლის წირვის ქადაგებანი ჰქონია ქართულათ მომზადებული. ივანე ჰატრის ქადაგებს ესწრობოდნენ სოღმე დიდი გვარის თავადნიც-კი და სშირათ ბატონიშვილებიც. ვოიქრობთ, რომ ანტონ კათალიკოზს ქადაგების შნო და ტრფილაც ამათ ჩაუნერგეს. ჰატრებს ქართველთა წინაშე ისე სუფთათ და ზრდილობით ეჭირათ საქმე, რომ ამათ ჰატრის მცემლები იყვნენ თვით ბატონის ქალებიც \*).

ივანე ჰატრმა, ამის ძმებმა და შემდეგ დროის ჰატრებმა ჰადუელმა, ანტონმა, ანდრეამ და სსკებმა მარტოთ ის არ იკმარეს, რომ მათ თფილისში ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა შეილთათვის გასსნეს სასწავლებლები, შემოიტანეს და განაგრცეს ფრანგული ენა, ლათინური, პოლშური, სსკა და სსკა მეცნიერების სწავლა, ავთიეჟი გასსნეს, საეჟიმო სასწავლებელი, ამ სასწავლებლისთვის მოიზოვეს ყურის კარაბადინი,

\*) ანდერძის წერილი, 1871 წ. „ცისკარი“.



თვალის კარხადაინი, ცხენისა, ქორისა, ათასუნჯისა, ჭრილობისა, ანუ ჯარა ექიმობის(სირურჯია), ძველთაგან ზატრებთაგან ნაკურნაუწათი ნაწერი „კარხადაინები“ განისილეს, შეაკესეს, განარსეს და ამით წამლობაც დაუწყეს ეს, ამას გარდა ესენი აგრცულებდნენ რიგიანათ ბებობის ცოდნასაც, ამათსავე დასძარებით თფილისში დაასდა სნეულთა და გუტთა სამათსოკრე და სარჩენო სახლი, ამ სახლში იღებდნენ ყველა სარწმუნოების კრდომილთ და შეუძლოთა, ექიმობდნენ, წამლებს თვით ზატრები აკეთებდნენ, იარებს ჰბანდნენ, ზედ წამლებს უსომდნენ, სავათმყოფოში უგლიდნენ. ყველაფერს და ყველა კრდომილს უწევდნენ ექიმობას უმაღლეს პირებთან, ესენი მათში სზობდნენ შფოთებს, შურს, ძტრობას და განხეთქილებას, ასეთისავე ცოდნით და მიხვედრით სწურთავდნენ თავიანთ სკოლის მოწათებს. მოწათებეიადამ არჩევდნენ, რომელთაც სურვილი ჰქონდათ ექიმობის სწავლის, წამლების კეთების და ამათ ყოველთვის თან იტარებდნენ. სამლო საგნებს გარეშე ექიმობაშიაც ამზადებდნენ, მოძღვარნი ისე უნგარათ იღვწოდნენ ქართველთათვის, რომ ესენი ავათმყოფთა და დავრდომილთათვის კვირში ორ ძროხას ჰყავდნენ, სოცრ შეუძლოებს და ავათმყოფებს ურიგებდნენ და აჭმევდნენ და თვითონ ჯიგრით იკვებებოდნენ, ისე წყნრათ ეჭირათ საქმე, ასე უბრალოთ სცხოვრებდნენ!

მრავალ ნაირათ დაწყოფულებულ ქართველთ ცხოვრება ზატრებს არ მოსწონდათ, ამათ დიდათ სწყინდათ ქართველ ერის დაქვეითებული ცხოვრება და უძეტრება, ესენი მოქმედებდნენ ამის წინაღობეგ, მაგრამ საერთოთ-ვი ვერას აწყობდნენ. ცოტა არ იყო ქართველთ და სომქსთ სამღვდელთაგან ამათ შესახებ ზინზლიც კრცულდებოდა ხალხში, ამბობდნენ მრავალნი: თავიანთ კათოლიკებს უზატრონონო, ჩვენგან რა უნდათ, ჩვენ მრევლს დაქსნანო. ჩვენ არაფერი გვინდა მათიო. საყვედურებს ზატრებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს, ესენი განშორდნენ ქართველ-სომქსთ სამსახურს და მარტოთ კათოლიკების შვილებ-

ბის სამსახურს მიეცნენ, ე. ი. თავიანთის მრეკლის. ამათ უპირ-  
ველესად შეადგინეს ქართველთ მოძღვართა ძმობა, ეს საქმე  
საქართველოში პირველი მაგალითი იყო. თფილისში და სრუ-  
ლიად საქართველოში არ თქმულიყო და არ გაგონილიყო  
„ძმობა“. ძმობის წვერთ რიცხვში მოჭყენენ მრავალნი დიდუ-  
ბულნი გვარის გვამნიც ქართველთა. ესენი იღებდნენ მონაწი-  
ლეობას ძმობაში. ძმობის მიზანი დაისვენებოდა შემდეგში: სა-  
ქართველოს რომის კათოლიკე მოძღვრებმა უნდა ეცადონ, რომ  
ქართველ-კათოლიკენი შეახვიონ წერა-კითხვას, რომ ყოველ  
კათოლიკის შვილმა ქართული, ლათინური და ფრანგული  
კითხვა იცოდეს. ვატრები შრომობენ, რომ ქართველ კათო-  
ლიკენი ვაჭრობასაც შეახვიონ, ვაჭრობის გარდა ზოგი ერთი  
მათგანი წასასაღისონ და ევროპაში გაგზავნონ სწავლის მისა-  
ღებათ, რომის „პროპაგანდაში“ წავიდნენ ის ქართველ-კა-  
თოლიკენი, რომელთაც მომავალ ცხოვრებაში სასულიერო წო-  
დაებაში შესულა ესურვილებათ, სხვა და სხვა ქალაქების სა-  
ერო სასწავლებლებში ის პირნი წავიდნენ, რომელთაც საერო  
სწავლის მიღება ესურვებათ. ევროპაში სწავლის მიღების შე-  
მდეგ კათოლიკენი ბრუნდებიან საქართველოში და აქ შემოაქვით  
ის ხელისნობა და ცოდნა, რაც იმათ იქ შეუსწავლიათ.

კათოლიკენი და მათი მოძღვარნიც საერთოთ ცდილობენ,  
რომ ქართველ კათოლიკენი ცხოვრებით გაუმჯობესონ, ცოდ-  
ნით დააწინაურონ: ქართველ-სომხებისაგან იგინი მისაბამაკათ  
გახდნენ, რომ სთქვან: კათოლიკეები ჩვენზე უკეთესათ სცხო-  
ვრებენო. მისაბამაკა იქმნეს ამათი ცხოვრება და მასთან მთე-  
ლი კათოლიკობაც — სარწმუნოებაც. ვატრებმა კარგათ: სცნეს,  
რომ ჩვენ თუ ჩვენი მრეკლის ცხოვრება სხვებზე უკეთეს მდგო-  
მარობაში არ მოკათაკსეთ, მაშინ ჩვენი შრომა უბრალე იქ-  
ნებაო. ვატრებმა დაიწყეს შრომა და მეცადინეობა ერის სასა-  
რგებლოთ და ამათ მალეც მიადწიეს თავიანთ მიზანს. მცირე  
ხნის განმავლობაში ამათ ფეხზე დააყენეს ქართველ კათოლი-  
კეთა ცხოვრების საქმე, მრავალ ამათგანნი რომში გაგზავნეს

37209

სასწავლებლათ, მრავალნი ეკრძის სსკა და სსკა ქალაქებში. რამდენაჲე სნას განსაკუთრებაჲი ესენი შეასვიეს სწავლას, მოგზაურობას, კაჭრობას, ცხოვრებაში ანგარიშს რომის, თკალსაღუელათ მოქმედებას და ბეგრსაც სსკა რამეებს. ეკრძაში ყოფილნი ქართულ კათოლიკენი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეძლეოდნენ ქართულ სომხებთან გარჩევით, უკეთეს ცხოვრებას. უკეთესათ მოქმედებას და აღორძინებას. ესენი მალე გაიძინენ ქართულ-სომხებთან. ქართველ-კათოლიკენი მალე გასდნენ მისაზამკათ ქართველთა და სომხთათვის. ეს დღესაც ისევე ისეა, ქართველ კათოლიკენი დიდათ განიჩქევიან სომხებსა და ქართველთ ცხოვრებასაგან. ვისაც-ვი თვალი აქვს, მან შესედოს მათ და იგი ამაზე ცხადათ დარწმუნდება, სჩახს, რომ მამობრიულს სამღვდელობას ერში ასეთი სამსახურის გაწევა შესძლებია. ამას რაღა ფაქრი უნდა. ამაზე მე ვითსოვ ქართველთაგან დაფაქრებას და საქმის გარჩევას. ქართველთ ზატრებთ მოქმედება დიდს სასელმძღვანელოთ უნდა დაშთეს ქართველთათვის.

ასე შრომობდნენ ქართველ გვარის სასარგებლოთ მექართულე ზატრები, ასე დაუღალავათ იღვწოდნენ და მით ქართველთა გვარსაც ამდიდრებდნენ. ამათი შრომა და ღვაწლი მეტათ ნაყოფიერი იქმნებოდა მოქალაქეებში, მეტათ სასარგებლო და ქართველთათვის წინ წაშეყვანი. ქართველთა გვარის სასარგებლოთ ზატრები სსკა ფრივაც მოქმედებდნენ. მგალითებრ ესენი სშირათ აწყნარებდნენ სპარსეთის აზვაკებულ ხანების დროს გულის, ესენი ამჟიადებდნენ მათ და საქართველოსაც იხსნიდნენ განსაცდელასაგან, ასევე აწყნარებდნენ სშირათ ოსმალს ფაშებსაც, რომელნიც ქართველი მოსამზღვრეთ იყენენ და საქართველოზედაც სშირათ ნაკარდობდნენ სოლმე. ამათ ბევრჯერ დაუწყნარებიათ სასაღვინის ფაშები. 1713 წ. სასაღვინეში დაახრჩეს საქვეყნოთ ელისე არქიმანდრიტი, ამ დროს ზატრები სასაღვინეში არ იყენეს, თორემ ესენი დაიხსნიდნენ მას. ესენი სოფლებიდან მალე დაბრუნდნენ სასაღვინეში და



როცა გაიგეს ელისე ქართველთ აჩქიმანდრიტის საქვეყნოთ  
თოკით დასრულება ოსმალთა სულთანის ბრძანებით, დიდათ  
შესწუხდნენ, მაგრამ რაღა იქნებოდა, უბრალოთ ჭილობში წა-  
გრგნილი გვაში მოიძევეს და კათოლიკის წესით დიდის ამ-  
ბით და ტერემონით ახალციხის ქრისტიანების სასაფლაოზე  
დაასაფლავეს. ეს მოახერხეს პატრებმა იქ, სადაც ვერც ერთ  
ქართველმა სიტყვაც ვერ სთქვა ელისეს აჩქიმანდრიტის და-  
სრულების დროს. ასეთი შინა ჭქონდათ ამ მოძღვრებს, ასეთი  
ოსტატები იყვნენ, ესეთი მოქარგული ენის და ჭკუის მო-  
ძღვრები.

ქრისტიანობის მოკვლევობის მეოხებით ესენი სასტიკათ  
სწურობიდან ქართველთ კათოლიკებს და თან აუწყებდნენ მათ  
ქართველთა მეფის ერთგულებას, პატივის ტემას და სხვანი.  
თვითონაც უცხო სახელმწიფოებს კარგათ უმზერდნენ და მათ-  
ში რასაც-კი შეამცნევდნენ ქართველთა საგნათ რამე მოსაზრე-  
ბას, ან ტნობას, იმას მაშინათვე საქართველოს მეფეებს ატყო-  
ბიანებდნენ. ასეთი საქმეებითაც დიდი სამსახური და ღვაწლი  
მიუძღვისთ ქართველთა წინაშე, სულ ამათი მეოხება იყო, რომ  
მეფე ერეკლეს დროს, ახალციხიდან აღმოსწინდა ძველის ძველ  
აზნაურის გვარის შთამომავალი ბასილა ხურსიძე, ახალციხის  
ციხას კარის ზედამხედველი. ოსმალურად „ისარლათ“ ხმო-  
ბილი, შემდეგ გვარათაც ისარლოკებათ წოდებულნი, დღეს  
ისარლოკები. მოგესხენებათ, რომ ხურსიძე მეტად ძველის  
ძველი გვარია, ესენი მოხსენებულნი არიან „ქართლის ცხო-  
ვრებაში“ ანდრია მოციქულის დროს, და როგორც მეტად  
ძველის ძველი აზნაურნი სამცხისა გახუშტის გეოგრაფიასა  
მოხსენება ეს გვარია. ესენივე მოხსენებულნი არიან „სა-  
თაბაკოს მღვდელ-მთავართა „სიაში“. მაგალითებრ წურწყობე-  
ლის კათედრის სამწყურს შეადგენდა ის ადგილები, რომელიც  
ხურსიძის (ისარლოკები) სახლს ეკუთვნოდა. ე. ი. მტბეკარის  
და წყაროსაჲს კათედრები: სამწყურს შესა\*<sup>\*)</sup>. ხურსიძეები

\*) ვახუშტის გეოგრაფია, 1814 წ. პეტერბურგი.

რსმაღლთაგან სამცხის დაპყრობის შემდეგ დაშთნენ ჟაკასეთში, აქ ამით კათალიკობა მიიღეს, რადგანაც რსმაღლთაგან კათო-  
რებს ელოდათ. ესენი დაშთნენ რსმაღლთა ხელში, მაგრამ სული  
და გული-კი თავიანთ მეუკებისაკენ ჰქონდათ. პატრების მე-  
რხებით ამით წინაპართ დიდი ნატურა ჰქონდათ, რომ სამცხე  
კვალინდებურათ დაკავშირებოდა საქართველოს, ეს ენატრებოდა  
დიდათ ბასილა და ლუკას ისარლოკებს, რომელნიც ახალციხი-  
დამ კაჭრულის სახით და რსტატობით ქართლში გადმოდი-  
ოდნენ და თავიანთ მეუკსთან გადმოჰქონდათ რსმაღლთ ყველა  
ის ცნობები, რაც-კი ქართველთ სამეფოს საწინათ და დასა-  
ღუშათ მზადებოდა ფაშებთ შორის. რსმაღლეთშიაც ამით ისე  
რსტატურათ ჰქონდათ დაკავებული საქმე და ისეთი უზინა-  
ტესობა ჰქონდათ მინიჭებული\*), რომ ესენი საქართველოს  
სამზღვრებზე მეფეთ რსმაღლთა ფაშების საიდუმლო განძრახუ-  
ლებასაც ყოველთვის ადვილათ ტყობულობდნენ. ამ გვარის  
ცნობა და სხვების გვარებისაც მითომ მომყავს, რადგანაც დღეს  
მრავალთათვის ხდება საეჭვოთ, რომ თითქოს ქართველ-კათო-  
ლიკენი საქართველოში არც-კი არსებობდნენ.

ქართველთ პატრების მოქმედება ბრძენ ქართველთათვის  
მისაბძაკი შეიქმნა და როცა ანტონ კათალიკოსი იმერეთიდან  
ქართლში გადმოვიდა, ეს ყველასე უწინარეს პატრებს დაუმი-  
გობრდა, მაშინ ანტონ კათალიკოსი ანჩხატის გალანის სა-  
სახლეში მდგარა. ამასთან იწყეს ფრანგის პატრებმა მისკლა-  
მოსკლა და წავრეთეე თფილისში მეფეთ სომხის გვარის  
მწავლულ მოძღვრებმა, რომელთაც სწავლა რომში ჰქონდათ  
მიღებული, ერთი ამასტონი ყოფილხე მოძღვარი, კარგათ  
მცოდნე სომხურის და რსტატობის ენების და მწიგნობრო-  
ბის, ზაქარია სომეხ-კათოლიკის მოძღვარი, რომში გაზრდილ-  
განსწავლული. ანტონ კათალიკოსი დიდის გულს მოდგინე-

\*\*) 1731 იხილეთ მ. ბაგრატიონის აღწერა, სადაც ხაგან ბოდებული მათი გვა-  
რის გუჯარტი. ამით შესაძლებელია, რომ ესენი იყვნენ, დაუბეჭდავი.

ბით იწეო ლათინური ენის და მწერლობის შესწავლა. ჰატრი ივანე, ნიკოლა ჰირველი, ბონოკენტო და ჰადუელი დიდის შრომით ასწავლიდნენ ანტონ კათალიკოსს ყველა მეცნიერებას. ამით გაუხსნეს მას კარი ყველა მეცნიერების მისკედრისა. ანტონი მეცნიერებათა მისკედრის მეოხებით გაცნობილი დაშთა. ჰატრებს მოსკენებს ადარ აძლედა. ესენი მუდამ დღე იკრიბებოდნენ ერთად და საუბარი ჰქონდათ სსკა და სსკა სამეცნიერო კითხვებზე. სშირათ ესენი სსკა და სსკა მღვდელმთავრებსაც მიისმობდნენ სოლქე და ყველასზე სშირათ-გი დოსითეოზ ნეკრესელს, გვარათ სერქეზისშვილს, კაცს მეტათ ბრძენს, მქადაგებელს, ლათინური, ბერძნული და სომხური ენების კარგათ მცოდნეს, ლათინურის და სომხურის ენიდამ ქართულს ენაზე მრავალ წიგნთა მთარგმნელს.

დროის განმავლობის და სამეცნიერო შრომა-მეცადინეობის მეოხებით ანტონ კათალიკოსი და ჰატრები ისე დაახლოვდნენ, რომ ამით თავისუფლათ დაიწყეს სჯა ზოგიერთ რთულს კითხვებზედაც, ამ დროს ანტონ კათალიკოსი უკვე ისე იყო მომზადებული და განსწავლული, რომ ჰატრების მეოხებით იგი სსკა და სსკა სამეცნიერო წიგნების თარგმნასაც შეუდგა. ერთ დღეს ივანე ჰატრთან თათრებისაგან საქართველოს შეწუსების გამო სიტყვა ჩამოვარდა. ჰატრმა უთხრა: ქართველნი რომ რომის ეკკლესიას შეუერთდნენ, მაშინ მთელი ევროპის სასელმწიფოები დაესმარებიან ქართველებს და ოსმალ-სპარსებს ნებს ან მისცემენ ქართველთ ქენჯნისას. ქართველთ სამეფოს გააძლიერებენ და ალაყაყებენ, ამას ეტვი არ უნდა. ჰატრების რჩევა ანტონ კათალიკოსს დიდათ მოეწონა და ამან გულში განძრავა ფრანგობა. იფიქრა, რომ მე მივიმსრობ სსკა და სსკა მღვდელმთავრებს, ჯერ ჩვენ გააფრანგდებით, მერე ჩვენ მივირიდავთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს და რავი ამთაც დავიყოლიებთ, მერე მთელი ერიც ადგილათ წამოვა ჩვენსკენა. 15 წლის განმავლობაში, საქართველოს ერი რომის მომხრე იქნებოდა. ანტონმა მალე განუცხადა თავის ჰაზრი ზოგი-

ერთს მღვდელ-მთავრებს. ზოგიერთებს მოეწონათ და ძალეც მიემხრნენ, მაგრამ მკაცრ წინააღმდეგთ შორის წინააღმდეგათ აღმოჩნდა საბა ნინოწმინდის ეპისკოპოსი და ზაქარია მღვდელი, გაბაშვილი, მამა ჰოეტის ბესიკისა. კაცი ძველათ წოდებული, როგორც „ღმერთ ოცნებული და გონება ასურასტენილი“, ამათ მიიმხრეს მრავალნიც სხვა უმადლეს სამღვდლო პირნი და ესენი დაიწაფნენ სასტიკათ ანტონ კათალიკოზის წინააღმდეგ. ზაქარია ღმერთის შესახებ მე კიტყვი, რომ იგი „ღმერთ ოცნებული“-ვი არ იყი, არამედ ჭკობით იყო ოცნებული და დაბნელებული. ამათ დააბეზდეს ანტონ კათალიკოზი თეიმურაზ მეფესთან, რომ კათალიკოზი გაფრანკდა, თქვენც გაფრანკებას გიპირებთ და მასთანვე მთელ საქართველოსაცა. მოუფიქრებლმა თეიმურაზ მეტყვიერემ იწმუნა ყველაფერი და ანტონ კათალიკოზს ოთხი აჩქიმანდრიტი მიუგზავნა და საბა ნინოწმინდელი გამოსაკითხავათ, თუ იგი რა სჯულს ეკუთვნის. მოციქულნი მივიდნენ და ანტონ კათალიკოზსა ჭკობითეს:

— კათალიკოზო, რომელი სჯული გწამს, რომის თუ მართლმადიდებლისა?

კათალიკოზმა ზასუხი არ მისცა და ყველანი კარში გამოკეცა. მოწინააღმდეგეთ იუგადრისეს ეს საქციელი და მღვდელ-მთავრის გაფრანკება დაამტკიცეს. ძალე დიდი აღრეკა მოხდა. ანტონ კათალიკოზი სამართალში მისცეს და დაუმტკიცეს მას, რომ იგი თურქმეტი თვის განმავლობაში კათალიკის საწმუნოების მადიარებლათ ყოფილა. ამიტომ მას მიუსაჯეს თურქმეტი თვითვე დაჰატიმრება, ძალეც დაჰატიმრეს საქართველოს მღვდელ-მთავარი. ციხეში დაჭყო თათხმეტი თვე, მტერთა განიხარეს. ანტონ კათალიკოზის მტრებს გაუთენდათ ღილა. ამათ ეს არ იკმარეს, ანტონის მტრობა მცირეთ მიიღეს, ესენი ეცნენ თფილისის კათალიკებს და ეკლესიას დაუჭიეს, ხატები წაართვეს, შიგ რაც საეკლესიო სიწმინდე იყო სასულიერო წოდების ძეგლებით

სულ შეზღვეეს! საჩქაროთ დააქციეს მთლათ ეკვლევის გერ-  
დით აშენებული დიდი სასახლე, დააქციეს სამათხოვრო სახ-  
ლი, წამალხანა, დააქციეს მთლათ სამრეკლო სკოლა, ის სკო-  
ლა, რომლის შენობაც 1620 წელს იყო ჩაყრილი, სკოლის  
ნივთები სულ დაღვეეს, ქაღალდი, მელანი, კალამიც-კი არ და-  
სტოვეს, სულ ფეხ ქვეშ სრისეს. მთელი კათოლიკეთა საზო-  
გადო დაწესებულება აიკვეს. არსად ნატამალი აღარაფრის დარ-  
ჩა. ანტონ კათალიკოსი ცინიდამ მზერდა ამ საჩქმებს. თეი-  
მურაზ მეფემ ლარაძეს პირით აღუგრძალა კათოლიკებს, რომ  
დღეის შემდეგ ფრანგებმა ქართველების და სომხების ეკვლე-  
სიებში იარაღი, ვინც ამას არ შეასრულებს, იმას მე დაე-  
სჯიო. ლარაძემ დიდი უზღელობა გამოიჩინა, ვერ მოიქცა კარ-  
გათ, საბრალო კათოლიკებს ქრთამი დასტუყა, მეფესთან გი-  
შუამდგომლებთო, რომ დაფარულ იქმნეთ დეენისაგანაო, მაგ-  
რამ მოატყუილა, ურცხვი დეენის დროს საღხის წამქეხებლათ  
თვით ესეც აღმოსწინდა, ხალხს ეს მიუძღვებოდა წინ. კათო-  
ლიკენი და მრავალნი გვამნიც ქართველთა დიდათ აყუდრიდ-  
ნენ და სწეველიდნენ ლარაძეს.

მალე პატრების სახლ-კარს დაეცნენ, აიკვეს ესენი მთლათ,  
წაართვეს ფული, ნივთები, წიგნები, გაცარცვეს, შეურაცხეობა  
მიადენეს უჯროთ, შეკრეს თოკებით და გაიყვანეს საბურთა-  
ლომდის და იქ გაუშვეს, იქიდამ ახალციხეში გარეკეს და თან  
ყარაულები გაატანეს. დაჩაგრული, დარბეული და შეურაცხეო-  
ფილნი მოძღვარნი მალე მივიდნენ ახალციხეში და იქ დამ-  
კვიდრდნენ. პატრების განდევნის შემდეგ ქართველნი და სო-  
მეხნი ეცნენ თფილისში მცხოვრებ კათოლიკე ვაჭრებს და  
მთლათ აიკვეს, ჯერ სახლები დაუქციეს ამათ, ნივთები წაარ-  
თვეს, მერე მათს სავაჭროებს ეცნენ და ისე აიკვეს, რომ  
აღარაფერი დასტოვეს მათი. შემდეგ შეკრბეს უკვლანი, გაი-  
ყვანეს საბურთალოსკენ და იქ უთხრეს მათ:

— აქ გაიბერტუეთ მტკერი კათოლიკობისა და დღეის  
შემდეგ ჰგმეთ რომი.



შიშის მეოხებით კათოლიკეებმა აღასრულეს მსეტური ბრძნება. შემდგომ ამისა კათოლიკენი შემოეშვეს თფილისში და ჰერობილ ჰევეს, ზოგი სომხის ეკკლესიებს ჩააბარეს, სომხის სამღვდელოებას და ზოგი მართლმადიდებლისას, ამ დროს ასამდის მეტი კომლი ქართველ-კათოლიკეების იქმნენ გრიგორიანობაზე მიქცეულნი და მართლმადიდებლობაზე-კი ხუთი თუ ექვსი კომლი. ქართველ-კათოლიკეებმა ჯიბრით აღარ ქმნეს მართლმადიდებელ ეკკლესიისკენ დაბრუნება, რადგანაც ქართველ სამღვდელოების ბრძანებით აიკლეს ჩვენი ეკკლესია, სახლ-გარე, საკატროები, ქონება და ჩვენ ასეთ სამღვდელოების ეკკლესიას ვერ მივედობით. ფრანგების ეკკლესიის შენობა ქართველებმა დაიხმეს და მალე სომხებს მიჰყიდეს. კათოლიკეთა ანიაკებით და დაქცევ-დანგრევის მეოხებით დიდს წარმატებას მიეტნენ თფილისის სომხეთ ვაჭრები და სომეხნი. დროის განმავლობის მეოხებით საქმე დაწყნარდა, ფრანგების მოძრაობა დაბნულდა. მალე ანტონ კათალიკოზიც გაანთავისუფლეს. ამან 1755 წ. სიონში სწირა და ბარძიმ ხელში ჰერობილმა ბოდიში და პატიება მოსთხოვა თეიმურაზ მეფეს. აღიარა, რომ: „ჩემში ფლორენციის აღარათფერია დაშთენილიო, მაპატიეთო.“ მეფემ შეისმინა კათალიკოზის ეედრება და კათალიკოზს ნება მისცეს მხოლოდ უცხო სახელმწიფოში განსკლავ და არა საქართველოში ყოფნა. საბინადროთ საბერძნეთი და რუსეთი დაუსახლეს. კათალიკოზმა რუსეთი ამოიარჩია, რადგანაც საბერძნეთი შორს იყო და ამ საქმის გამო კოსტანტინუპოლის და ანტიოქიის პატრიარქებმა თეიმურაზ მეფეს ანტონ კათალიკოზზე მრისხანება და შეჩვენებაც გამოუგზავნეს, რომ იგი მართლმადიდებელ ეკკლესიისაგან დრკება და რომს ეკკლესიას, და თქვენ ეცადეთ და ამის ნება არ მისცეთო. ამიტომ კათალიკოზს იქ წასკლავ გაუძნელდა, ამან გაბედა რუსეთში წასკლავ და ელიზავეტა პეტროვიჩას წინაშე წარდგომა და თავის გამართლება და მასთანვე მოწყალების თხოვნა, ამ საქმეში დიდათ სახლისებდა მას ერთი რუსის კილატმ ოგზაური აფიცერი, რა-

მელიც რუსეთიდან ამ საქმის გამო იყო მოსული, რომ თავს-  
ყური ედევნებინა საქართველოს და ანტონ კათალიკოზის საქ-  
მეებისთვის, რომ მართლა საქართველოს კათალიკოზს გან-  
ძრახვა ხომ არა აქვს ქართველთა გაფრანგებისად.

ანტონ კათალიკოზმა რუსეთში გადასწევიტა წასვლა, წა-  
სვლისას ამის ნება მისცეს, რომ მცხეთის ეკკლესიაში ეწირა  
და გორის ეკკლესიაში მხოლოდ. მალე განემგზავრა რუსეთ-  
ში, თან წაიყვანა ეკელა ის ახალგაზდა მოსწავლე ქართველი  
საბერო უმაწვილები, რომლებიც მასთან სწავლობდნენ და რომ-  
ლებიც მის პატივისცემლები იყვნენ. მცხეთაში მისულმა კათა-  
ლიკოზმა სწირა მცხეთის ეკკლესიაში, წირვა დიდის ცერემო-  
ნიით და აშუაგათ აღიარა, რომ ხეში ფლორენციის აღიარე-  
რია დაშთენილია, ამ საქმეში ფრანგის პატრები და ფრანგე-  
ბი არ არიან დამნაშავენი და მათ ნურას ერჩიით. მცხეთიდან  
განემგზავრა გორს, გორში მისულმა კათალიკოზმა რიგიანი  
ბინა ვერ იშოვნა, გაციების ეშინოდა, ამიტომ მან გორის კა-  
თოლიკე ეკკლესიის პატრებს მიმართა და მათთან ისე დგურა.  
ქართველთ ლაპარაკი ასტეხეს, რომ ანტონ კათალიკოზი ცხა-  
დათ ფრანგია, მას კათოლიკის პატრებთან რათ ჩამოსტაო.  
დიდი აღიარებითი ატუდა, მეფეს წერილი მისწერეს. მეორე დღეს  
ანტონ კათალიკოზმა სწირა გორის ეკკლესიაში და აღიარა,  
რომ მე ფრანგობის არაფერი მრწამსო. მრეკელი დაარწმუნა, დაამ-  
შვიდა, მესამე დღეს რუსეთში გაემგზავრა თავის თანამხლებ-  
ლებით.

ანტონ კათალიკოზის განდევნის შემდეგ საქართველო-  
ში მისწედა მოძრაობა ფრანგობისა, ანტონის მტრები ნეტა-  
რებს მიეცნენ და კათოლიკების დევნა მაინც არ შეაჩერეს.  
მცირე ხნის შემდეგ თფილისში გაჩნდა ხალხის მუსკრელი რა-  
ღაც სენი, რომელიც ხალხს შეუწყალათ ყლუტაგა. ამ სენმა  
დიდათ დააფიქრა მეფე ერეკლე, ხალხი ისოცებოდა, მკვდრები  
ქუჩებში ეყარნენ და ხსნა არსაიდან რა ჩნდებოდა, ამ დროს-  
კი ქართველთ გაჩსხენდათ. პატრები, მათი ღვაწლი, ამაგი, ეჭი-

მობა და შრომა, შენახებაში შევიდნენ ყველანი, ყველა ოსკრით მოიგონებდა, რომ ვატრები ვსდგებოთ, შეურაცსყოფა მივაყენოთ უჯეროთა. ბეგრი წუსილის შემდეგ ასალციხეში მეფე ერეკლემ თავის დაე ანხა დედოფალი გაგზავნა და ვატრებს ემუდარა დაბრუნება. ანხა მალე მივიდა ასალციხეში და ვატრებს აუწყა მეფე ერეკლეს პირობა, რომ თითო ვატრს წელიწადში 300 მანეთს მოგვებით, კვლასიას დაგიბრუნებოთ, მასთანვე ყველა თქვენს წარალსაც გიზღავთო, ოღონდ თქვენ ქართლში დაბრუნდით და ხალხს წამლობით უვატრონეთო. ვატრებმა შეისმინეს ქრისტიანთ მუდარება და 1758 წ. საჩქაროთ მოვიდნენ თფილისში, წარსდგნენ მეფე ერეკლესთან, პირობა მოითხოვეს, მეფემ პირობის სიტყვას მისცა, მთელმა ერმა თიფლი მოჩხილები და ვატივისცემსუ. ვატრები შეუდგნენ წამლების კეთებას და ხალხის მკურნალობას. მთელი ქალაქი დაიხსნეს მუსკრელის სენისაგან, აკათყოფეს თვით ესენი უგლიდნენ, ყველა ოჯახებში მოურიადებლივ შედიოდნენ და აკათყოფებს მკურნალობდნენ.

თფილისის ქუჩები ამ დროს საკვლე იყო დაუძარხავის მიცვალებულებით, მათი დამძარხავი არავინ სჩანდა, მიცვალებულთ ვატრონები სოფლათ იყვნენ გაქცეულნი, ყველა თავის ქონში ძვრებოდა, მიცვალებულს არავინ ჰვატრონობდა. თფილისის ქართველთა და სომეხთ მღვდლებიც ქალაქ გარეთ გაქცეულიყვნენ. ვატრებმა დაუწყეს ვატრონობა მიცვალებულებსაც და მასთანვე დასაფლავება. ესენი ნასკეარ დღეს მიცვალებულების ზიდვას და დასაფლავებას უნდებოდნენ და ნასკეარ დღეს წამლების კეთებას და მკურნალობას. მალე თფილისის ქუჩები და სახლები დააცარიელეს მიცვალებულების სხეულებით. თფილისი გასუფთავდა, ცუდი სუნი მოიხშო, ყველგან დატრიალდა სუფთა ჰაერი, მიცვალებულთ სხეულებიც მოჩხნენ უბრალოთ გდებას, სრწინას და პირუტყვებისაგან დრღნას და ქეღვას. ამ საქმის მეორებით დიდი ვატივისცემა, დიდი სახელი და ნდობა მოიხვეჭეს ვატრებმა არა მარტოთ ერეკლე მე-

ფის წინაშე, არამედ მთელის ქართველობის, მთელმა ქართველობამ ესენი იცნეს ნამდვილ ქრისტე მოსილ მამებათ, ჭირსა და ღვინში მათთან ძეგფათ, თანამოსიარულეთ და სხვანი. ხალხმა უსამზღვროთ დაუწყო მათ ვატივისტება და შენანებით გაიხსენებდნენ იმ ქართველთ მღვდელთ-მთავართან ქმთ წაქეზებას და მღვდელვარებას, რომელთაც ივინი აღბორგეს ვატირების სადგენოთ, კეკელისის დასაქტეკვათ და ფრანგების დასახვრავათ. ხალხი დიდათ სწუხდა, მაგრამ რაღას იზავდნენ, შეცდომის გასწორებას და ვატიობას მიეცნენ. მიუგემ და ერმა მალე აღუდგინეს მათ ზარალი, ახალ ალაგას ახალი კეკელისა, უფრო კრტელი ძმობა და ხალხში კეთილი სიტუეების ქადაგების ნებაც მიეცათ, მათი ხელის შემშლელი აღარავინ გამოკიდოდა, ბრძანების დამრღვევს სასტიკათ დასჯიდნენ.

ვატირები მალე დარწმუნდნენ ქართველი ერის უსამზღვრო გულკეთილობაზე და მათ მალე დაიწყეს რომის ვაპის წინაშე წერილების წერა და გზავნა, ხელახლა დაუწყეს საიმედო ნიშნების წერა და გზავნა. რომის ტახტმა კარგათ სცნა საქმის კითარება და მათ განიძრახეს საქართველოში რიგანი მცოდნე ვატირების გზავნა. მალე გამოგზავნეს მღვთის-მეტყეული და ექიმობის მცოდნე ვატირი ანტონი, მაგრო, ანდრია, შემდეგ ვატირი ნიკოლა, ცნობილი გეში XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიაში, შემდეგ ამის თილიძე, დამიანე ანკოლელი და მრავალიც სხვები, რომელთაც ბრწეინვალეთ იმუშავეს თანთ დროს, რომელთაც ისარგებლეს ერის უზომოს ვატირცემულის მოქმედებით და ქართველობას დიდი სარგებლობაც მოუტანეს, ამათ გახსნეს კვალად სკოლები, წამაღხანები, სასკათიეოფოები, კრდომილთ სამადლო სახლები, დაარსეს ახალი კრტელი ძმობა ქართველ-კათოლადეებისა, დაზარალებულ კათოლიკეს მისცეს დახმარება, ვატირები თეზზე დაუენეს, ბეკრს დატეიულს ოჯახს მისცეს დახმარება, ბეკრი დაქტეული ოჯახი აღადგინეს. ესენივე გახდნენ მეფის და დიდებულთა მეურნალებათ, შეიქმნენ თვით მეფის მჩხეკლათაც, ამათ მალე დაუწყეს

ბატონიშვილებს გამოწურთნა, ფრანგული და ლათინური ენების შესწავლა, სხვა და სხვა მეცნიერების მიხედვით და განკარგება. ესენივე სწერდნენ მეფეებისთვის დიპლომატიურს წერილებს ფრანგულს, ლათინურს, ვოლშურს, იტალიურს, ესპანურს და სომხურს ენებზე. ამას გარდა ამით აღადგინეს საქართველოში ნასწავლ ქართველთ ემაწილებით გუნდი, ამათი მეოხებით დაიწეს ხელახლა ქართველთ შვილებმა ლათინურის ენადამ ქართულს ენაზე წიგნების თარგმნა, ეკრძაში მოგზაურობა, სწავლა, განათლება და ცხოვრებით აღორძინება. ამით იწეს ლათინურ და ფრანგულ ენის ზედმიწევნით შესწავლა. ამით შრომის შესახებ მე სხვაგანაც მისაუბრია, და ამიტომ აქ ბევრს აღარას იტყვი, მაგალითათ დაგასახელებ ამთგან გავწურთნილს გამაღიელ გამრეკელს, რომელზედაც არ შეიძლება, რომ არა ვსთქვათ-რა.

პატრებს ჰყვანდათ ქართველთგან მრავალნი მოწაფენი, სიბრძნის მეტროფილენი და მნატურენი. ამთგანი იყო პატარა ემაწილი გამაღიელ გამრეკელი. გამრეკელი დიდის აღმომსეობით ეტროფოდა პატრების შრომას, ცდას და სწავლა-მეცნიერებას. პატარა გამაღიელის ხალისს ის გარემოებაც უფრო აფართოვებდა, რადგანაც საქართველოში პატრების პატივისმცემელთ რიცხვში თვით მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკოზიც-გი ითვლებოდა. პატრებიც ჩინებულათ სწურთნიდნენ ქართველთ შვილებს და თან შრომას და მეცადინეობასაც ურჩევდნენ. ამით აღაფრთოვანეს გამრეკელი, ამით ჩაუნერგეს მას მეცნიერების სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელს რომშიაც გაძგზავრება და რიგანი სწავლის მიღების სურვილი. გამაღიელ გამრეკელი განემგზავრა რომში, იქ დაჰყო რამდენსამე ხანსა, შეისწავლა სხვა და სხვა საჭირო საგნები და შემდგომ ამის დაბრუნდა საქართველოში სამღვთო და სამოქალაქო სწავლით აღვსილი. გამაღიელ არქიმანდრიტს კარგათ იცნობდა პაელე შაჰეულანი, ახალციხელი ქართველ-კათოლიკეთა მჭადაგებელი, დროის გავლენის მეოხებით გვარ-გამოცვლილი, სომხთ ხმო-

ბილი, თორემ ამის ძველი გვარი ჯინაშვილი იყო. იყო შე-  
სანიშნავი მჭადგებელი, ეკროპიულის და აზიური ენების მცოდ-  
ნე. სწავლობდა რომში, ჰავის „პროპაგანდაში“ სწავლა დაამთავ-  
რა და გამაღიეთან ერთად მოვიდა საქართველოში 1795 წ. ამ  
მჭადგებელს საქმე ისე წაუვიდა, რომ უკანასკნელს ეპისკოპოსის  
კათედრაზე აღვიდა. საქართველოში მოსული მწიკ ბერი გამრე-  
კელი ქართველთ დიდის პატივისცემით მიიღეს, მალე ბერათ იქმნა  
ეურთხეული, თავის დროს ცნობილ გვამთ გამოცხადდა. უკანას-  
კაელს არქიმანდრიტობამდის მიაღწია, მუჟე ერეკლეს დროს  
შიო მღვიმის წინამძღვრათ იმყოფებოდა და რუსობის შემდეგ  
იკორთის მონასტრის წინამძღვრათ. აღესრულა არქიმანდრი-  
ტობის ხარისხით, გგონებთ 1816 წელს. გამაღიელ გამრეკე-  
ლი იყო დიდი პატივისმცემელი პატრების და მსთანვე რომის.  
ადრიდგანვე იყო თანამიმსრობილ მესხიანთ გვარის მღვდლებ-  
თან, რომელნიც ანტონ კათალიკოსს თვის განძრასულებასში  
დიდათ თანაუგრძნობდნენ და რომელნიც ანტონის განდევნის  
შემდეგ ღებნილ და დასჯილნიც იქმნენ, როგორც ალექსი მღვდე-  
ლი, პავლე და სხვები, რასაც ანტონ კათალიკოსის წერილე-  
ბიც ამტკიცებს.

პატრებისაგან განღვიბებული და გამხსნეკებული გამაღიელ  
გამრეკელი შეუდგა ქართული ძველი და ახალი მწერლობის შე-  
სწავლას. ამან ზედმიწეენით შეისწავლა საქართველოს ისტო-  
რია და ნამეტურ ქართული ძველი და ახალი მწერლობა. მწერლო-  
ბის საქმეების გვლევაც დაიწყო, ამას გარდა ქართულს ენაზე  
ადგენდა სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნებს და წიგნებში თანა-  
მბაძველი იყო დოსითეოს ჩერქეზიშვილის ნეკრესელისა. სხვა-  
თა შორის გამაღიელმა შეადგინა ქართული ძველი და ახალი  
მწერლების და წიგნების „ნუსხა“. მეოთხე საუკუნიდან დაწეებუ-  
ლი, კიდრე მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. ნუსხასში მო-  
ხსენებულია 300-მდე წიგნი, ყოველ წიგნს დაწერილი აქვს,  
თუ იგი რისგან არის დაწერილი და როდის. ზოგიერთი წიგ-  
ნების ცნობები ჩვენთვის უცხოა და ამიტომ გამაღიელ არქი-

მანდრიტის შრომა ძვირფასათ უნდა ჩათვალოს ჩვენის მწერლობის ისტორიისთვის. მაგალითებზე გამაღიებელ გამძრეველი სწერს, რომ „ვისრამიანი“ შეფის თამარის დროს არის ქმნილი დილარგეთის ბრძნის დაკითხვისათვისგანაო, მშენიერს ენაზე. აქამდის ჩვენში ცნობილი იყო, რომ „ვისრამიანი“ სარგის თმოგველის დაწერილიაო. ყველას ასე სწამდა, მაგრამ ის-გი გვაუწყებდა, რომ რაც სარგის თმოგველს დაუწერია, იმას „ვეფხისტყაოსანიც“ ამტკიცებს, მაგალითებზე იქ მოხსენებულა:

„დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა“. ესე იგი „დილარანი“ სარგის თმოგველმა დასწერაო. მეორე მწერალს ჩახრუხადის თქმით ამ რომანს თამარ მეფე აღუშფოთებია, რა მიზეზების გამო, არ უწყათ. მაგალითებზე:

„მოუბარსა, მის მღულარისა, დილარისაგან აღშფოთებულათ“ და სხვანი. ამაზე ჩვენ აქ ბევრს არას გავაბავთ, მოგვიყვას მხოლოდ მაგალითად არქიმანდრიტის მნიშვნელოვან შრომის შესახებ, რომ მან ბევრი რამ ცნობა შემოიტანა ჩვენის ძველის მწერლობის ისტორიაში, მაგრამ უამთა ვითარებაში დაჭვავა მისი შრომა, გარემოებამ ჩაყლაპა და ჩანთქა საუკულებათ ბევრი რამ მისის მწერლობისა, დღეს რდენდა მცირე ცნობა სჩანს და ისიც მიხედვილ-მიხეუტეით. ამისგან შედგენილი ძველი ქართული წიგნების კატალოგი ამ უკანასკნელ დროს დაიბეჭდა ერთ წიგნში, იქ ამ კატალოგს შედგენის დროთ 1810 წ. აწერია და დამწერის სახელი-გი არ არის მოხსენებული \*). მაგალითად გამძრეველი ვატრებისგან ისე იყო გამხსნეველ-განღვიბებული, რომელსაც 1880 წლის შემდეგ საქართველოში ბევრი არავინ ჰგავდნენ, ეს იყო დაახლოებული პირი ვატრი ფილიპესი, ვატრი ნიკოლასი და ამათგან დოსტაქრობა და ვა-

\*) Грузинской письменности. А. Цагарели. Санктпетербургъ. 1894 г.

რა-ექიმობაც ჰქონია შესწავლილი. ამ გამაღიელ გამრეკელის შთამომავალნი არიან დღევანდელი ქართველ მწიგნობარ გვამნი, ნიკოლოზ და ანდრია გამრეკელნი. ნიკოლოზი ჩვენს მწერლობაში ცნობილი გვამია, მან ბევრი სწერა საქართველოს ძველის დროის ისტორიის შესახებ. ბევრი შესანიშნავი მასალები შემოიტანა ჩვენს ისტორიაში, სხვათა შორის ამის შრომა საბა ორბელიანის „ლექსიკონის“ და ქართველი პატრების შესახებ ჩინებულს მასალათ უნდა ჩათვალოს, საინტერესოა ამის მოსაზრება სიტყვა „ლექსთა-კონაზე“. ამ გვამს დიდი წარმოდგენა ჰქონდა ქართველ პატრებზე და უწყობდა, რომ სიტყვა ეკროზის ერის „ლექსიკონი“ ქართულის სიტყვა „ლექსთა-კონილამ“ წარმოსდგა, რომელ სიტყვაც ქართველთ პატრებმა ეკროზის ერში საშუალ საუკუნოებში შეიტანეს და გაავრცელესო \*). ნიკოლოზ გამრეკელის ნაწერები დირსია შეკრების და ცალკე წიგნათ გამოცემის. ეს პატივცემული გვამი გარდაიცვალა 60 წლებში მიღწეული 1896 წ. და როგორც ვიცით მას ბევრი საინტერესო მასალებიც დარჩა დაუბეჭდავი.

ასეთი შნო, ცოდნა და განვითარება პატრების მეოხებით საქართველოში 1740 წლიდან წინ წავიდოდა, რომ მას რამე რისხვა არ მოკლებოდა კიდევ. ჩვენ მივალთ ჩვენს საგანზე.

პატივცემულ პატრების მეოხებით რომი მისგადა საქართველოს ერის ვითარებას, საქართველოს ერის შესახებ იმდენი მიწერ-მოწერა არას დროს არ ყოფილა რომში დაწეული, რამდენიც 1740 წლის შემდეგ. აშკარათ დაინახეს, რომ საქართველოში ისე არაფერი იყო საჭირო, როგორც ექიმობა, რადგანაც აქ ექიმობა დაცემული იყო XIV საუკუნის შემდეგ იდამ. საქართველოში საჭირონი იყვნენ ექიმები, ექიმობის მცოდნე მოძღვარნი, ხსებულ დრომდის თუ საქართველოში პატრები მოდიოდნენ და მათ მცირეთ იცოდნენ ექიმობა და წამლე-

---

\*) Саба Орбелиани. Критическій очеркъ Н. Гамрекли. 1885 г.



ბის კეთება, დღეის შემდეგ უნდა მოსულიყვნენ საკმარისათ  
დასკლავიანი მოძღვარნი, რომელნიც ექიმობის ცოდნით იმ  
დროის ევროპის მსწავლულთ ექიმებთან არაფრით უნდა გარ-  
ჩეულიყვნენ. ამიტომ რომიდან ძალე გამოგზავნეს ასეთი მსწავ-  
ლულ მოძღვარ მამები და უკანასკნელ ამთგანი იყო ჰატრი  
ანდრია, ცნობილი ექიმი, პატრიარქული გვამი, ჰატრი ნიკო-  
ლა, ცნობილი დოსტაქარი და უკანასკნელ ჰატრი ფილიპე. ჰატ-  
რი ანდრია დიდათ სასკლავიანი იყო საქართველოში, როგორც  
მოძღვარი, ექიმი და წამლების მკეთებელი, იცოდა ზედმიწევ-  
ნით ქართული ენა. მეფე ერეკლეს თხოვნით ამან სთარგმნა  
ქართულს ენაზე სხვა და სხვა სატიკვრების „კარბადიები“, მე-  
ფემ ამას გაუგეთა სახლი, მოუზოვა წამლების საკეთებელი ია-  
რადები, ექიმობის იარადები და სხვაც ბევრი საჭირო რამ,  
წელიწადში ჯამაგირათ 400 მ. იღებდა, იმ დროის კვალბაზე  
დღეს ეს ფული ვაი რიცხვს უწევს.

ჰატრი ანდრია ჩვენს ძველს მწერლობაში ქებულია მრ-  
კალთაგან და „კარბადიები“-შიაც მოიხსენიებენ ქებით. მე გვი-  
ქრობ, რომ იტალიურის ენიდან ნათარგმნი „ეგრელი კარბა-  
დიები“ ამის ნათარგმნი უნდა იყოს. „შემოკლებული კარბა-  
დიებიც“. ამ მოძღვრის რჩევით სხვა და სხვა მსწავლულთ და  
ლათინურის ენის მცოდნე ქართველთ ლათინურის ენიდან ბევრ  
ნაირი წიგნებიც უთარგმნათ, სამღვთო შინაარსისა ც-გი, ამას  
ცხადათ მოწმობენ მეტოქამეტე საუკუნეში ლათინურის ენიდან  
ქართულს ენაზე ნათარგმნი წიგნები. ასეთი თარგმანი სომ  
ჩვენს ძველს მწერლობაში მრავალა. მათში ბევრიც საინტერესოა.  
ჰატრი ანდრიას დროსვე მოვიდა საქართველოში დიდათ განვი-  
თარგმული ჰატრი ნიკოლა, გვარათ რუტილიანოვი, იტალიელი.  
ნიკოლას საქართველოში მოსვლის დღიდან იწყება ქართველ-  
კათოლიკეთ ახალი ცხოვრების და მოძრაობის ხანა. საქართვე-  
ლო რომს უახლოვდება და ასევე რომი აზერობს ყურადღებას  
საქართველოს და ქართველთ. ამ გარემოებამ დაბადა კითხვა  
თფილისში ლათინთ ძველის ხარების ეკვლესიის წართმევის და

დასქმების გამოძიება. ამ ძველ სარების ეკვლესიას შენობა თფილისის კათოლიკებს 1714 წელს დაუწვევიათ და მალეც დაუმთავრებთ.

საბა ორბელიანი რომიდან კათოლიკის საწმენკებით დაბრუნდა საქართველოში, ამ ამბავმა ააღელვა საქართველოს სამღვდელთაების ზოგიერთი გვამნა და ამათის მკობებით და წაქეზებით ზოგიერთ ქართველთა 1717 წ. ეს ეკვლესია მთლათ დააქციეს, 1721 წ. ეს ეკვლესია გვალად განაახლეს, მაგრამ საზღვდურით მას ვიდრე სკდა შავი დღე, 1750 წელში სელახს დააქციეს ქართველთა და სომეხთა და ეკვლესიას ნაშთნიც თვით დაიხრეს. უკანასკნელ კათოლიკენა რომას დახმარებით ითხოვდნენ და იბიებდნენ ამ ეკვლესიას დაბრუნებას, მაგრამ ქართველთ არ იხებეს! ქართველთ მიუგეს: დიდმა სანმა განგლო მას შემდეგ, რაც ჩვენ დაიკავეთ ეს ეკვლესიაო. ამიტომ უფლების დაკა უბრალოაო. მეფე გიორგისაც არ ნებდა დაბრუნება, რადგანაც მას სასტაკათ სძულდა თვით კათალიკოზი ანტონი, სძაგდა პატრებიც, მხოლოდ პატაკს სცემდა მათ როგორც სუფთას, ჭკვიან მოძღვრებს. მეფე გიორგიმ დამიანე ანკლელს თამამათ უთხრა, რომ მე კათოლიკობა მძულსო, მაგრამ პატრებს-კი პატაკს ვსცემ, როგორც ღირსეულ მოძღვართო. დაკამ დიდხანს გასტანა, მაგრამ არა იქმნა-რა. ეკვლესია დაჩხა ქართველთ საკუთრებათ, დღეს ამ ეკვლესიას ქვაც აღარ არის დამთენილო, თფილისში ქართველთ სარების ეკვლესია გაგონებითაც არავის ახსოვს. ადრე-კი ბრწინავდა თურქე ეს ეკვლესია რომში ნახატის სატებით და მოხრთულაობით, ქართველთაგან ასე უსამართლოთ იქმნა წართმეულა და მითვისებულა!

პატრებმა დიდი ზე გააქუნა იქონიეს მეფე ერეკლეზე, მეფე ერეკლე დააწმენეს, რომ პატრები ქვეყნათვის ღიდათ საჭირონი არიან და გამოაადგენიო. ესენი საქართველოს დიდის ერთგულებით მოუკლანო. მეფემ შეიწყნარა პატრების რჩევა და დაადგინა წესათ 1770 წ., რომ ჩემს სამეფოში კა-

თოლიკების შეწესებას კერძოებს გაბედავს, იგინი დაფარულ იქმნებან დიდის პატრიარქით და მშვიდობით, ნიშნათ პატრიარქის, მე პატრებს უნიშნავ წელისადში 300 მანეთს ჯამაგირსა. ამ ამბავმა ძალე მიადწია რუმის პაშის პიომდის. პიომ დიდის სიამოვნებით შესედა ამ განკარგულებას, მან საქართველს პატრებს ბეკნაირ ნიკთების გზანა დაუწყო, ნამეტურ სსჩქრების, ბატონიშვილებს მოსდიოდათ კეროპიული სსკა და სსკა ნიკთები, სსათები და ლოცვა-გურთხევანა. ამ დროს დიდათ განანბრწინეს კათოლიკეთა ეკკლესიები: სსლცინის გზით შემოიტანეს კარგი არგანი, სსეკლესიო ნიკთები, ხატები, ეკკლესია მოართეს, მოკმაზეს, არგანი დადგეს, გალობა გამართეს. ზოგიერთ უგვან ქართველთაგან უჯეროთ და უგანონოთ დაცინებულ იქმნა არგნით გალობა, კითხარცა სსქარია მღვდელმა, ანტონ კათალიკოზის ქმტურმა დასწერა სსტირელი პოემა „კატის ომი“ სადაც ჰგმო ანტონ კათალიკოზი და სსკათა მორის ამობს: „ზედ არგანი მოუხშირეს, ბეკებს გააქვს ბაკუნანი“ \*) ეკკლესიის გვერდით ვრცელა სსსლი ვრდომილთათვის, მოგზაურთ თაგ-შესაფერი ბინა, სსექიმო. სსსწაკლებული და წამალსანა. ამ დროსვე გააფართოვეს ძველათ დაარსებული თფილისის ქართველ-კათოლიკეთ „ძმობა“, რომელ ძმობის წესდებადც მტვიცე საფუძველი მიიღო და ეს ძმობა აღმოსხნდა დიდს მფარველ-პატრონათ თფილისის და მასთან მთელის საქართველს რომის კათოლიკებისა, რომელნიც სმიერთათ უმეცარ სელთა მეოსებათ უწყალა დევნასაც ექლეოდნენ. ქართველთა გამორჩენილ გვართაგანი არ მოიპოვება, რომ ამ „ძმობაში“ ვინმე წევრ ქართველ-კათოლიკეთანი არ ერიოს. თითქმის ყველა გვარის კაცს ნსხავთ აქ.

1797 წ. თფილისში განხდა ხალხსა მუსკრელი ჭირი, მთელი ქალაქის ხალხი დაიხიზნა, სამღვდელთობის აქ არავინ

\*) ქართული ქრესტომატია, გამოც. დ. ჩუბინაშვილისა, პეტერბურგს. 1860 წ.

დაშთა. 1795 წ. უბედურ შემთხვევას ეს მოჰყვა. ამ ჭირმა გაწვივია დიდი ძალი ქართველობა და უფრო მეტსაც გასწვევია, რომ აქ ქართველი პატრები არ ყოფილიყვნენ. ესენი პატრონათ აღმოუჩნდნენ მთელს თფილისის ერს, დადიანდნენ ქუჩებში, სახლებში, აკეთებდნენ წამლებს და აკათმეოფებს უგლიდნენ. ამათმა ასეთმა საქციელმა განაცვიფრა მეფე ერეკლე და გიორგიც. გიორგი გატყდა თავის შესედულებასში პატრობის შესახებ. მთელი თფილისი მოისპობოდა, რომ პატრები არ ყოფილიყვნენ მანამ აქ ექიმებათ. ამის გამო მეფისაგან ამათ დიდი მადლობა და საჩუქრებიც მიიღეს, ნამეტურ პატრმა ნიკოლამ.

მეფე ერეკლესთან და მეფე გიორგისთან ყველასე უფრო დახლოვდა პატრი ნიკოლა. პატრი ნიკოლა ისე დაუახლოვდა მეფე გიორგის, რომ ხშირათ მეფე ამას თავის საიდუმლო რჩევასაც-გი განუზიარებდა ხოლმე და დაწვრილებით აუწყებდა. ამათ დაახლოვებას ის უფრო უწყობდა ხელს, რადგანაც პატრი ნიკოლა განსწავლული ექიმიც იყო და მასთანვე მეტათ საუკარელი პირი. ჭკვიან ექიმ-პატრების მოქმედებამ საქართველოში მეტათ აამაღლა კათოლიკების პატივისცემა და სიუკარული. ერეკლე მეფის შვილების და შვილის შვილების მასწავლებლათ პატრები იყვნენ, ესენი ასწავლიდნენ მათ სხვა და სხვა ენებს, მეცნიერებას და მწიგნობრობას. იყვნენ მთარგმნელები მეფეთა და სადიპლომატო წერილის დამწერნი. ამათ ხშირათ მიუღიათ ხოლმე მონაწილეობა სამეფო საქმეების რეკა-თათბირშიაც და ხშირათ დიდი სარგებლობაც მოუტანიათ. მაგალითს ისიც ამტკიცებს, რომ მეფე ერეკლე და გიორგიც გაჯარების დროს პატრებს იბარებდნენ და მათ ესაუბრებოდნენ საქვეყნო საქმეებზე, ნამეტურ მეცნიერების შესახებ.

მეფე გიორგი ხშირათ გაწერებოდა ხოლმე თავის შვილს დავითზე, რომ იგი წმინდა კაცი არ არისო, მარხოს სჭამს, წირვასე არ დადის და ჯერ იმეუბს, ტახტს დაჰკარგავსო. მეფე ხშირათ ჰკითხვდა პატრს მიზეზს, თუ კაცში რა იწვევს

ურწმუნოებასა? პატრს მიუგია ხოლმე პასუხათ, რომ თანისუფალი მწერლები შერებინ ამასა, ვითაარცა კოლტერიო. კოლტერი გადაკეიდა პაპას, სამღვდელოებას და ყველაფრის ზიზღი მან დათესა. დაკითს რუსეთში ყოფნის დროს უსწავლია მისი ჭაზრები, რადგანაც უკითხავს მისი წიგნებიო. მის სახის ნახსტიც მიტომ ჩამოუტანია აქაო. მეფე გაწყრა ამაზე და დაიჭადა კოლტერის სურათის დასეკა და დაწვა. ეს მალეც მოახერხა, ჩამოიღო სურათი, დახია და დაწო. დაკითს ამაზე უსიამოვნება მოუხდა. მეფემ დაწვის სამართალი აღიარა. მალე მოვიდა მეფესთან პატრი ნიკოლა, საუბარი დაიწყო საფრანგეთის შინაურს საქმეებზე. მეფე ჭკითხავს პატრ ნიკოლას:

მეფე. პატრო ნიკოლა! სადაა ესლა დიდი სარდალი ბონაპარტი?

პატრი. ებრძვის რუსთა და კეისართა. ესენი სცდილობენ დაიცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა, არღაა მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირკა, არცა ლოცვა, არც ქორწინება, არც მღვდელი და ეპისკოპოზი; 25 მილიონი წარმართად არიან გარდაქცეულნი.

მეფე. ვინ ქმნა ესე?

პატრი. ნიკოლა. უკეთურთა მწერალთა კოლტერმა და სხვათა.

მეფე. კოლტერი? მეგობარი ჩემის შვილის დაკითისა, ჩემის მეგვიდრისა, ვაი შენს გიორგის. რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეიწავლა მისი უსჯულო სწავლა; მოიტანა აქ მისი სახე, რომელიც სამართლად დაუსწავი ცეცხლსა. ღმერთი წარუძმართვესთ რუსთა და კეისართაცა. თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა მათ, ქრისტეს გარეთ რაღაა კაცო? უკეთესსა ვინ გვასწავებს. მეორე არიოს ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული.

პატრი. წინდის პაპისა ლოცვით ვერ გაიმარჯვებს მტერი.

მეფე. ეკლესია ქრისტესსა, ჩემო პატრო! ვერა სძლეეს ბჭე ჯოჯოხეთისა.

პატრი. მრავალი უნასაკოთ დეკნა ქრისტიანეთა.

მეფე. დიოკლეტიანემ, ნერონმა, ივლიანემ და სხვათა ვერ სძლიეს ქრისტიანსა, რას იქმს კოლტერი ბოროტითა სიტყუითა! თვით ბონაპარტი რაღას, პატრო!

პატრი. დიდად მოწმუნე კათოლიკეა, გარნა აღზრდილი ფრანგისტანში, გოროსიკანელი თუ არა, ქრისტიანე არ იქმნება, ჭფრეობს აღადგინოს ტრაპეზი ქრისტიანსა, პატრის სტუმს დიდად პაპასა წმიდასა.

მეფე. ღმერთმან წარუძარტოს და დაუთრგუნოს მტერნი და განუბნინოს იგინი. ჩვენ კოლოტულობთ შათთვის.

პატრი. აგერ 8 წელია, რაც უკეთურთა ფრანგისტანელთა დაფლეს მიწაში ჯვარი და სხსარება ქრისტიანსა.

მეფე. წყუელიძე არის მათი სასული. ღმერთო და მაცხოვრო ჩემო, შენ ახალი შეილსა ჩემსა დაკითხ დანაშაული მისი. ნუ ჭკითხავ მას. შენ მოაქციე ჭეშმარიტსა გზასა და დაამკვიდრე შენსა სიყვარულსა. ამინ. ამინ. — რა იქნება მეფე არა მოწმუნე ქრისტიანსა, მოძულე ღვთისა დედასა, წმინდათა და წამებულთა. ვაი შენს მეფესა გიორგისა. მამა-შვილობას პატრო, შეაყვარე ქრისტი ჩვილსა ჩემსა, გამოიყვანე ცოდვიდამ, ამცნე, შენ უფრო დაგიჯერებს. თუ არა, ვერ იმეფებს, დაჭკარგავს ტახტსა და სამეფოსა ღვთივმშობლის წილსდომილსა. ქრისტიანობითა გვაქვს პატრი და დიდება ესრეთ, ჩემო პატრო, ჩემო მეგობარო, კალიცა გვაქვს, ქრისტიანთის სიტყუას იტყოდე, განმხნეკდი, მეც მამე და მცნებაც ქრისტიანსა აღასრულე, მოიძიე ცხოვარი წყმენდილი და შეაერთე ქრისტიანსა მამისა.

ეს საუბარი მოთხრობილია თანამედროვე პირისგან, ესეც რომ არ იყოს, უმისოთაც კიდით კარგათ, რომ მეფე ერეკლეს და მეფე გიორგის დიდი კავშირი ჭქონდათ პატრებთან, ესენი იქამდის პატრივტიკულნი იყვნენ შეფუთავან, რომ ერეკლე მეფემ პატრი ანტონი (მეორე) და მავრო 1780 წელში ევროპაშიაღ გაჭკვანა იოსებ იმპერატორთან სამეფოს საქმეების

გამო. მეფე გიორგის დიდათ უყვარდა პატრი ნიკოლა, უყვარდა პატრი როგორც სუფთა გვამი, ექიმი, მწიგნობარი და ქართულს ენაზე მქადაგებელი, კარგი მოსამართლე მოძღვარი. პატრი ნიკოლა თურმე ყველა განუცინებზე კარგათ ლაპარაკობდა ქართულს და მთელი მისი მადლი ნიჭი, მოძღვრებით სავსე მოქმედება და ოსტატობა იმაზე იყო მიქცეული, რომ მას მეფეზე დიდი ზე გავლენა მოეპოვებინა, ასეც იქმნა, იმოდენი ზე გავლენა, ის სახელგონება და პატივი საქართველოს მეფეების წინაშე ვერც ერთ პატრმა ვერ მოიპოვა, რამდენიც პატრმა ნიკოლამ. ამ პატრმა საქართველოში 30 წელიწადს იცხოვრა და ამის აქ ცხოვრება იყო „გაკეთილი“ ქართველთათვის. იქამდის საყურადღებო და სამაგალითო ციკი, რომ სასუბით მიიზიდა პატრივის საცემლათ ისეთი მეფე, როგორიც იყო გიორგი, თეიმურაზ მეორეზე უარესი ფანატიკი და მტერი რომისა, თვით ესეც-გი ესიყვარულებოდა პატრს და ხშირათ შესწივოდა თავის გულის კარამს და ბოღმას, ასევე სწუხდა თავის შვილის დავითის ურწმუნობაზე და აკალებდა პატრს, რომ ჩემს შვილს დარიგება მიეცია.

მეფე უბრალოთ სწამებდა თავის შემკვიდრეს ურწმუნობას, შემკვიდრე იმ სახით და განგითარების მეოხებით-გი არ იყო ურწმუნო, როგორც ჭფიჭობდა მეფე, არამედ იგი იყო ურწმუნო როგორც უვიც-უზნეო. დავითს კოლტერის არაფერი ესმოდა, დავითმა კოლტერის სურათი საქართველოში ხილათ ჩამოიტანა, საჩვენებლათ სხვათა, და დაჭკიდა სახლის კედელზე, მას რომ კოლტერის მოძღვრების რამე სტოდნიყო, მამინ იგი ისე ტრუტუნურათ არ დაიჭერდა თავისს საქმეებს, როგორც დაიჭირა, სამეფოს ტახტი ხელიდამ ეცლებოდა, სამეფოს გვარის სამთელი უჭრებოდა და იგი ამ დროს უბრალო წკრილმან კამათში ატარებდა, მთელი თავისი დრო უბრალო ბაიათების წერაში გაატარა და ცოლთან დავაში, რომ გუყრილიყო მასთან. ეს კაცი ჩვენს ისტორიაში მეტათ სამაგელ პირათ სჩანს, დიდათ გამოსაცნობია მისი წამსდარი და და-

ჭკვიანობა და სხვა. მის გარემოებას ნებისა აძლევდა და ანიჭებდა იმ პირობებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო ფსიხიკური, მღვიმური, ცოცხალი მომქედნი და სხვანი, მაგრამ რას ვხედავთ ამ პირობაში, იმ დროს, როცა ეს მხნე გმირათ უნდა ყოფილიყო! იგი მისდევს ცოცხლის საჩივარს, სოფ. ლეონიძის მამულებს სტატუსს, თვითღმირს ხასიებს იმ რაგებს, და ქალების გულისათვის დღეს ბაყალ აწუთინას აძლევდა თავადობას და სხვალ ბაყალ აგეტიქას. ამ პირობის გასაცნობათ კმარა თვით ამის ნაშრომნიც, რაც რუსეთში ყოფნის დროს ვხედავთ.

პატრი ნიკოლა იცნობდა დაკითხვას, იცნოდა ყველაფერი კარგათ და ისიც, რომ დაკითხვით კოლტურის სწავლით-გი არ ურწმუნებოდა, არამედ თავის გულის წაღილებით მეტებით, თავის ქარაფშეუტობით და უფასოობით, ამიტომ დაკითხვას არაფერს უთხრებოდა და მხოლოდ ამხნეობდა-გი მღვიმურობისათვის. უმთავრესათ-გი დაკითხვის ურწმუნობის მიზეზით მეფის წინაშე მარხვის ჭამა ხდებოდა; რასაც მაშინ ფრანგის პატრონი დიდს მნიშვნელობას არ აძლევდნენ. პატრი ნიკოლა დაკითხვას სხვა გზით აუწყებდა დაკითხვას და თან დასძენდა, რომ მის ჭკვიანობათ დაკითხვას სჯობს, რომ მის მეტებით დაედიხებინა სწავლით მეფე, დაემშვიდებინა ოჯახი, არ მოქცეულიყო დასაღუპათ თავის გვარის და აღსარებად სამეფო ოჯახისა. მაგრამ დაკითხვით არ უსმენდა პატრის ნიკოლას. აუწყებდა, რომ რაც უნდა ჭკვიანობა მამაჩემს, მის სიკვდილის შემდეგ ტახტის მემკვიდრე მე ვიქნები, მეფე მე უნდა ვიყო. ნიკოლა აუწყებდა: რომ სჯობს გავიმხნელებათ, თუ დამშვიდებით არ იწუთ მოქმედება და ცხოვრება. პატრი ნიკოლასი და დაკითხვის საუბარი ყოველთვის ამას იყო, ყოველთვის აფრთხილებდა პატრი, მაგრამ ბატონიშვილი დანაპირებს-გი არ ასრულებდა, თუმცა პატრის დიდი პატივისცემა ჭკვიანობა და სიყვარული. პატრი ნიკოლა მეტობარი იყო სოლომონ მსაჯულის და ამიტომ ეგდებოდა მეფეს და დაკითხვას, რომ მისთვის დაებრუნებინათ წარ-



თმეული ძამულები. იგი კარგათ გრძნობდა სოლომონ ლეონი-  
ძის ნიჭს, მგრძნობელობას და ვითარებას.

მეფე გიორგი ნელ-ნელა სწეულდებოდა წყაღმანკით, მე-  
ფე ერეკლეს ამათ დასწეულდა, სამეფო სახლის საქმე ირეო-  
და. სამეფო სახლი დაყოფილი იყო შემდეგ დასებათ: გიორ-  
გი მეფის, დარეჯან დედოფლის, დაკითის, იულონის, ალექ-  
სანდრესი, ფარნაოზის, თეიმურაზის და იოანესი, ე. ი. რვა  
წრეთ, ყველა თვისკენ იღუწოდა, ყველას უნდოდა მეფობა და  
ნამეტურ დარეჯანს, მეფე ერეკლეს მეუღლეს, ეს ამბობდა: „მე  
ძინდა ემიფთო, როგორც ეკატერინე იმპერატრიცამ იმე-  
ფთაო“. იულონი მეფე ერეკლეს ანდერძს ადგა, დაკითი ტახ-  
ტის მემკვიდრეობას, ალექსანდრე ვინც ფარსაგი იქნეს იმან  
მიიღოს ტახტიო, მარამი დაკითს ემხრობოდა, დანარჩე-  
ნი არეულ-დარეულები იყენენ და ყველას თავის დასი ჭჭონდა  
შედგენილი და თანამომხრეები. მთელი ქართველობა ადრეკის  
ბრბოს წარმოადგენდა: სოლომონ ლეონიძე, მგრძნობელი ემო-  
ზადისა კარგათ გრძნობდა საქმის ვითარებას. ამას შეუერთდა  
პატრი ნიკოლა, ძალე მოახდინეს კრებები და განთესეს ესეთი  
ჭაზრები, რომელ ჭაზრებიც ადრე ბეკოს სძენია თანამედროვე  
ქართველთაგან.

— ბატონებო! გახსილეთ თვალები, დაიფარეთ ტახტი  
სამეფოს, თორემ დაეცემა, დაჭკარვამთ მეფობას, უკანასკნელ  
სანანურათ გაგინდებათ საქმე, ამბობს და შური კმარა საქარ-  
თველს დასადუშათ, დიდებულნო, შეერთდით მტკიცეს პი-  
რობით, დაიყოლიეთ დაკითი, დააწყნარეთ იგი, დაამშვიდეთ  
მეფე გიორგი, მოიკრიბეთ ძალა, მოკრიბეთ სამუდამო ჯარი  
ქართველთა, რიცხვით 2000 კაცი, შემოსეთ იგინი სამხედ-  
როს შესამოსელითა, მიეცით თოფ-ზარბაზანი, ასწავლეთ მი-  
სი ხმარება, განაწესეთ მათთვის სალსაშქრო ხარჯი, ხარჯი შეა-  
წერეთ ერს და შეიწერეთ თვით თქვენ. ჭქმენით საქმე და წე-  
სები ისე, ვითარცა ფრანგისტანშია. საქართველოს ყოველ-  
თვის მოუგლის 2000 მეომარი მხედარი. ქალაქში დააწესეთ

სამართალი, სამართალი შემოსეთ შიშით და ძალით, ალაგმეთ მედიქი, ალაგმეთ სსკები. მოუარეთ თავს, მოუარეთ მეფობას, ნუ დაჭკარგავთ იმ დროს, როდესაც დაკარგული უნდა მოიპოვოთ, დრო არის თვალი გახსილეთ და იზრუნოთ ქართველ მეფობისათვის.

ამ დროს მეაუე გიორგი ძრიელ შეწუხდა, სიციცხლის იმედი გარდაწვივებულს ქართველთა, მაგრამ მეაუე არ მოკვდა, მობრუნდა. ამან უფრო აღაშფოთა ბატონიშვილები. გიორგი მეფეს ასმენდნენ ყველაფერს და მით შოგოთი უფრო მწკაგდებოდა, ტახტის დასასრულმა თავი იჩინა, რომ დღეს თუ არა, სკალ საქმე მოხდება, შესრულდებაო. გულით ნაწყენმა ბატონმა ბაგე აღარ დადუმა. ჭეკეღრა მრავალნი ერთს შეკრებილებაში და რამოდენიმეს აუწყა შემდეგი:

— ბატონებო! გონებას მოდით, შეიტყუეთ ვითარება სამეფოსი, შოგოთმა და განსეთქილებამ გაიდგა ფესვი. აქ მეფობა აღარაღის სურს, თითქოს ყველა ბატონიშვილები ტახტის ფლობას ეჭვის თვალთ უმზერდნენ, დაპატრონების კმინანთ, კრიდებათ. გუწყებოდეთ და აუწყეთ მათ, რომ დაგანებონ თავი. ადრინ ტახტისაგან სელი. ჩვენ გამოუჩნეთ ტახტს მეფეს, თუ არა და ნუ ისურვებთ მეფეს. ბატონებო, ფრანგები თქვენზე ძრიელნი არიან, ჭკვიანნი, ნაწყვალნი და ყოველისფრით სრული, მაგრამ სშირათ მეფე არ ჭყავსთ და უმეფოთ განაგებენ, რესპუბლიკით. ჭყავით თქვენც ასე, ჭქმენით რესპუბლიკა და ეგენი წყვიდნენ იქით, საითაც სურთ. თუ ასე არა და, იმერეთის მეფე მოვიყვანოთ აქ, მას მივსცეთ მეფობა ჩვენი, განკამტვიცლოთ ერთობა, აღვადგინოთ მისეობა, ერთმეფობა ქართველთა, ერთ-სულლობა და ქვეყნის სამსახური, რაც ადრიდგანვე დავცა საქართველოში და რაც დუშავდა და აწც დუშავს ქართველთა და საქართველოს.

ბატონის ჭყარი მრავალთ ქართველთ მოიწონეს და განავრცეს ასეთი მოსაზრება: რომ თუ ჩვენი ბატონიშვილები ასე წყავნენ თავიანთ სამეფოს ტახტის საქმეს, მაშინ ჩვენ მათ-

აღარაჲს გვინდა, ჩვენ მიგენდობით ჰატრის სიტყვას, ჰატრის რჩევას და ფრანგულათ რესპუბლიკას გააკეთებთ, ჯარს შეკრებთ და რაც ბატონიშვილებს მიაქვსთ, იმითი ჯარსა და ქვეყანას მოუგლით. ჰატრის ჭკვიანი რჩევა მალე მოიფინა ხალხში, ამ ჭაზრებმა გაიტაცეს მკაცრათ დ. ბარათაშვილი, ს. ლეონიძე, მ. ანდრონიკაშვილი, გ. მასაშვილი და ბერიც სხვანი, მაგრამ გერას ასერსებდნენ. ამ ამბავმა მეუბედისაც მიაღწია. მეფე გაოცდა! ჰატრი მიიხმეო საეჭიძეთ და ჭკითსა მიზეზი რჩევის მიცემისთვის. ჰატრმა აუწყა: ვითარცა კაცნი და მეამბოხენი, ჩემგან ითხოვენ დარბაზს და მე ვაუწყებ ყველაფერს მას, რაც ქრისტიანობისთვის არის მარგე, მტკიცე და კარგი, რომ მათის აღრევით თათართ არ ინაკადონ და არ ჭყონ სამეფოსა თქვენსა ტებელსა ვნება რამე. მეფეს დიდათ ესამოვნა ჰატრის ჭკვიანი სიტყვა და ამიტომ თფილისში მას მამულები აჩუქა. 1799 წ. მარტის რიცხვებში ჰატრი ნიკოლა იმერეთში წავიდა, მეფე სოლომონმა დიდის ჰატრით მიიღო, მამულებიც აჩუქა.

იმერეთში მისულმა მოძღვარმა მეფე სოლომონს აუწყა მღვიძარობა და მეფობის მოგლა-ჰატრონობა, რამდენიმე ხნის შემდეგ ქართლში დაბრუნდა. ჰატრის წასვლა-მოსვლამ და საუბარმა ბერს ქართველს გაუხილა თავლები, ჰატრმა იმერლებსაც აუწყა ქართლში რესპუბლიკის მინაგვარათ სამეფოს საქმეების მოწყობა და გაკეთება. თფილისში მეტადინებდა დაუცხრომლათ და ამგვრება ქართველთა საქმეს, ნამეტურ კათოლიკობის განმტკიცების ნიადგს. 1795 წლის უბედურების შემდეგ ფერფლათ-ქცეულს თფილისში ფერფლათ იქნა კათოლიკების ეკლესია, სკოლა, მდიდარი ბებლიოთეკა, წამალხანა, იმ დროის ძმობის საქმეები და დაუთრები, უბედურების შემდეგ მრევლი მალე შეუდგა საქმის განახლებას, უპირველესათ ამათ ძველი ძმობა აღადგინეს, ეს ძმობა დღევანდლამდის არსებობს. იმ დროის თფილისის კათოლიკებმა ყველაზე უმთავრეს საჭიროთ ეს დანახეს და ამით ჭფოჭრობდნენ ყოველ

ნაირ საქმის განმტკიცებას და გამაგრებას. დღევანდელი ძმობის დაწყების ისტორიის ცნობა მოწმობს ასე: თფილისში კათოლიკობის ძმობა ძველადგანვე არსებობდაო, მაგრამ 1795 წ. უბედურმა შემთხვევამ დასცა და დაარღვია ძმობაო, დღეს ჩვენ შევიყარებით და ჩვენის პატრების მეოხებით ხელახლა დავადგინეთ ძმობაო, საქმის წარმოების ქალღმერთები მთლათ დაიწო, აღარც ანგარიშების ცნობები სჩანსო, მაგრამ ჩვენ ჩვენის მიხედვით შევადგინეთ და აღვადგინეთ ყველაფერი დაკარგულ-დაშვარითო. ჰატრმა იმეცადინა დიდათ და კათოლიკების ძმობაში თფილისში მცხოვრებ უკელა დიდებულ გვარის ქართველთაგან ჩარიცხა. ძმობას ამით დიდი ძალა მოუპოვა, ამ ძალით გაანაბრწეინა სკოლის საქმე და ექიმობის. ქართველ-კათოლიკეთა შეილება აღზრდის საქმეს დიდ მფარველათ მოეკლენენ. ესენი არა მარტოთ ქართველთათვის ხდებოდნენ მასწავლებლებათ, არამედ თფილისის სომქსთათვისაც. სომქსებს ამათ ბეკრნაირი ხელმძღვანელობა გაუწიეს. ხალხის უზომო პატივისცემა და სიყვარული გასდა გიორგი მეფის უმთავრეს მიზეზათ, რომ ამან უსამზღვროთ დაუწყო პატრებს პატივისცემა და ნამეტურ ნიკოლას.

ნიკოლა მუდამ დღე დადიოდა მეფესთან, ხან დღეში ორჯელაც და საუბარი ჰქონდათ საქმიო საქმეებს გარდა სამეფო საქმეებზედაცა. ამბობაში დადგა 1800 წლის დასაწყისიც. პატრმა ნიკოლამ საქართველოს სამეფოს დასასრულის ნიშნები ნახა. ერთს დღეს მეფესთან გახლდათ. მეფემ საუბარი ჩამოუგდო, რომ საქართველო დაუძღვრდა, თავის არსებობა აღარ შეუძლიან და რა უნდა იქმნასო. ვის ვსთხოვოთ მფარველობა და დახმარებაო. იქ მოეთათა სთქვეს მრავალნაირი რჩევა და ბოლოს პატრმა ბრძანა შემდეგი:

— მეფობა ქართველთა არის მშვიდი, ქრისტიანი, წმინდა, ტკბილი, მეფობა ქართველთა არის ქრისტიანობის დიდება, ტახტის მემკვიდრენი არიან ნათესავნი მაცხოვრისა, ამიტომ ვითხოვ მოთმენას და საუბრის მოსმენას. ესეთი ძველი სა-

მეფე რომ ოსმალ-სპარსების მეოხებით არ გაოხრდეს, არ მოისპოს, არ მოიშალოს მეფეთა ტახტი, ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ ეკრძას მიმართოთ და მიმართვამდის კათოლიკის ეკლესიას შეუერთდეთ, წმინდა რომი იცნოთ, რომის ცნობა და შეერთება დაითარავს საქართველოს, რადგანაც ჰაზა და ეკრძას სასულიწიფოანი ჯეროვან ყურადღებას ქოაზერობენ საქართველოს, რომ ოსმალ-სპარსებთან არ დაიღუპოს. ჰაზა დიდს განკარგულებას გამოსცემს ამისთვის, ბრძანება შესრულდება, საქართველო განთავისუფლდება მრავალნიად წვალებიდან და ქენჯნისგან. ამის მეტი ქართველთათვის არაფერია საჭირო.

მეფე გიორგიმ უარი უთხრა, ვერ ვიზამ მას, მე მართლმადიდებელ ეკლესიას ვერ მოვსცილდები, ჰაზას ვერ შეუერთდები, თუმცა ჰაზა და თქვენც დიდათ მიუვარსართ წმინდა ცხოვრების გამოვო. ამ ჭარბისაკე იყვნენ სამღვდელთა პირნი და მიტომ ჰატრის რჩევა ამ მხრითაც დარჩა უნაყოფოთ. ქართველთ ვერ მოახერხეს ბერძნის ეკლესიისაგან გადრეკა, ამისაგან ელოდნენ სამეფოს მფარველობას და გაჭირებისაგან ხსნას. ჰატრი აქა-იქ მეტადინებდა, მაგრამ ვერას აწყობდა, მოწინააღმდეგეთ რიცხვი დიდათ ძლიერდებოდა.

ერთ დღეს მეფე გიორგის სახლში შეყრილან ქართველთა წარჩინებულნი გვამნი, საერო და სასულიერონი, აქვე ყოფილან ჰატრი ნიკოლა. მეფეს საუბარი დაუწყია საქართველოს შესახებ.

— დიდებულნო, საქართველო მოუძღურდა, დღეის შემდეგ იგი კვლავ აიტანს სპარსთა ღრძო გუფს, ღრძო, რომ ქართველობამ მოისვენოს. აქ იქმნა მრავალთაგან კრძალვითი დუმილი და ზოგიერთა გვამთა ჰასუხი არ მისცეს მალე. ჰატრმა ნიკოლამ, მოძღვარმა და მხნემ, კარგათ მგრძნობელმან ყმობადისა განაგრძო კვალად:

— მეფეო, სამეფო ქართლისა არის მტკიცე ქრისტიანთ სამეფო, მას სცხია მადლი მღვთისა, მას მოსია ძალი ქრის-

ტესი, აქ ქრისტიანობა მტკიცე საფუძველზე. სდგას, მტკიცე ქრისტიანულს სიძირკველზე, ქართველთა შორის განისკვნებს. სუფიქსა და სიმტკიცე ქრისტიანობისა, ერი ქართლისა ბედნიერია ქრისტიანობით და ბედნიერია თვით ქრისტიანობაჲ ძმით. ხალხი ერთი რამ გაკლავთ თქვენ, თქვენ ძმათა, შვილთა და თველდალთა შორის არსებობს სრული განსუთქილება, დიდი ზარტობა. აქ ყოველი ზარტია იღწვის თავის კერძ, აქ ყოველ ზარტისა ჭყავს თავისი წარმომადგენნი, თავისი მოძსრენი და მეძობხენიც, ყოველი გვამი თავის კერძ იღწვის, თავის თანამომსრეთა სასარგებლოთ, ხალხი ეს არ არის კარგი სამეფოსთვის, განსუთქილების წარმომადგენი ზარტიები დაღუპავს თქვენს ტკბილს სამეფოს, განსუთქილების მექონი ზარტიები დაჰკინებს თქვენს ტკბილს სამეფოს, მოიცეკით ძალი, გამხნეკდით, აღაგმეთ მტერი თქვენი და დაეცით რისხვა მღვთისა და მეფისა სასარგებლოთ ქრისტიანობის. თორემ ამაზე მეტი მტერი არ უნდა სამეფოსა თქვენსა, ესე გვარი განსუთქილება, მერყეობა, ქენჯნა და ბორბობა დასრქმს თქვენს ტკბილს სამეფოს. მეფემ მიუგო:

— ზატრო, სუსტნი ვართ, არ ძალგვიძს მტრის შეშინება, მე ვერ შევაშინებ, მათ მღვთისა და ქრისტეს შიში თუ არა აქვსთ, ჩემი შიშით არა იქმნება-რა, მე ვკვედრებო ღმერთს, ქრისტესა ჩემსა, რომ ამილაგმოს მტერი, დასცეს იგი და შეარცხვინოს. დაიხსნას სამეფო ქართლისა განსაცდელისაგან. რა ვქნათ ზატრო, დაეცით, გაუნადგურდით, შინ მტერი, გარე მტერი, ძმათა და შვილთა ამბობება, დიდებულთა ჯანდგომას და მრავალნიც სხვა უბედურებანი მანწყლულებენ და მადარდებენ მე. არ უწყვი რა ვქნა, რა ვყო, კვედრები ღმერთს და კსასოებ მისის იმედით. ზატრმა მოისმინა სიტყვა მეფისა და მიუგო ზასუხნი:

— სამეფო ქართლისა ვერ აიტანს უცხოთ წეს-ჩვეულებათა, ეკრძაში ქრისტიანობა დაეცა, იქ დიდი უბედურება სუფიქსა, უცხონი შემოკლენ თქვენს სამეფოში, იგინი შემოი-

ტანენ თავიანთ წეს-ჩვეულებას, მათ წეს-ჩვეულებას თქვენი ტგბილი სამეფო და ერი ვერ აიტანს, იგი ვერ მოიხმარს მათს დახლადებს, თქვენ თუ ვერ მოგივლიათ თქვენი თავისთვის, გუწუებოდეთ, რომ მამინაცვლის და დედინაცვლის მოკლა უფრო უკანნი იქმნება თქვენთვის. იგი სიკეთის წილ გადაგქტვავთ მტრობათ, სანანურათ, სწვევრათ, დამონებულის ერის ენას მიეცემა დასასრული, მწიგნობრობას მოკლება ბოლო, მესხიერება და ხსოვნა დიდთა მეფეთა განქრება, უცხო ნათესავი შეაწუხებს ქართველთა, მოაქტვავს თავის სჯულზედ, თავის ენაზე, თავის საყდარზე. დაუძღურებისა და გარდაგარების გულისთვის დაადებენ დიდს ტკიარს, შემოსვენ მძიმეს უღლით და მერე სანანურათ გახდება მრავალთათვის. მივიჩნის მეფეა, რომ განგიძრახავთ არ განსაძრახველი საქმე, საქმე მძიმე და საგლოკელი საყოველთაოთ ქართველთა. ჭქმენით ამაზე თეიქრი და ნუ მიენდობით უცხო ნათესავს, არა თქვენს მერჯულეს და მოსაყდრეს, თქვენის ჰატივის და ერის ცხოვრების და ზნე-ხასიათის არა მცოდნესთ, თორემ უკანასკნელ ქართველი გახდება დეენილი, შეწუხებული და შერცხვნილი უცხო სძმანების მეხსებით. დეენილი ერის მამულები გაიხყიდება უმართებულათ, უსამართლათ და უკანონათ. თქვენ ვერ იპოვით საზოგნელს და ამიტომ ნუ იზამთ მას, რაც არ იქმნება ქვეყნისთვის კარგი და სასარგებლო.

ამ გვარათვე მიუგეს მრავალთა სხვებმაც, მაგრამ მეფემ უარი განაცხადა ასე:

— დავსუსტდით, ქრისტიანობა დაეცა, ქრისტიანობა გაქრება.

ჰატრმა კვალთ განაგრძო სიტყვა. ჰატრს შეუდგნენ მრავალნი და აუწუეს მეფეს ისრავლთა ქრის დაპყრობის და დამონების ამბავნი, რომელიც აწერილია „დაბადების“ 3 თავში. მოიტანეს „დაბადება“ და წაიკითხეს. იქ სხვათა შორის ნათქვამია:

„ერო ჩემო, კაცნი, რომელნიცა მთავრობენ შენზე-  
და, გმაცდურებენ შენ, დაგკარგვენ გზისა შენისა კვალთა...  
დროთა ამათ უღმრთო მოუღლებს სამკაულთა და სარკეთა  
და შემოსავს საგლოველსა სამოსსა, მოხსნის სარტყელთა,  
მოხდის ქუდთა და ქაჩლად სახილველ ჰყოფს თავისა მა-  
თისა თხემთა. განასწორებს მათ მიწასთანა“ და სხვანი.  
მეფემ სდუმნა და შესწუხდა ძრეელ. დაიწყო ოხვრით გოდე-  
ბა... 3. იოსელიანსაც მოჰყავს ამ კრებების ცნობები თავის  
ისტორიაში, მხოლოდ განსხვავებით.

განგლო დრო-ყამძან, ამოხება ქართველთ დიდებულთა  
შორის განვრცელდა, ერთობა აღრეკე იყო დარღვეული და თუ  
რამ არსებობდა ერთობა აქამდის, აწ შირად უფლებათა მხა-  
რების მეძიებლობამ დასცა ესეც და დაარღვია ეკლესიური, სა-  
ბრატოთ აიწეწა საქართველოს სამეფო საქმეები, ერმა იმ წერ-  
ტილამდის მიაღწია, რომ მისი მზერა შეგნებულ მამულის-  
შვილისთვის სატირალ-საწუნარი იქნებოდა. ძნელათ რომ იგი  
ვისმეს აუტანა. აქ იყო სამეფოს ძალაგებისთვის ერთობა სა-  
ჭირო, ამის მეტი არაფერი აკლდათ ქართველებს, ერთათ ერ-  
თი ერთობა იყო საჭირო, მაგრამ საუბედურათ ეს ერთობა  
არ ჰქონდათ მათ. ბორჩალოს მარაში ქართველობა მოისპო,  
თრიალეთსაც იგივე დღე დაადგა, ჯავახეთიც გაქრობის გზა-  
ზე დააყენეს ოსმალთა. ძალაღის წოდებისაგან მდებარენი დიდს  
განსაცდელში ჩაცვიკდნენ, ქართველთაგან ათ-ოც ოჯახობით  
მიწოდნენ ერევნისკენ, განჯის და სხვა ადგილებში და იქ  
სომხის კვკლესიას უერთდებოდნენ, სახელს, გვარს იცვლიდ-  
ნენ და მით იფარავდნენ თავს მებატონეთა დევნისაგან, სწო-  
რეთ ამის მეორება განსავთ, რომ მთელი სომხეთი გადაგვა-  
რებულს ქართველებით სავსეა, რომელთა გვარებს ქართულის  
ნიშნებიც შერჩნათ. ამით ჩვენ არ ვამტყუნებთ სომხებს, ან  
გლეხებს, გათათრებს ქრისტიანობა სჯობდა მათთვის. ამას  
რადღა ფიქრი უნდა.

მეფე გიორგი მწუხარებით მზერდა სამეფოს აღრეკის



საქმეს, იგი ამბობდა: რომ ჩემ სამეფოს აღრევის დასასრული არ მიეცემოდა, თუმცა დიდის მოწოდებით და ძრწოლით, მაგრამ მანც გაბედა რუსეთთან დაკავშირება და ჭქმნა ამისთვის კრება და რჩევა ქართველთა დიდებულთა. კრებას დაესწრნენ მრავალნი გვამნი თფილისის ქართველთა და ჰატრებიც. სხვათა შორის ეჭიმნი: ივანე და თათულა ყარაეკები, აჭიმნი და დოსტაქარნი ზატონიშვილებისა, რომელთაც ჯარა-აჭიმობა აღრინდელის ქართველთა ჰატრებისაგან ესწავლათ. საუბრის დროს ჰატრ ნიკოლას გარდა თანხმანი იყვნენ ყველანი და ძალე რუსეთში დასვენებიც გაგზავნეს. შეერთება მოხერხდა. 1800 წლის დამდეგს, თფილისში ჯარი მოვიდა. მეფე თავის ამალით დიდუბესთან მიეკება. მეფეს თან ახლდნენ დიდებულნი და ჰატრი ნიკოლაც. ოდეს ჯარის შემუსიკეთ და მომღერალთ დაიწიეს დაკრას და მღერას, მეფე გამხიარულდა, სიხარულით აღესაღმა მიმართა ჰატრ ნიკოლას და უთხრა:

— აბა შესედე, ჩემო ჰატრო, როგორ ლაზლავებს რუსის ჯარის ზარბაზან-თოფ-იარაღ-მუზიკას, დღეის შემდეგ მტერი კელარას დაგვაკლებს ჩვენ. ჰატრმა მიუგო.

— ბარახანი დაჭკრეს და საქართველო იმარხება. თქვენი ძამელები ბარახანით გაიუიდება და თქვენს მკედრებსაც მუზიკით დამარხავენ. ერი და ენა თქვენი დაეცემა, მწიგნობრობას მოელება ბოლო. ყველგან გახდებით დამდაბლებულნი და უმნიშვნელონი, სახელი თქვენი და თქვენის მამა-პაპების ძალე აღინოცება ისტორიის ფურცლებზე, დადუმდება თქვენი მოღვაწეობის მოგონების ხსოვნა საერთოთ ქართველებში, დიდთა მეფეთა ამაგი და შრომა გაუქმდება უცხოლას ნათესავისა შრომით, ხელით და გამკობის ძალით. მეფემ სდუმნა. მერე აუწია:

— ჰატრო, სხვა გზაღარ გვაქვს, ქრისტიანობით ვცხოვრობთ ჩვენა და ქრისტიანობა-გი დაეცა ჩვენ შორის, ოსმალ-სპარსთა ძალით ლამის გაუქმდეს. მეფის თანამოაზრეთ აღმოსჩნდნენ მრავალნი, ნამეტურ სამღვდელონი, მრავალნი იტ-

უოდნენ, რომ „გიხაროდეს ქვეყანავ, რათა გიხილა ქრისტიანმა ერმაო, ახლა-კი ილაღადებს ხმა ქრისტესი, ხმა ეკლესიისა“ (\*). ასეთის ჭაწრის იყვნენ ერის კაცნიც. საქმე შესრულდა, ნატურა აღუსრულდათ მრავალთა. საქართველო ჩაბარდა რუსეთს, ეს შემთხვევა სასიხარულო იყო ნამეტურ გლეხთათვის, გლეხებს სული აღარ ჰქონდათ პირში შერჩენილი დიდთა თავადთაგანს და ამიტომ ესენი დემეტრის ეკედრებოდნენ ძალე რუსთა მოსვლას, თორემ ჩვენს შვილებს ჩვენი მებატონენი მთლათ ოსმალ-სპარსეთში გადარქეპნ და დაჭყიდინაო.

პ. იოსელიანს მოჰყავს შემდეგი სიტყვა ჰატრი ნიკოლასაგან წარმოთქმული:

„ვეროპისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო თქვენი ტკბილი, წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვეთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნების დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი შექმნის ერსა მტერად და მღვინელად და მაწუხებლად, მამა-შვილური მთავრობა მეფეთა, გარდიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა. რუსნი შემოიტანენ პირველად მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამუონი და ყჳანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკედარნი მუზიკით დაიმარხებიან“ (\*\*).

სამეფოს აღრევათ დაწუნარების შემდეგ ჰატრი ნიკოლასაგან განმარტოებული, ამის გულითადი მეგობარნი ლტოლვილ იქმნენ სპარსეთში, ოსმალეთს და იმერეთის სამეფოში. ჰატრი ნიკოლას რომში იქმნა მისძობილი, ეს ძალე წავიდა, იქ

\*) ამბროს ნეკრესელის ქადაგებანი.

\*\*) მეფე გიორგის ცხოვრება, შედგენილი პ. იოსელიანის მიერ.

დაჭყო რამდენიმე ხანი და 1801 წლის ნასკეარს საქართველოში მოვიდა. გამგეობა დაიწყო. მიზეზი რომში მისმობის არ სჩანს. საქართველოში დაბრუნებული ჰატრი ნიკოლა ხანდის-ხან თავის მეგობრებს წერილებს უგზავნიდა აქა-იქ და ატყუობინებდა საქართველოს ამბებს. იმ დროის მთავრობისაგან ბრძანება იქმნა, რომ გარეშე ქვეყნებში გაგზავნილ და მიღებულ წერილებს უურადღება უნდა მიექცესო. ეს განკარგულება ძალე აღსრულდა, რამდენიმე ეჭვი აღიარეს ჰატრს ნიკოლაზე წერილების წერის გამო. ვითომც ეს სწერდა წერილებს საათაბაგოს ფაშებს, სოლომონ იმერტ მეფეს, ალექსანდრე ბატონიშვილს და სხვებს, საერთო ახალ მთავრობის. ამ ეჭვს დაერთვა ქართველების და სომხების ჩივილიც, ქართველთ ინიკულეს, რომ ჰატრებმა გაათრანგეს ანტონ კათალიკოზი, მათ მიიზიდეს კინაღამ მეფე ერეკლეცა და ამიტომ ღირსნი არიან განდევნისაო. სომხები ჩივოდნენ, რომ ჰატრები სომხებს აფრანგებენ და შოფოტებს სთესვენ მითაო. საჩივრებს უურადღება მიექცა და 1801 წ. ნოემბრის 22-ს, მინისტრის ბრძანებით თფილისადამ გაძეკებულ იქმნა ჰატრი ნიკოლა, როგორც მოწინავე ჰერი და თაოსანი ყველა საქმეებისაო. ჰატრმა გამოძიება დაანიშნინა და თავი იმართლა, იგი დაჩნა საქართველოში და დაიწყო კათალიკის ეკლესიას მართვა და მრევლის მოკლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამან მინისტრს ნება-ართვა სთხოვა იმერეთში წასვლას, რადგანაც იქ მამულები მაქვსო და ღაღა უნდა მოკვრიბოკო. ნება მისცეს და 1802 წელს, ზაფხულს, ჰატრი ნიკოლა იმერეთში იყო. იმერეთის მეფემ დიდის ჰატრივით მიიღო, წინეთ ჰატრისთვის სამეგრელოს მთავარს მამულები ეჩუქებინა და გარდა ამას ორმოცდაათი კომლი მესარკე გლეხებიც. ჰატრი იმერეთში კარგა ხანს დაჩნა, საექიმოთ აქა-იქ მიჰყვანდათ, აღარ უშუკებდნენ. ფულუბის მოკრებაც გაუძნელდა. თფილისში ამბები მოჭფინეს, რომ იქ რუსის მთავრობის წინაღმდეგ იბრძვისო, სოლომონ მეფეს ამავრებსო. ჰატრმა თფილისშიც ეს ამბავი ძალე აცნობა ჰატრ

ნიკოლას და 1802 წლის ბოლომდე ნიკოლა უკვე თფილისში გაჩნდა, მთავრობის წინაშე თავი იმართლა. ამის მეორებით დარჩა თფილისში და მიეცა თავის სამსახურს, მაგრამ აქ საქმე სხვათაგან მოემართა. 1803 წლის დასაწყისს, ეს განდევნილ იქმნა ქართლიდან სამეფამთ, თუ არ წავიდოდა, მძიმე დაავადებებდნენ. მოემზადა და მალე გადავიდა იმერეთში და შეეხიზნა მეფე სოლომონს, მძიმე მონაწილეობა სოლომონ ჯერანიძის დასში და დაიწყო მოქმედება.

პატრმა იმერეთში დიდი მხნეობა გამოიჩინა, ხალხს უფასოთ სწამლობდა და სახელმწიფო საქმეებშიაც მეტათ ჭკვიანთ იჭტოვდა, მეფეს დარჩებდას აძლევდა. ამ დროს მეფის წინააღმდეგნი იყვნენ გურიის მთავარი და რდიშისა. ესენი მეფის წინააღმდეგ იღვწოდნენ. პატრი ნიკოლა აუწყებდა: რომ რისხვა დაეცი მათა, მოსპე ეგენი და ერთ სამთავროთ გამოაცხადე მთელი სამეფო, თორემ საქმე ვერ წავივა კარგათ, მთავრები გადაატოებენ. მეფემ უძღუტება აუწყა თავის თავისა, რომ მე მთავრებს ვერ მოკერევიო. ამ დროს დადიანი ავით იყო და პატრი ნიკოლა მიიწვიეს საქმით. პატრმა მეფე სოლომონს სიტყვა მისცა, რომ შენს მოწინააღმდეგე დადიანს მე მოკწამლავ, მოკვლავო, შენ მხოლოდ ერთგული კაცები იყოლოდე და რიგე სამთავროები დროით დაიტოვო. პატრი წავიდა სამეგრელოში. რამდენიმე ხნის შემდეგ დადიანი გარდაიცვალა. ამ დროს პატრი იმერეთის მეფის კარზე იყო. მთავრის ცოლმა ინიკლა მთავარმართებელთან— „რომ იმერეთის მეფის ექიმმა პატრმა ჩემი ქმარი მოწამლოა“. ამასე დიდი უსიამოვნობა მოხდა თფილისში, რადგანაც მთავრის ცოლი ციციშვილის ქალი იყო. ეს ქალი ამ მთავარმართებელსაც ენათესავებოდა. ციციანოვმა დაიბარა იმ დროის პატრი თფილში და პატრ ნიკოლას ამბები აუწყა და თან დასძინა: რომ დაიბარეთ პატრი, ახლავ აქ ჩამოვიდესო! პატრმა თფილში მოასხენა— „ჩვენ ვერ ვიზამთ მასა! ის ჩვენს ბრძანებას არ შეისმენს და უცხო სახელმწიფოს მოხელე-

ნიც არ აღასრულებენ ჩვენს თხოვნასა, ისევ თქვენ მოახ-  
დინეთ განკარგულება, რომ დაიჭირონ და ჩამოიყვანო-  
ნო“. ციციანოვმა აუწყა, რომ ჩვენ მას ტუსადის ტანთსაც-  
მლით მოკიყვანთ აქა და ეს ანც თქვენთვის უნდა იყოს კარ-  
გიო. პატრმა მოასხენა: — „რალა თიქრი უნდა, რომ ეგ მე-  
ტათ სამწუხარო იქნება და თუ ისიც გამართლდა, რა-  
საც ბრძანებენ, მაშინ უფრო უარესი და მასთან დიდათ  
საგმობიც იქნება პატრი ნიკოლას მოქმედებო, მაგრამ  
ჩვენ არ გეჯერა ესაო“.

მალე მიიღეს ზომები, პატრი ნიკოლას დაჭირეს ქუ-  
თაისში და თფილისში ჩამოიყვანეს ტუსადის ტანთსაცმლით.  
ამის დაპატრიმრებას ასე უწყიან: ქართლიდამ შესეიდული კაცე-  
ბი გაგზავნეს, ამითი რეულა თამაზ რბელაინიც, ესენი პატრს  
ლამე დასცემიან სახლში, წამოუყენებოთ შიშეული, შეუკრავთ,  
შეუსომთ ცხენზე და თფილისში მოუყვანიათ. თფილისში მო-  
სული პატრი პატრიმარ ჭეკეს და მალე გამოძიებაც დაიწეს,  
პატრს ჭეკედრინენ, რომ „შენ ჩვენი ერთგული კაცი მო-  
წამლე და მოკალიო“. პატრმა თავი იმართლა, მაგრამ არ  
განთავისუფლეს. პატრი ნიკოლას დაპატრიმრება იმერეთში ბეკრს  
ეწყინათ, ნამეტურ მეფე სოლომონს, დიდი უსამოვნობა მოს-  
და. მალე იმერეთიდან ციციანოვს საუკედურები მოუვიდა. ცი-  
ციანოვმა პასუხი მისწერა მეფეს და აუწყა შემდეგი: „სირცხვი-  
ლია თქვენთვის, ასეთ პატრს ინახავთ, ეს გამოიყოლიეს  
თქვენის ქალაქიდან, ეს თქვენის უმაღლესობისათვის არ  
არის კარგი, თქვენ ასეთ კაცებს მფარველობას უწევთ, რო-  
მელნიც ჩვენს ერთგულებს სწამლავენ და ხოლავენო“. სა-  
ბუთათ ისიც მოჭყავს, რომ კითომც დადიანის ცოლმა იჩივლა  
ციციანოვთან, რომ სოლომონ მეფის ლეკარმა პატრმა ნიკო-  
ლამ ჩემი ქმარი მოწამლა და ამიტომ მფარველობას კითხო-  
ვო. მეფე სოლომონი პასუხს აძლევს, რომ „მე მყვედრიითო,  
მაგრამ ეგ მართალი არ არისო და ნუ თუ ის-კო სირცხვი-  
ლი არ უნდა იყოსო, რომ ჩემს სამეფოში თქვენს საი-

დუმლო კაცებს გზავნით და ქურდულათ კაცებს აჭერი-  
ნებთო, როგორც ჩუმათ მომპარეთ პატრი ნიკოლაო“. მე-  
ფემ ბრალი აჭყარა პატრს ნიკოლას.

მეფე სოლომონის წერილის შემდეგ, 12 დეკემბერს, 1806  
წელს წერილი მიიღეს თფილისში თვით დადიანის ცოლისა-  
გან, ეს სწერს გუდოვიჩს, რომ თქვენი წერილი მივიღე, კსტან  
უკლასფერი, მაგრამ პატრის ბრალდება ცილის-წამება არისო.  
„მართალია ჩემი ქმარი მოწამლეს და მით მოკვდაო, მაგ-  
რამ პატრი ნიკოლა იმ დროს აქ არ იყო, პატრი მეჩვე  
მოვიდაო. გთხოვთ, რომ პატრი ნიკოლა გაანთავისუფ-  
ლოთ. განსვენებულს ციციანოვს მე მასზე ჩივილი არ მო-  
ვსწერე, არამედ ამბავი მოწამელისა, გიმეორებთ თხოვნით,  
რომ პატრს არაფერი გადახდევინოთ“ პატრს ნიკოლას სი-  
მართლის აღსადგენათ, 18 თებერვალს, 1806 წელს, იმ დროს  
თფილისის კათოლიკების ახატმა ანტონ ფრანცისკუმ წერილი  
მიიღო მძკრეთის მიტროპოლიტის ანტონ ჭუონდიდელისაგან,  
რამეფიც სწერდა შემდეგ: „გრიგოლ დადიანის სიკვდილს  
ტყუილათ აბრალებენ პატრ ნიკოლას, რისთვის დაიჭირე-  
სო, ციციანოვი ხომ მოსამართლე პირი ბრძანდებოდა, სი-  
მართლის მოყვარე, ეს არ უნდა მომხდარიყოსო, მართა-  
ლი კაცი სამართალში მისცეს, სთხოვთ, რომ გაანთავი-  
სუფლონ როგორც მართალი კაციო“. ასეთისავე შინაარ-  
სის წერილი მიიღო გუდოვიჩმა 28 ივლისს, 1806 წ. სო-  
ლომონ მეფისაგან შემდეგის შინაარსის: „ჩვენ ჩუმათ ჩვენს  
სამეფოში კაცი მოგვპარეს, პატრი ნიკოლა მოგვტაცეს,  
იგი არაფერშია დამნაშავე, მართალია, წარსულ კვირას  
გთხოვთ მის განთავისუფლება, ამისთვის ერთი აზნაურის-  
შვილი გამოვეზავნე წერილით, მაგრამ ეს კაცი სამზღვარ-  
ზე არ მიიღეს და უკან გამოაბრუნეს, გთხოვთ, რომ პატ-  
რი გაანთავისუფლოთ, როგორც მართალი კაცი“. რამდე-  
ნიმე ხნის შემდეგ პატრი გაანთავისუფლეს, ეს სტხოვრებდა  
თფილისში და განაგებდა სეკიმო, სეკეფესიო და სკოლის

საქმეებს. შავრამ გარემოებას ვერ ეთვისებოდა. 1807 წელს პატრმა მთავარმართებელს თხოვნა მიართვა და სთხოვა შემდეგი: რომ ოთხი თვით ნება მომეცით, იმერეთში წავიდე და იქ ჩემი მამულების დალა შევკრიბო. ნება-რთვა მისცეს, პატრი წავიდა მალე იმერეთში და იქ დაიწყო ცხოვრება, ეს დროზე არ დაბრუნდა, რადგანაც დაღის აღება გაუჭირდა. იმერეთში მის ცხოვრებას და მოქმედებას ბრალი დასდეს და 1808 წ. 10 იანვარს, გუდოაინი სწებს ტომასსოკს: „მე პატრს ნიკოლას ოთხი თვის ვადა მივეცი, რომ იმერეთში ევლო და თავის ვალები აეკრიფა, მაგრამ აგერ ნახევარი წელიწადიც არის, რომ ის აღარ მოდის, ახლა შევიტყუეთ, რომ იგი თურმე სამეფო საქმეებში ერევა და რევეს ყველას, ნამეტურ ამაგრებს მეფეს, ამიტომ გთხოვთ, რომ ეს პატრი ოსტატურათ დაჭერილ იქმნეს და ჩუმათ თფილისში გამოიგზავნოს“.

პატრის დასაჭერათ ზომები მიიღეს. ერთმა მთავრმა პატრი მიიხმო თავისს, პატრი მივიდა მასთან, ოთხსში რომ შევიდა, ამას უცხათ ტანზე ფარაჯა გადაათარეს, მოუჭირეს ყელში, შეკრეს, შებოჭეს და ღამე თფილისში გამოგზავნეს, ყვირილის დროს სიკვდილი ეჭადოდა მას. 1808 წლის ბოლოს პატრი უკვე თფილისში იყო დაპატიმრებული და გამოძიება სწარმოებდა, გამოძიებაში ფიცხელათ და ოსტატურათ იცავდა საქმეს და თავს მართლულობდა, მაგრამ არ იქმნა, საქმეს არა ეშეკლა-რა. განულო დრომ და პატრმა მოახერხა გაპარვა. თფილისიდან ეს გაიპარა განჯის გზით და გადავიდა ახალციხეში, ახალციხიდან ქუთაისს და მეფე სოლომონს აუწყა საქმის ვითარება. სოლომონ მეფემ პატრი ნიკოლა ახალციხის ფაშასთან გაგზავნა და დასმარებას სთხოვდა, პატრი ჩავიდა ახალციხეში და იქიდან იმერეთში აღარ დაბრუნდა, იქ დარჩა, მალე სოლომონ მეფემ ახალციხეში გადავიდა, აქვე იმყოფებოდა სოლომონ ლეონიძე. თათბირი ჰქმნეს და პატრის რჩევით დაეპატრონა შეადგინეს და ოსმალეთში და საფრანგეთში გა-

გზავნეს საქმის გასაცნობათ. დეპუტატებათ ამოიჩინეს თავადი სიმონ აგიაშვილი და ქაიხოსრო წერეთელი ესენი სულთნის წინაშე გაგზავნეს და პატრი ნიკოლა, როსტომ ნიჟარაძე და ერთი აზნაურიშვილიც იმპერატორ ნაპაღენთან. ერთის და მეორის თხოვნაც პატრმა დასწერა ფრანგულათ, სწერდა შემდეგს: „საქართველოს რუსეთი ევროპის სახელმწიფოთა უჩუპრათ და უცნობლათ იღებს და გთხოვთ, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოთ და იმერეთის სამეფო დაიფაროთ თავისუფლათაო“. წერილში ბეჭი რამ არის კიდევ მოყვანილი, მაგრამ ყველა იმას ჩვენ ვერ მოვიყვანთ აქ. ამავე საქმის შესახებ სემენოვიჩი აი რას სწერს ტარძოსოვს, 18 დეკემბერს, 1810 წელს: „სოლომონ მეფე ერევანში გვეკონათ, ალოქსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ის არტანში აღმოსწინდა, იქილამ ევროპაში კაცები გაუგზავნია და ნაპაღენს და სულთანს დახმარებას სთხოვსო“. მალე ზომები იქმნა მიღებული და 1810 წელს, თებერვალში, იმერეთი აღებულ იქმნა შეერთებულ ქართლთან, მალე განცხადება განფინეს ხალხში. ასე და ამ გვარათ დამშვიდდა და დასრულდა მეფობა იმერეთისა.

იმერეთის მეფობის დასასრულის ამბები მალე იქმნა მიწეწილ სტამბოლში. რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ კროპაში გასული ქართველები. პატრი ნიკოლა ახალციხეში დაესახლა და იქ დაიწყო მოქმედება. ამის ახალციხეში დასახლებამ სიხარულით აღავსო ჭავჭავაძის ქართველ-კათოლიკენი, რადგანაც პატრი ნიკოლა ქართველობდა, მან კროპიულს ენეს გარდა ქართული ენაც იცოდა. კვლევისაში ქართულათ ქადაგებდა, ქართულათაც იტყუოდა ხოლმე ზოგიერთს ლიტურგებს. ეს იშვიათი იყო ქართველთათვის, რადგანაც იმ დროის ჭავჭავაძის ქართველ-კათოლიკეთა მღვდლები სომეხ-კათოლიკეთ ითვლებოდნენ, იგინი კვლევისებში სომხურათ სწინაგდნენ და ხალხს სომხურ ენას ათვისებდნენ, როგორც მათს სჯულის საეკლესიო ენას. ხალხმა ბევრ გზის



ისაუბრს ამასე, ითხოვდნენ მუდარებით, რომ ჩვენ ჩვენს ენაზე უნდა გავქონდეს წირვა-ლოცვაო. ჩვენ ქართველი გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომხის რიგ-წესისაო. ხალხმა ბუკრჯის მისცა საწივრები აქა-იქ, სადაც რიგი იყო და ითხოვდნენ ქართული ენის მთარგმნობას, მაგრამ თხოვნა ყოველთვის უუყრადღებოთ შთებოდა, საქმე ისე სრულდებოდა, როგორც სამღვდელობას სურდა. ეს გარემოება ბუკრჯერ ასწერს „ღროებაში“ პატრიარქიმუღმა ვინმე მესხსმა\*).

პატრი ნიკოლას ასალციხეში დასასაღების საქმე სომეხ-კათოლიკეთ სმოხილთ მღვდლებს დიდათ ეწეინათ, ესენი ამასე დაფიქრდნენ. წინააღმდეგ მოქმედებას მიეცნენ, რომ აქ რომის ლათინთ რიგის ბუკრები არ განხდნენ, თორემ ჩვენს მრევლს იგინი მიიზიდავენო. მაგალითებიც ნახეს. მთელი ჯავასეთი პატრი ნიკოლას აჭყვა, ჯერმინეს, ალოიზს და სიმონს. ამათ გარდა აქ იყვნენ სხვა პატრებიც, რომელნიც დიდათ ქებულ და სასულოვან იყვნენ ქართველ-კათოლიკეთ წინაშე, მაგრამ მათ იქ დიდი გავლენა-გი არ ჰქონდათ, ეკვლესიები სომეხ-კათოლიკეთა რიგის მღვდლებს ებარათ და ლათინთ წეს-რიგის ქართველ პატრებს წირვის ნებას არ აძლევდნენ. პატრებთ შორის ყველაზე ჰგვიან პატრათ ნიკოლას ითვლებოდა. მთელს ჯავასეთში დადიოდა, ყოველ სოფელს მიმოივლიდა, ნასაკდა იქ მცხოვრებთ და ყველა ქრისტიანს სათითაოთ გამოჰკითხავდა ცხოვრების ვითარებას. ამან ისე ოსტატურათ დაიკანა საქმე, რომ მალე პატრიარქიმა თვით ოსმალეთის მთავრობისაგანაც მიიზერო და უკანასკნელ მივიდა იმ ზომიერებამდე, რომ ჯავასეთში განიძრასა ეკვლესიის გაკეთება, სადაც ქართულათ უნდა ეწიროთ სოლმე. აქ ყველაფერი ქართულათ უნდა შეესრულებინათ წეს-რიგი. ეკვლესიის ასაშენებლათ ამოურჩევიათ ძველათ განთქმული აწყვარი.

\*) ვინმე მესხის წერილები „ღროება“-ში 1880—81—82 და 1883 წ.

სომეხ-კათოლიკეთა ხუცეებს ეს ამბავი დიდად ეწეინათ, აღარ იცოდნენ რა ექმნათ. ამათ ვრება მოახდინეს და დასკვნა დაადგინეს, რომ თუ ხატრებს ნება მიეცათ და აქ ეკვლესია აღაშენეს, მაშინ ჩვენი საქმე ცუდათ იქნება, სომხური ენის საქმეს ძირი მოკოთხრება. აქ ქართული ენა იწეებს აღორძინებასა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ნება არ მივსცეთ ეკვლესიის აშენების. აქაც დატრიალდეს ისევე, როგორც საბერძნეთის და სომხეთის სამზღვრებზე მდებარე ქართველთათვის დატრიალდა, რომ დღეს ყველა ისინი გასომხებულნი არიან ენითა. ჩვენ ამის სასარგებლოთ უნდა ვეცადოთ. დაიწეეს ამათ ცდა, რადგანაც კარგათ მიხედნენ რომის ქართველთ წეს-რიგის მექონ ჰატრების ძალას და შნოს. ხატრებთაგანნი სომხის ხუცეების ბორკოტს მოქმედებას ცუდათ უმზერდნენ, ხატრებს ენატრებოდათ, რომ კათოლიკის საწმუნოების მაღარებულნი ყველგვარში და ენაში უოფილიყვნენ, რომის რამდენიც მეტი გვარის მაღარებლები ევოლუბა, იმდენა რომის საწმუნოებისთვის უფრო კარგია, ხატრებს ბჭე ფესვს გაიდგამსო. სომხის კათოლიკეთა ხუცეებს-კი ამის დარდი არა ჰქონდათ, ესენი ფიქრობდნენ, რამდენიც მეტი იქნება ჩვენს ენაზე მოსაუბრე ხალხი, იმდენი ჩვენთვის იქნება კარგი, ჩვენ ვიქნებით საჭიროლო, მაშინ ხატრები ჩვენებს რიღასთვის დასჭირდებათო. სომეხ-კათოლიკეთა ხუცეებში ესეთი ჰჭერი აღრიდგან აღორძინდა და ამის მეოხებით მათ გადაგვარეს 1500 კომლზე მეტი მარტოთ სტამბოლში. დღევანდლამდე იქ დაშთენილია ძრეელ ბევრი ქართველი გვარების ნიშნები \*). კოსტანტინეპოლის ქართველთ კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარს ალექსანდრე ხატრსაც შეუნიშნავს ცხადათ და ცნობებიც შეუკრებია ამ საგნის დასასაბუთებლათ. კონსტანტინეპოლს გარდა სხვა ადგი-

\*) ისტორიული მასალა, ვინმე მესხისა, 1877—78 წლის „ღროება“.

ლებშიაც დიდძალი ქართველობა არის გადაგვარებულ-გასომხე-  
ბული, თუ ენით და თუ გვარით.

ჟამთა ვითარებამ ისე დააყენა ქართველ გვარის საქმე,  
რომ XVIII საუკუნის ბოლოს განახევრდა ქართველთა რი-  
ცხვით საქართველო, ზოგს მასრასში სრულად მოისპო ქარ-  
თველი ერი, მაგალითებ: თრიალეთისკენ, ბორჩხლოს მასრა-  
ში, ესევე მხევედრი ხვდა ჯაკახეთს, ახალციხის და ახალქალა-  
ქის მასრებში გაუქმდა ქართული ენა, მოისპო გვარი ქარ-  
თველთა, ენა ქართველთა, ხალხის უმეტესი ნაწილი გაწყდა,  
რაც დარჩა იმათ რიცხვის ზოგი სომხებს შეუერთდნენ, ზოგი  
კათოლიკებს და ზოგნი გათავრდნენ, ვინც გათავრდნენ, იმათ  
შესძგდათ ქართული ენა, მოლუბის ბრძანებით ზოგ ალაგას აღ-  
მოკვეთეს კიდევ ერთმანეთში სახმარებლათ. ვინც გრიგოორია-  
ნობას შეუერთდნენ, იმათაც ძველათვე დაკარგეს თავიანთი დე-  
და-ენა, ასეთ ქართველ სომხებთაგანი არიან დღეს სომხის  
გვარის ხუციშვილები (ხუციანცი), ღარღაძე (ღარღაიანცი), მე-  
რახიშვილი (მერახიანცი), გორღაძე, მამაცაშვილი, მუხაიძე, ლო-  
მიძე, წერეთელი, ფანიაშვილი, თამარაშვილი (თამარიანცი), და-  
დიანი, ნასყიდაშვილი (ნასყიდიანცი), სამთლიკუდაშვილი, მე-  
ლიაშვილი (ლისიციანცი), მესამთლეშვილი (სეჩნიკოვი), სან-  
დაძე, კალატოზიანცი (ცინარაძე), იერიქოვი, მღებრიევი, ჰარ-  
მაქსიზოვი (მანანაძე), გურგენიძე (გურგენოვი), მაისურაძე (მაი-  
სურიანცი), საინოვი, ფაფაზოვი (მოცოშვილი), მჭედლოვი,  
მეფისოვი, ბეთანელი, ბეთანიის ხეობელი, სოფაროვი, (სოფა-  
რელნი), VI საუკუნის გვარი ქართველის მღვდელ-მთავრის  
გაბრიელ სოფარელის მონათესავენი. ყველას ვერ მოკსთვლით  
აქ. ვიტყვით შემდეგს კიდევ: ქართველ-კათოლიკეთ ირიცხებთან  
ისარლოკები, ძველათ ხურსიძე. დღეს სომხები ამათ ქართველ-  
ბაზე ეჭვობენ, მაგრამ მიდით და ჰკითხეთ იაკობ ისარლოკს და  
იგი დაგარწმუნებთ თავის ძმებითურთ, რომ იგინი ქართველები  
არიან, ძველის ძველის აწინაურის გვარის ხურსიძის შთამომავალ-  
ნი. მთელი ერკუნის გუბერნია, განჯა, შუშა და სხვა ადგილები

ასეთ გადაგვარებულ ქართველებით სავსეა. საუბედუროთ ამ უბედურების წინ-სკლას ბატონ-ყმური გარემოებაც უწყობდა ხელს, მებატონეთაგან გამოწვეულ უკანონო დევნა, რაც სშირათ იმულებულ ჰყოფდა, რომ ქართველთ მებატონეთა დევნილი ქართველ-ყმანი თავისუფლათ მიზნოდნენ უცხო ადგილებში და სომხის საწმუნოებას უერთდებოდნენ, გვარს, სასკლას სომხურათ ირქმეკდნენ და მით თავისუფლდებოდნენ საუკუნო დევნისა და წვალებისაგან. ამის ნიმუში ნიჭიერმა დანიელ ჭონჭაძემაც გააუწყა „სურამის ციხე“-ში. ჩვენის სამშობლო ქვეყნის შავმა ბედმა, შინაურმა აღრუელმა გარემოებამ ასე იმოქმედა ჩვენზე. დღეს ქართველი ერი და ენა მოსპობილია აღმოსავლეთ-საქართველოდამ სამხრეთით დასავლეთამდის. ეს მოხდა სულ ჩვენის ძლიერის თავად-აზნაურების მეტებით, ეს ნაყოფი გამოიღო მათმა გამძვლებამ, მათმა ანგარებამ. განა მართლთ მაშინ კიყავით ასეთები, დღეს უარესობას ჩადიან, რბელაინებმა, ჭავჭავაძეებმა, მუხრანბატონებმა და ბაჩათაშვილებმა და სხვებმა მთელი ქართველი გლეხ-კაცობა დაარბიეს. დღეს ქართლისა და კახეთის გლეხ-კაცობას ამთგან პირში სული აქვს შეხუთული და დარბეული გლეხები მისათ არიან, რომ გასომხებას გარდა გათათრდნენ კიდევაც.

ასე იყო ქართველ გვარის პირობები დაყენებული, ამათ გადაგვარების საქმეს ერთობ ხელს უწყობდა სხვა და სხვა ტომთ სამღვდელთ ენერგიული მეცადინეობა და შრომა. ჩვენ ამის შესახებ მტკიცებით ერთობ შორს არ წავალთ. მიუბრუნდებით ისეკ ჰატრს ნიკოლას, რომელმაც პირველათ დაიწყო მოქმედება ქართველ გვარის სასარგებლოთ, ამან აიყოლია მრავალიც სხვა ჰატრები და იგინიც დაარწმუნა მისზე, რომ საქართველოში კათოლიკენი ქართველის გვარისანიც არიან და მათ ეკვლესიებში დედა-ენაზე უნდა ჰქონდეთ წირვალაოცვა, ქადაგება და აღსარების თქმაო. ჰატრების მეტებით ქართველ-კათოლიკენი რომმა აღრეკე იცნა, სომეხ-კათოლიკებმა-კი ეს არ ქმნეს, არ იყაბულეს, ამათ არამც თუ ქართველ-

კათოლიკების გვაროვნობა იცნეს ჭეშმარიტებათ, ანამედ განა-  
ვრცეს ისეთი უხიაკი ჭაზრებიც-კი, რომ „ერთომც ქართველ-  
კათოლიკენი სომხის გვარის შთამომავალნი არიან, ხო-  
ლო ქართველთა მეოხებით მიზიდულნი და გაქართველე-  
ზულნი გვარტომობითაო, ლათინის რიგის პატრები გან-  
ძრახ ქართველობენ, მათ სხვა გულის ტკივილი აქესთ, ამის  
წინააღმდეგ მოქმედება გეჭირიაო“ და აი რა გვარ და რა-  
გორ უმოქმედნიათ მექართულე პატრების დასამხრობათ.

უგანსსკვლელ საქმე რომ გაჭირდა, ჯვარსეთის ქართველთა-  
გან ზოგიერთებმა იწვეს საქვეყნოთ მხილება, რომ ჩვენ ქარ-  
თველ გვარის კათოლიკები კართ და არა სომხისაო, ჩვენ ქარ-  
თული ენის მცოდნე პატრები გვინჯაო, ჩვენმა სუცებმა ქარ-  
თული არ იცინაო\*). ეკვლესიები სომეხ-კათოლიკებს ჭქონდათ  
დაჩემებული, იქ რომის ლათინთ პატრებს არ უშეკებდნენ სამ-  
წირველთ. ოსმალის მთავრობის დროს ეკვლესიების კეთე-  
ბის ნებას ქრისტიანებს ადვილათ არ აძლევდნენ, მაგრამ პატრმა  
ნიკოლამ იმეცადინა და სტამბოლში ნება აიღო, აწყვერში  
მღვთისმშობლის სახელსე, ქართველ-კათოლიკეთ ეკვლესიის  
აღშენებისა. ამ დროს სასლცისის ფაშათ უსუფი მჯდარა. მე-  
ლიქ ელიზბარა მამსასლცისათ ყოფილა, კოკიტა უფროსათ.  
ამაკ დროს ყოფილა დიდი ტერ-იოვანესი (გაგვარებული ქართვე-  
ლი) ზოდოს ეპისკოპოსის პაპა. პატრმა ნიკოლამ მალე ქვა,  
კირი და შეს დაამოადა, მერე მოვიდა და ფირმანი ფაშას უჩვე-  
ნა, ცოტა ქრთამიც მისცა. ფაშამ ნება დართო მონასტრის  
აშენების. შენება მალე დააწყებინა და მონასტერი რამდენიმე  
ხნის შემდეგ მისათ იყო, პატრები უნდა დასასლებულიყვნენ აქ  
და სასლცისის შემდეგ ცენტრათ აწყვერი უნდა დაენიშნათ, რო-  
მის ლათინთ რიგის ქართველი პატრები აქ მოვიდოდნენ, აქ  
ისადგურებდნენ და აქედამ დაიწყებდნენ ქართული ენით მოქმე-  
დებს. პატრების მონასტერი გააკეთეს ძველი ქართული აწყვე-

\*) სოფ. ველელების თხოვნა, 1882 წ. „დროება“.

რის ეკკლესიის სახელით, უკელა-წმინდის ძღუთისმშობლის.

პატრი ნიკოლას მეცადინეობა უკელამ შეიტყო, და ნამეტურ სომეხ-გრიგორიანის და კათოლიკის ხუცებმაც. ძრიალ ეწეინათ ამათ. განკლელ მცირე დრომ და პატრი ნიკოლას უჩემრათ, ახლათ დამთავრებულს მონასტერს დაეცა აწუკერის მოლას ქალი-მაჯი და დაქცია! ამ საქმემ თავზარი დასცა პატრი ნიკოლას. ამ დროს რომილამ სხვა პატრებიც მოვიდნენ, ქართული ენის მცოდნენი. პატრი ნიკოლას წაჰიდა ახალციხის ფაშასთან და იჩივლა. ფაშა სახლში წაიყვანა, მერე მონასტერში მივიდნენ, ნახეს დაქცეული მონასტერი. საჩქაროთ ფაშამ დაიბარა ყადი, მუფთი, ენინარ ალა, იჯახლები, მოლლები, გამოძიება მოხდა, მერე დაიწყეს დაქცეული მონასტრის ზომვა და უკელაფერა შეიტყეს თუ რა სიგძე-სიგანის ყოფილიყო და რა დაექციათ. ფაშის ბრძანებით დაწერეს უკელაფერი, მერე რიმი მოწამე მოითხრეს, რომ ამ რამა მოწამემ უნდა დაამტკიცოს, რომ ქალი-მაჯი მოლლამ დაქცევიანო, თორემ არა იქნება-რანო. პატრმა მოახსენა, რომ ძალთან კარგი იქნებაო. საქმის გათავების შემდეგ პატრმა ფაშა და მოსამართლენი მიიწვია, შაქრის შარბათი, ყავა და მაჯუნნი მართვა და მერე ესენი წავიდნენ. პატრი დარჩა თავის სახლში და მიეცა დუმილს.

ამ დროს პატრი ნიკოლასთან შევიდნენ სხვა და სხვა დიდი კაცები, ქეთხუდები და სიხარულით მიულოცეს, რომ ასე დაიკავე საქმეო. „თქვენ ფიქრი ნუ გაქსეთო, ოლონთ საქმეს თავს ნუ დაანებებთ და ეკკლესიას ჩვენ აღვაგებთ მალოო. თეთრაშილმა პარუნ(!) სიმონამ უთხრა: ეკკლესიის ერთ გვერდის კედელს მე ავაშენებ ჩემის ხარჯითაო. ხოლო ივანანთ ბატონჯანმა უთხრა: მეორე კედელს მე ავაშენებო. მაქანდრიანთ ზურაბამ უთხრა: ზედა გვერდის კედელს და ბემბეს მე გავაკეთებო“. პატრი ნიკოლას გამხსნეკეს, შემწირველნი პატრმა დალოცა. აქ მოხსენებული გვარები მთლათ ქართველთა გვარებია, ჯავახლები, ძველი ქართველების, სარწმუნოებით კათოლიკების, რომელთაც სომხის კათოლიკეთა

გვარის მოყვარეების მეოხებით თავიანთი გვარებიც სომხურებზე შეუცვლათ. მაგალითებზე ერთ წერილში—ნებიერიძე ნებიერიძე-ნებიერიძისათვის იწოდება, ძველათ ქართულნი, ნებიერიძენი, ძველი მკვიდრნი მცხოვრებნი ჯავახეთისა.

პატრის მეცადინეობა და ხალხის დახმარება სომხის კათოლიკეთს მღვდლებს დიდათ ეწეინათ, მაგრამ პირდაპირ კამათს ვერ ბედავდნენ. ამათ ხალხს სიტუვაც უთხრეს, რომ პატრს დახმარება მიეცით, რომ ეკლესიას გაკეთდესო და არ შეწუხდესო. ამ დროს თემის უფროსათ იმყოფებოდა გადაგვარებული ქართველი დიდი ტერ-იოვანესი, ეს წინაღმდეგ წავიდა პატრების და ხუცებისაგან გათამამებულმა მართოდ ღრიანცვლი: რომ „რას ჩადიხართო, პატრს ნიკოლას დახმარება გინდათ მისცეთ, ერთი ეკლესია გააკეთოთ და მის მეოხებით ორი გაკეთებული ეკლესია დააქციოთო“! ხალხმა მიზეზი ჰკითხეს წინაღმდეგობის: „ჩვენ როგორ დავაქციევთ ორს ეკლესიასო?“ მოწინაღმდეგემ მოასხენა: „რომ თუ პატრებს ეკლესია გაუკეთეთ, მაშინ ჩვენს ეკლესიებში ერთი კაცი აღარ შემოვა, ყველა პატრებთან დაიწყებს სიარულსა და მაშინ უმრევლო ეკლესია დაიკეტებაო. ცვადეთ, რომ პატრს ნიკოლას და სხვა პატრებს ნება არ მისცეთ ეკლესიის შენებისაო, ნაცვლათ მის დაუშალეთ შენებაო, რომ არაფერი აშენდეს, თორემ მაშინ საქმე ცუდით იქნებაო“.

უგანასკნელ ტერ-იოვანესმა აქა-იქ ენაობა დაიწყო, ოსმალის მთავრობას ცუდს რამეებს ასმენდა პატრს ნიკოლასზე. ბერს ალაგას დიდი ქრთამიც დახარჯა. ფაშებს და სხვებს ბერი პატივი მისცა. ყველას ამას ეკვდრებოდა, რომ პატრის მოწმები გაამტყუნეთ, ეკლესიის აშენების ნებას ნუ მისცემთ და რამდენიც გენებოსთ, მე ქრთამს მოგცემთო. ფაშას, მუფთს, უადებს და სხვებს დიდიადი ქრთამები მისცეს. ამათა პატრს ნიკოლასს დაუშალეს ეკლესიის გაკეთება. პატრმა შეიტყო ყოველისფერი და დიდათ ეწეინა, საუკვადურები უთხრა მრავალთა,

მე თქვენი გულისთვის რა სასჯელს არ ვიტან და თქვენს კი ჩემს მტრობაში საერთო, რასა ჰგავს ესაო! ჰატრს ნიკოლას გული გაუტყდა, კელანაფერი გააწყო და ამიტომ ს:უღრის მაშენებლათ იქ დაკავებული კალატონები, დურგლები და მუშები დაითხოვა, რადგანაც ეპკლესიას კედარ გაგაკეთებთო. ჰატრის უკმაყოფილება შეიტყეს გადაგვარებულ ქართველ-კათოლიკეთა იშხანებმა და ირიცხოფუსებმა (!) და ამით მოახსენეს ჰატრს: „რომ ჩვენ თქვენს საქმეში არ ურევივართო. თქვენ კარგათ ბრძანდებოდეთ და ეკკლესიის გაცეთებას როდისმე მოვახერხებთ, ამის იზედი გქონდეთო“. ჰატრი დაამუქეს. უგანასკნელ ამით დააკლეს, რომ ჰატრს მათთვის რკა ასი მარჩილი ესესებინა. ოღონთ უგასესხეთ და რაღა ეპკლესიის შენებას დაიწყოთ, მაშინ ჩვენ მეტსაც მოგცემთო. ჰატრმა მასინათვე ასესხა, სიტყვაც აღარ ათქმევინა. შემდეგ ჰატრის საქმე სხვაფერ წარმართა და ამიტომ ის ფულიც იშხანებს და ირიცხოფუსებს დაშთათ, თუმცა თქმა იყო, რომ მათ ეს ფული შემდეგ დროის ჰატრებისთვის უნდა მიეცათ, მაგრამ მათ არაკის რა გადაუხადეს.

ჰატრი ნიკოლასაგან ქართველთ ეპკლესიის აშენების საქმე მარტოთ ამ აღრეგით არ გათავდა. ჰატრი ნიკოლას დროსვე მოქართულე ასპარეზზე ჰატრი აღოიზი გამოსულა. ჩვენ აქ შემოკლებით სხვა მოქართულე ჰატრების მოქმედებასაც გადააკვლებთ თკაღს. მოქართულე ჰატრებში ქართველ გვარის ჰატრებიც ერივნენ, ესენი თკაღ-ხილულათ მისკდნენ, რომ სომეხ-კათოლიკების სახელ-წოდება ქართველ გვარის მულაზვანთ გარდიქცა. ქართველ გვარს უწყო გაწყალება მუსლიმანობამ; ვინც გამოსულმანდა, მან თავის თავს თათარი უწოდა, ეტრფა რსმალურს ზნე-ჩვეულებას, ენას და დაივიწყა ისლამის მეოხებით ქართველობა. ამავე დღეში მოთავსდნენ ის ქართველნიც, რომელნიც გრიგორიანობას შეუერთდნენ. ეს ეპკლესიის გვარს არ სცნობს, იგი წარმოადგენს ეპკლესიის მთავარ საფუძველს ტახტს და უკვლავ გვარი, ვინც-კი ამ საწმუნოებას



მიიღებს, თუნდ მთელმა ქართველ-აზამ, მაშინ იგინი ამ ტახ-  
ტის ქვეშ უნდა შეიკრიბნენ თავიანთ თანამორწმუნე უცხო  
ტომის ერთან და თავიანთ თავიც მათ მონათესავეთ უნდა  
აღიარონ.

მაგალითებრ, მე რომ მივიღო გრიგორიანობა, იმ დღი-  
დგანვე უნდა უარიც ვყო ქართველობა და სომხსათ ვაღიარო  
ჩემი ვინაობა. ეს მოსაწონი არ არის, ქრისტიანობის მექანი-  
რომელიმე ერის ზოგიერთი მუხლები განა გვარის მელაზაკათ  
უნდა გარდიქცეს, ეს წინაღმდეგია ყველაფრის. ქართველები,  
რუსები და ბერძნები ერთს ეკვლესიას ეკეთუენით, მაგრამ  
გვარტომობით-გი გაცალკეებულნი ვართ, ყველანი ერთის სჯუ-  
ლის ან გვარის სახელ-წოდებით არ ვიწოდებით. გრიგორიან-  
ობას-გი ვინც მიიღეს, იმან იმ დღიდგან თავის გვარტომო-  
ბაც უნდა გრიგორიანებს შეუერთოს და თავის თავზე ხელი  
აიღოს. ასე გამოდის, ასეა დღეს ჩვენში, ასევე იყო წინე-  
თაც. დღესაც ჩვენში ათასობით შეხვდებით ქართველ გვარის  
სომხებს, რომელნიც საწმუნოებით ეკეთუენიან გრიგორიანებს  
და მის მეოხებით სომხსათ იწოდებიან, დროის განმავლობის  
მეოხებით იგინი ქართულს გვარტომობას და ენასაც ივიწყე-  
ბენ. ეს საქციელი არ არის კარგი და მოსაწონი. ასეთსავე  
დღეში ჩავარდნენ ის ქართველნიც, რომელნიც ძველათ კათო-  
ლიკის საწმუნოებას შეუერთდნენ და რომელნიც გარემო-  
ბის მეოხებით ოსმალეთის სამთელბელო საქართველოში მო-  
ემწყვდნენ.

მექართულე ჰატრები ამის წინაღმდეგ წავიდნენ, ამათ სურ-  
დათ, რომ სომეხი სომხსათ დაშთენილიყო და ქართველი ქარ-  
თულათ. ამას ითხოვდა ქრისტიანობაც და მათი მეზობლური  
განწყობილებაც, მაგრამ ეს ასე არ იქმნა. სომხის ხუცებმა ად-  
რევე დაარწმუნეს ქართველ-კათოლიკენი: „რომ თქვენ გვარ-  
ტომობით სომხები ხართ. თქვენი სჯულის ენა უნდა შე-  
ისწავლოთ“. მრევლი ისმენდა სამღვდელთების სიტყვას და  
ასრულებდა ყველაფერს ბრძანებას. ქართველთ თავიანთ თავს

სომეხ-კათოლიკენი უწოდეს. ეს სწარმოებდა მათის მეამიტობით. საქმემ იქამდის მიადწია, რომ XVIII საუკუნის ნახევარს, რომში ქართველ გვარის პატრმა ტულუქანთ დაკითამ თავის თავს სომხის გვარის შთამომავალი უწოდა. ეს პატრი დიდი მეტროფაელე იყო ქართული ენის და რომში ქართული წიგნების ბეჭდვაც დაიწყო 1733 წ. ქართული ენა ადრევე იქმნა კათოლიკეთაგან გომბილი, მის მაგიერ სომხური იქმნა შეტანილ-ადორმინებული და ხმარებული. ეკკლესიაში სომხური ენის ხმარებამ ქართველ-კათოლიკეთათვის უცხო ენათ გარდაქცია ქართული ენა, ხამათ და გამოუსადგურათაც-ვი. რამე საუკუნის მეოხებით ამ მანქანების ძალით გარდაიქმნა და გადაგვარდა დიდი ძალი ქართველობა. ეს გარდაქმნა და გადაგვარება შემდეგაც არ მომხდობა, თუ მღვიძარობა არ იქმნა ამისთვის მოპოვებული. მაგალითად დაკასხელებთ დღევანდელ მხითარისტებთა მოქმედებას, რომელნიც ქართველ-კათოლიკეთა შვილებს ისე იბირებენ, ისე ასომხ-ასხვაფერებენ, რომ მათში ქართველობის რცნებასაც-ვი სზობენ.

პატრმა ნიკოლამ უგელა ესენი კარგათ იცოდა და ამიტომ მან რომს მიმართა. ამას რომიდან უნდოდა დაეწყო მოქმედება, რადგანაც რომის ტახტიც დაარწუნეს მასზე, რომ ვითომც საქართველოში და რსმალეთის საქართველოში ქართველ-კათოლიკები არ სცხოვრებდნენ. პატრი ნიკოლას მსგავს მოდგაწეთ აღმოჩენილას პატრი ალოიზი, ალოიზმაც მიჰზამა ნიკოლას და დაიწყო წინაღობე მოქმედება, მაგრამ აი რა შეემთხვა ამ შირს სხვათაგან. პატრი ალოიზის დროს ჯახახეთში ფაშათ სუმბათიშვილი იჯდა, გაათარებული, ქართველი თავადისშვილი, გაათარებულია ქათ სუმბათიშვილის სიძე, აწუკერის უფროს-ადის შვილი ალი-ბეგი იყო. ერთხელ პატრი ალოიზი პოების მარტიროზ ვართაპეტთან ყოფილიყო, იქ მიუპატრიენით და ერთი ფინჯანი არაყიც დაუღეკია. წკეულების შემდეგ პატრი ალოიზი შინ წაკიდა, მაგრამ გზაში აკათ გახდა, მუცელმა გლეჯა და რკა დაუწყო. გზათ მიმავალი პატ-

რი შევიდა მამასახლისის ჰეტრეს სახლში და ასე შესწივლა:  
— „ხოჯივანანთ ბატონჯანას სახლში მარტიროზ ვარა  
თავეტთან ვიყავ, იქ ერთი თინჯანი რახი ვსვი, მუცელში  
ცეცხლი მეკიდება, ცოტა მაწონი მიშოენეთ“.

მაწონი მალე მოიტანეს, ჰატრმა მიიღო, მაგრამ კერა  
ეშეკლა-რა, შინ წავიდა და იმ დამესვე გარდაიცვალა. მეორე  
დილით გათენებისას, ზემო საყდრის გვერდით შეუჩილან ქეთ-  
ხუდები, ხალხი, ჰეტრე მამასახლისაც დაიბარეს და გამომიბა  
დაიწყეს, ამ შეუჩილობის დროს თანამგვრძობათ აღმოსწინდენ  
ჰატარა სიმონა, ისარკლიშვილა ბატონჯანა, ხანუმიანთ ჰეტრე-  
სა, ქირქინახანთ ყაზარა. ამათ უთხრეს მამასახლისი: „რად სა-  
ჩქაროთ წავიდეთ და ფაშას შევატყუობინოთო“. მამასახ-  
ლისმა ჰატარა სიმონანთ სახლში კრება დანიშნა, იქ შეიყარ-  
ნენ, რჩევა ქმნეს, ჰატრის სიკედილი მარტიროზ ვართავეტს  
დააბრალეს. შემდგომ ამის წავიდნენ ფაშასთან და იჩივეს,  
რომ მარტიროზ ვართავეტმა ჩვენი ექიმი ჰატრი მოწამლა და  
მოკვდაო. ფაშა გაკვირდა ამზე! ერთის მხრით გაუხსარდა კი-  
დეგაც, რადგანაც ვართავეტი ქრთამს მომცემსო. მალე კაცები  
შეჰყარა, მამასახლისი, ქეთხუდები და წავიდნენ საქმის გამო-  
სადიებლათ. ფაშამ ჰკითხა ხალხს:

— ვინ მოჭკვლა ალუიზ ექიმ-ჰატერი? სწორეთ თქვით,  
თორემ დაგსჯით.

— პოების ვართავეტმაო, იქ რახი უსვამს, ამოსულა, და-  
წოლილან და მოკვდარათ.

ამაგე წუთაში ყადი და კაცები ჰატრის ოღაში შეგზავ-  
ნეს და მკვდარს პირი და კბილები გაუშინჯეს. დარწმუნდნენ,  
რომ მოწამლული უნდა იყოსო, რადგანაც კბილები გაშავებუ-  
ლი ჰქონდა და პირიც გალურჯებული. ამ დროს მოვიდნენ  
ვართავეტის მომხრეები და ესენი ითხრადნენ მკვდრის კარ-  
გათ შემოწმებას. თათრებმა სთქვეს: ამას რაღა შემოწმება უნ-  
და, ყველაფერი კარგათა სჩანს, რომ მოწამლული ყოფი-

ლან. ამავე წუთში გახდა პოლკს კართავეტი, ფაშამ კითხვა მისცა:

— ვატრი ალუიზის მოწამულას თქვენ გახრადებენ და რას იტყვიან? სწორე სიტყვა ბრძანეთ.

— მე მაგ საქმის მქნელი არა კარ. შარს მიდებენ, ეგონი ჩემს ბტრებათ გახდნენ ვატრი ნიკოლას შემდეგ. მიუგო პოლკს კართავეტმა.

— ხალხი ასე ამოიბს და შენ როგორც გერჩიოს ისე ჰქმენი და სთქვი, მიუგო ფაშამ.

მერე ქართველ-კათოლიკებს ფაშამ მოწმები მოსთხოვა, მათ მოახსენეს:

— ბატონო, ავი ნახეთ მკედრის გეამი და დამტვიცნეთ, რომ მოწამულეაო. მოწმით აღარავინ გამოხსნდა და ამიტომ საქმე აიჩია. კართავეტს გამართლების საფუძველი მიეცა, ფაშამ ხუთასი მარხილი პოლების კართავეტს წაართვა, ამდენივე ახალციხელ კათოლიკებს და საქმე ასე დააშოშმინა, კიდრე კართავეტი ფუფს მისცემდა, მანამ იგი დაპატიმრებული იყო საპატიმროში.

ასე მოწამულეს და მოკლეს ვატრი ექიმი ალუიზი. იმ დროის გადაბირებულ ქართველ-კათოლიკებში ალუიზი ერთს გულმხურვალე ქართველ მოძღვრათ ითვლებოდა, როგორც შექმლ, ისე ემსახურებოდა თავის მრევლს ქართულის ენით. ამათ დირსებას ის უფრო ამადლებდა ხალხის თვალში, რადგანაც რომიდგან მოსული ვატრები ყოველთვის სწავლობდნენ ქართულს ენას. ესენი ხალხს ქართულს ენაზე ესაუბრებოდნენ და სომხის ფრანგის ხუცები-გი არ შვრებოდნენ. ამას, ესენი აუწყებდნენ ქართველ-კათოლიკებს, რომ თქვენი სკულის ენა სომხური ენა არისო და ამიტომ თქვენ უნდა ისწავლოთ სომხური ენა და ამ ენით უნდა ილაღოთ, ამ ენაზე უნდა გკითხოთ აღსარება, ამ ენაზე უნდა გკესაუბროთ. ჩვენ ქართულ ენას ვერ შევისწავლით. ისეკ თქვენ შეისწავლეთ სომხურიო. რომიდამ მოსულს ვატრებს უეჭველათ ქართული ენა უნდა

შეესწავლათ და მრეკლთან ამ ერთ უნდა ჰქონიეთ საუბარი, ეს დაამტკიცა ვატრმა ნიკოლამ რომში, ამას მოითხოვს თვით კათოლიკობის ინტერესიცო. რომილამ მოსულ ვატრების ქართული ენა სშირათ ზოგიერთ უგვან ქართველთა და სომეხთაგანაც იგმობდა და დაცინებას ეძლეოდა, მაგალითებრ, მთელ საქართველოში მოჭთენეს ძაგება ქართველთ ვატრების ქართული ენის ღაპარაკის კილასი. უგვანნი ძენნი ქართველთა და სომეხთა სშირათ დასცინონენ ღვაწლდებულ და ამაგდარ მამებს, მაგრამ ვატრებს ამაზე გული არ უტუდებოდათ. ვატრების ძაგებას უფრო სულს უწეობდა ქართველთა და სომეხთა სამღვდელთაგან, რომელთაც მთლათ დაივიწყეს ვატრების ის ამაგი და ღვაწლი, რაც ამათ ქართველთა და სომეხთ აღმოუჩინეს და რასაც ესენი მფარველობას უწევდნენ ამ ხალხთა წყვეთ ოსმალებსა და სპარსეთში.

ვატრმა ნიკოლამ საქართველოზე რომში ბევრი ცნობები გზავნა, ამაზე წინეთ. ცნობებს გზავნიდა ვატრი ივანე, ვატრი ანტონი, უგანასუნელ ვატრი ანდრია. ერთი ცნობა მოწმობს, რომ ვატრების რეზიდენცია იყო ახალციხეს. რომი მოჭთენეს ვატრებმა ახალციხის ცნობებით, ვატრები ითხოვდნენ ახალციხეში რომის ან საფრანგეთის კონსოლი დანიშნოს, რომ ჩვენს მოქმედებას თვალ-უფრი ადევნოს და ადგილობრივ ქრისტიანებსაც დახმარება და მფარველობა აღმოუჩინოსო. მეფე ერეკლეც ამას სთხოვდა თურმე იმპერატორს იასებს ვატრი ანტონი მეორეს პირით და ვატრი მავროსი 1782 წ., რომ ახალციხეში კანსული დასვითო, მაგრამ ეს თხოვნა ერეკლე მეფეს ვერ შეუსრულდა, სიშორემ დაახლოლა დახმარების აღმოჩენა.

სწორეთ ასევე ეკედრებოდა იმერთა მეფეც რუსის კარს ბესიკის პირით, 1791 წ., რომ რუსეთმა ახალციხეში კონსოლი დანიშნოსო და ეგები მით ჩვენს ქრისტიანებს რამე დახმარება აღმოუჩინდესო. მაგრამ არც ერთი, არც მეორე და მესამეც არ შესრულდა. 1792 წ. ვატრი ნიკოლა და ვატრი

ანდრიაც ითხოვდნენ ახალციხეში კონსოლის დადგენას, მაგრამ მანც კერ მოხერხდა. ჰატრების ჰაზრით ახალციხეში საფრანგეთის კონსოლის დადგენა უფრო მიტომ იყო საჭირო, რადგანაც ქრისტიანთ დევნა შემცირდებოდა, ნამეტურ გათათრება, ათათრებდნენ სშირათ თვით ჰაჰის მთარკელობის ქვეშ შესულს კათოლიკესაც-გი.

რაც ხანი გადიოდა, მით ჯავახეთში მოქართულე ჰატრების რიცხვიც მრავლდებოდა. ამათი გამრავლება დიდათ აღარდებდა სომეხ-კათოლიკეთა ხუცებს. ჯიბრით სომეხ-კათოლიკეთა ხუცები გრიგორიანთ სამღვდელეობას დაუხსლოდნენ, კათოლიკების ეკკლესიები დაკეტეს, გასაღებები კიმიამინის სინოდს გარდასცეს და კინაღამ თვითონაც გრიგორიანთ ეკკლესიას ჩაბარდნენ ჯიბრით. ამ ამბებმა მრეკლში დიდი აღიაქოთი ასტესა, მრეკლი ორ ნაწილათ გაიყო, ერთნი ითხოვდნენ ქართულ წეს-რიგის მექონ ჰატრებს, რადგანაც იგინი ქართველის გვარისანი იყვნენ და მეორენი სომხის წეს-რიგის კათოლიკის მღვდლებს ითხოვდნენ, ესენი ჯიბრით გრიგორიანობასაც-გი შეუერთდებოდნენ. დიდი არე-დარევა მოხდა ხალხში. მთავრობა ცუდათ მზერდა ამ საქმეებს, ამბოხების ბრალს ჰატრებს სდებდნენ, ამას ესმარებოდა მარტიროზ ვართაჰეტის და სხვების დაბეზღებანიც. მთავრობა შეაშინეს, რომ ჰატრები ხალხს რეკენო, ამიტომ ჯავახეთში მეოფი ქართველთ ჰატრები მოაგროვეს ერთათ და გარევეს დასაპატიმრებლათ ძველის ძველ ქართველთა ბარდოსის ციხეში, ყარსის ახლოს, ერუშეთსა და ჩილდირის ხეობის შუა.

ჩილდირის ხეობაში გამაჰმადიანებულ ქართველთ დღევანდლამდე შეინახეს ქართული ენა, ამაკ ხეობაში არის დანაშთენი ბაგრატის დიდი ტაძარი, სადაც მიწერილია, რომ აქ ყოფილა 1795 წ. ჰატრი ბასილიო მანთოელი და 1808 წ. ჰატრი პოლიქარტო მანთოელი. უწიან, რომ ვითომც ყველა ეს უბედურება ჰატრებისა იყო გამოწვეული ჰატრი ნიკოლას მოქმედების მეოხებისაგანო, რადგანაც ქართველთ და სომეხთ

კათოლიკეთა შორის დიდი მტერობა და შიფოთი დაითესა. უწყის ღმერთმან, რომის ლათინთ ჰატრებს ჰოლიტიკურის და გადაგვარების ოცნების გვიშვი სულ არაფერი ჰქონდათ, ესენი მონანი იყვნენ ქრისტიანი, ქრისტეს ჰატრიისმცემელნი და ქრისტიანობის მადიარებელნი. ესენი ყველას თანასწორათ ეპურობოდნენ, რომის ეკლესიის წინაშე სომეხი და ქართველი ერთი იყო, იგი ყველას თავის მეთ აღიარებდა. ხოლო ჰატრებს არ მოსწონდათ კათოლიკეთაგან გვარტომობის შესახებ ბრძოლა და კამათი, ესენი ამას რომის საზარალთ მხედრდნენ. ჰატრები მართლ-მსაჯულებს ადგნენ, ესენი იცავდნენ ქართველობას, ამათ ქართული ენა უფრო ემარჯვებოდათ შესასწავლათ. მაშასადამე არც ჰატრი ნიკოლა და არც სხვა ჰატრები აქ დამნაშავენი არაფერში იყვნენ.

ჰატრებს დეენა, ეკლესიაებში ქართული ენის მოსპობა, ეკლესიის კედლებზე ძველი ქართული წარწერების წაშლა და ქართული სახის და გვგების გაქრობა ადრიდგანკა შემოვიდა სომეხთაგან დასაყლოთ-საქართველოში. ამათ თავიანთის ოსტატობით ბეკრი შესანიშნავი ტაძრები დაიკავეს, მაგალითებრ იშხნის და ხახულის ხეობის ახლოს, თორთომის ტბასთან სძვეს შესანიშნავი ტაძარი, ბაგრატ ერისთავთ ერისთავის მაგისტროსისაგან აღშენებული X საუკუნეში, კედლის წარწერანი მოწმობენ ამ დიდებული ტაძრის ხელოვნებას და მნიშვნელობას. დღეს ეს ტაძარი სომეხებს უკავიათ და კანქს უწოდებენ, ამ ტაძარს გარდა ბეკრიც სხვა ტაძრები დაიკავეს და ბეკრს ნაშთებზე წარწერებიც მოსპეს, რომელ ნაშთების უმეტესი ნაწილი X, XI საუკუნეებშია აღშენებული. ასეთსავე დღეში ჩავადრდნენ ჯავახეთის ქართველთა ტაძრებიც, რომელთა ხილვამა და შემუსვრამაც სისხლის ცრემლით მატირა! ართვინის კათოლიკეთა ეკლესიაში დღევანდლამდის სძვეს ძველი ქართული ხელთნაწერი სახარება, ხუცურათ ნაწერი. დღეს ეს სახარება მათთვის საჭირო არ არის, იგი სახარება შესანიშნავი ჰალიოგრაფიის მხრით, მხატვრობით და

არქეოლოგიის ნაწილით. ძვირფასი განძია. 500—700 მანათი ამღიეს და არ გაყიდეს. აქ ერთი კითხვა უნდა დაკადგინოთ: ართვინში თუ ქართველი კათოლიკეები არ იუვენ და მათი ეკკლესიებში თუ ქართულს ენაზე არ კითხულობდნენ საეკკლესიო წიგნებს და ნამეტურ სსხარებას, მაშინ ამ წიგნს და ან სხვა ქართულ წიგნებს, რომლებიც მე მინახავს, რათ შეიტანდნენ კათოლიკეთ ეკკლესიებში და ისიც სომხთ სმობილს ფრანგის ეკკლესიებში? ვამბობთ, რომ წიგნები იმიტომ შეჭჭანდათ მაშინ, რადგანაც იმ დროის ქართველ-კათოლიკეებში ჯერეთ კიდევ ქართული ენა ისმარებოდა, ქართველ-კათოლიკენი თავიანთ გვარტომობას ქართველათ სთვლიდნენ, დედა-ენათ ქართულ ენას. ამის დასამტკიცებლათ კმარა ზემო მთქვანილი მაგალითი, ძველათ ვატრები არამც თუ მსუდრულს ქართულს სწავლობდნენ, არამედ ძველს სუტურსაც-კი, დღეს-კი ეს ისე აღარ არის, ართვინში მთლათ გაგვარებულნი არიან, იქ ქართული ენის არავის-და რა ახსოვს. ასე იცის თავის-უფაღმა ეკკლესიამ და მისმა ენამ. დღეს საეჭვოთ ხდება მრავალთათვის ისიც-კი, რომ ართვინისკენ რდესმე ქართველებიც-კი უფილიყუნენ, მოგესხენებათ, რომ ართვინი ქართველების ძველი ქალაქია „ართვინი“ ქრისტეს წინეთ დაარსებული.

ქართველ ვატრებმა და კათოლიკებმა ადრევე იცნეს ქართული ენის აღსასრული, შეამცნიეს მათ ვარჯათ, რომ სომხის კათოლიკეთა მღვდლების მეოხებით ქართულს ყველაფერს ძირი მოეთსრებოდა, ამიტომ იწუეს წინაღმდეგ მოქმედება, მრევლის მოქმედება სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებს არათ ეპიტნავათ, ამათ ეკკლესიებიდამ შეჩვენება გადმოიძსეს: რის მცნისია ქართველათ თავის-წოდება, რა სარგებლობა გამოკვამიდა, ქართველათ წოდებას თვით რსმაღეთიც ღერძალაგსო. ეს ასეც იყო, მას შემდეგ, რაც რსმაღეთმა დასავლეთ-საქართველო დაიკავა, ქართველებსაც დაუწო დეკნა, სიტყვა ქართველიც-კი აღერძალეს. ვისაც ჰკითხავდნენ გვარტომობას, იმას ქართველი უნდა დაეძალა. ვატოცტემულმა ქართველ-კათოლიკე-



თა მოძღვარმა ივანე გვარამამემ დასაბუთებით აღგვიწერა ეს სამწესწერო მოკლეა, რომ ძველათ ქართველნი ოსმალთა შიშით ქართველობას მალაგდნენო, რადგანაც ქართველნი ოსმალთაგან სასტიკათ იდეგნებოდნენ, ამიტომ კათოლიკეთა ზოგნი თავიანთ ვინაობას სომხათ აღიარებდნენ და ზოგნი ფრანგათაო. ესევე ჰაზრი წარმოსთქვა პატრიარქულმა ქართველმა პატრმა ისხანოვმა, კონსტანტინუპოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარმა, რომ ქართველ-კათოლიკენი იმ გარემოების მეოხებით უფრო გასომხდნენ გვარგონობით, რადგანაც ოსმალნი ქართველ-კათოლიკეთ წოდებას ჰკრძალავდნენ \*), არც ბერძნის ეკკლესიის მღვანებულთ და არც რომის ქართველ-კათოლიკეთ ქართველთ წოდების ნებას არ აძლევდნენო. ამ გარემოებამ გამოიწვია ქართველ-კათოლიკეებში გვარგობის გადაკეთებაც-კი.

ასე იყო მოწირობილი ქართველთა ბედი, ქართველ გვარს უოკლენაინათ ეცრებოდა გზა-კვალნი, მისთვის ვერც მაჭმადანობა აღმოსხნდა გვარის მფარველათ და ვერც მართლმადიდებლობა. მაჭმადანობამაც, გრიგორიანობამაც და კათოლიკობამაც ქართველ გვარს ჩაყლაპვა და გაქარწილება დაუწყო. ამ მოკლენას მსოფლიდ რომიდან მოსული პატრები ეწინააღმდეგებოდნენ და ამ წინააღმდეგობამ ისეთი ამბოხი გამოიწვია, რომ ხალხი მალე ორ დასათ გაიყო, მექართულე კათოლიკეების და სომეხ-კათოლიკეების. ამათში კამათიც ატყდა, სომეხ-კათოლიკეთა სამღვდლოებამ ღონისძიება იხმარა და როგორც ესთქვით, მექართულე პატრები ბარდუსის ციხეში ჩაყარეს. პატრების დაპატრიარქების ცნობები მალე რომში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ჰაგასეთში გამოცხადდა სომეხთ ხუცების განდევნაც. განდევნამდის ოსმალთს მემიშე ეფენდომ ასწერა კათოლიკეების ეკკლესიები, ნიკთები, ფუღი, თვალ-მარგალიტი და ამის სია მარტიროზ ვართაპეტს მიიხარეს. ეკკლესიები დაკეტეს, ხუცე-

\*) „ივერია“, 1894 წ.

ბი გარკვევს და გასაღებები ეჩმიაძინს გარდასცეს! ვის და რის მანქანებით, ეს უწყის ღმერთმან. მცირე ხნის შემდეგ ეკვლე-სიები ჩაბარდა პოლეს ვართაპეტს და იონე ვართაპეტს. იონე ვართაპეტის ვეჭილათ ყოფილას აბაზაშვილი (აბაზაძე) ძე ტერ-იანესი. ქართველ-კათოლიკენი დარდით აღვსილან, მალე კრე-ბა მოუხდენიათ ახალციხეში და ზოგიერთებს გამოუცხადე-ბიათ, რომ ეკვლესიები დაგვიკეტეს, ხუცები ეჩმიაძინის ტუკოთ არიან და ეკვლესიებიც პოების ხელშიაო. რას ბრძანებთო, კენ-დოთ, თეთრი შეგვკიბოთ და ხუცები დავისხნათო. ხალხი ორათ გაიყო, მექართულე კათოლიკეთაგანმა ისარლიანთ პეტრეას-შვილმა სიტყუანემ წამოიჩიოქა ხალხის წინა და სთქვა:

— პატრებო! იმათთვის რას ამბობთ, რომ ისინი ცი-ხეში თათრების ხელში იყვნენ, ჩვენ განა შეგვფერის, რომ ქე-ბული ნიკოლა პატრი დავივიწყოთ, მისი ამაგი, შრომა ჩვენ-ზე დადებული, პატრები ციხეში დაღვნიენ და ჩვენ-კი სომეხ-კათოლიკების ხუცები დავისხნათ ეჩმიაძინისაგან? ეს არ შეი-ძლება, ჩვენ ქართველი გვარის კათოლიკენი ვართ, ჩვენის მე-ხებით პატრები ციხეში სხედან და ჩვენ-კი მასზე არას ვფიქ-რობთ. სომხის ხუცებს რა დახსნა უნდათ, ისინი ეჩმიაძინს უერთდებიან, გრიგორიანობას სჩემობენ.

მოწინაღმდეგებს ეწყინათ ეს სიტყვა, ანუ ქართველთ გარ-როკნობის უარის-მყოფელებმა მიუგეს:

— ჩვენ პატრების საქმეში არ ვერეკით, პატრებს ხელ-მწიფე ჭყავთ, ელჩები, ულუფა აქვსთ რომიდამ, ხელმწიფიდამ, ჩვენ იმათთან საქმე არა გვაქვს.

ისარლიანთ პეტრეას-შვილმა მოასხუნა სჩქაროთ:

— ეს არ შეიძლებაო, ჩვენ ჯერეთ პატრები უნდა და-ვისხნათ და მერე ეკვლესიებიო, ეკვლესიის გასაღებები პატ-რებს უნდა გარდაეცესო. მე ათას მარჩილს დავსდებ პატრე-ბისთვის და ხუცებისთვის ათს ფარასაც არ გავიმეტებ, გეუ-წყობოდეთ ეს.

ამ სიტყვებს შეუერთდნენ პატრების პატივისმცემლები,

მათი მრეკლნი: სანუმაშვილი ჰეტროსა, ფირუაშვილი ჰოლო-  
სა, ბატონჯანანთ ოსეთა, ჰატარა სიმონა, მეწვრიმალე აკო-  
ფა, მეგურტნე ესტატე, ტინტიკაშვილი ჰეტროსა, შანაზარავი  
(შანაძე) ოსეთა, დურგლისშვილი ოჭანეზა, ტერ-არაქელის სი-  
ძე, მეწვრიმალე გოდერძა და მრავალიც სსკანი, ესენი მკაცრათ  
ითხვდნენ:

— ჩვენ ჰატრები გვინდა!

ქვემო სავდარში დიდი ჩხუბი მოხდა ამაზე, ხალხი შუა  
გაიყო, ნახევარმა მეჭართულე ჰატრები ითხოვეს და ნახე-  
ვარმა სომხები. უსიამოვნება გამწვკადა, ხუცების მომხრეებმა  
ზიარების წინაშე ფიცი მისცეს, რომ ოღონთ თქვენ დაწყნარ-  
დით და ჩვენ შეგვიერთდებით და პირველათ ჰატრები დაკისხნა-  
თო. მალე კათოლიკენი აღწერეს და აღწერა სომხის კართაპეტს  
გარდასცეს, ჩასახარებლათ ხუცების და უფრო-კი კემიანის,  
რადგანაც ხუცები მიმხრობილნი იყვნენ, რომ იგინი კათოლი-  
კობიდან უნდა გადამდგარიყვნენ და გრიგორიანობას შეერ-  
თებოდნენ. ამ საქმეს სასტიკათ დაუშალეს ჰატრებმა, ჰატრები  
რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს ქართველ-კათოლიკენი სულ შეერ-  
თებულ იქმნებოდნენ გრიგორიანობასთან. სომხის ხუცები მა-  
ლე განთავისუფლდნენ და ჯავახეთში მოვიდნენ.

ამაჲ დროს, სტამბოლიდან მოვიდა ჯავახეთში ერთი თათ-  
რის ფაშა და თან მოიტანა საფრანგეთის ელჩის ფრანსიო-  
სეს ბრძანება ჰატრების გასანთავისუფლებლათ. ჰატრები მა-  
ლე განთავისუფლეს ბარდოსის ციხიდან. ასაღციხის ქრის-  
ტიანთ მამასახლისმა ისე მოახერხა, რომ ჰატრებს ფაშამ არა-  
ფერი ქრთამი გამოართო. ჰატრები მოვიდნენ ჯავახეთში, ამათ  
თავიანთი სახლები სხეებისაგან დაკავებულები დახვდათ, ზოგს  
სახლებში ოსმალთა ჯარის ფქვილი ჩაყარათ. ჰატრებმა და-  
იწყეს ენერგიულათ მოქმედება, ამათ მოქმედებას მრავალნი  
მტრობდნენ, სურდათ ჰატრების დახაგვრა, გაცარცვა და რა-  
ღაც ხრიკების ჩადენა, რომ მის მეოხებით ჰატრებს მოხეზ-  
ებოდათ და უკანასკნელ წასულიყვნენ, ქართველ-კათოლიკეთა

პატრონობისთვის თავი დაენებებინათ. მტრები აქ კერძს ასერ-  
ხებდნენ, მერე სოფელ უდელი ტერ-პოლდოსი სტამბოლში გა-  
გზავნეს, თან გაატანეს ტყუილი ვექსილი და სტამბოლში  
მყოფ კათოლიკეთა ეპისკოპოსს საჩივარი გაუგზავნეს, რომ  
პატრებს ჩვენ იფული მართებთ და მოგვეცით, პატრები ჩვენ  
დავისსენით, იფული ჩვენ დაგხარჯეთო. ეპისკოპოსი ფრაფურ-  
თუნათოს შეეკითხა. მერე გამოძიება მოსდა, ტერ-პოლდოსი იქ  
დაიკავეს და პატრს ჯერმინეს წერილი მოსწერეს და ჰკითხეს,  
რომ ტერ-პოლდოსი მოვიდა, თქვენი ვექსილი მოიტანა და  
იფულს გოთსოკსო და შეგვატყობინე მარათადა თუ არა?  
პატრს ჯერმინეს ჯგერნი მოუვიდა ამ ცილისწამებისთვის და  
მალე ვასუსი მისწერა და უარი ჰყო საჩივარი და ვექსილი.  
პატრმა ჯერმინემ გამოძიება დაიწყო და აღმოჩნდა ცნობები,  
თუ ვინც ყოფილიყვნენ ამ საქმის მოთავენი. სტამბოლში ვა-  
სუსი ჩავიდა, ფრაფურთუნათომ შეიტყო და დიდათ ეწეინა.  
ტერ-პოლდოსი იქ დაიკავეს და ანტხინეს, მაგრამ ვის რა შერ-  
ცხებოდა. სომეხ-კათოლიკეთა ბრძოლა ქართველთა წინაშე  
არამც თუ მარტოთ პატრების დევნით იყო აღბორგებული,  
არამედ ყოველნაირ ძლიჭენულობით, გვართ-ყლავიობით და ქარ-  
თული ენის დევნით.

მიანც რომის და პოლშის პატრები მუდმივ ბრძოლას  
კერ მოეწვივნენ, ამათ ხელი აიღეს ყველაფერზე, სომეხ-კათო-  
ლიკეთა ძლიერებს ეუწყათ, რომ საქართველოს ამიერ და იმიერ  
მხრის კათოლიკეების საქმე ეძარათ და რაც უნდა ექმნათ, ამა-  
თაც ეს უნდოდათ, მიაღწიეს გულის საწადელს და აღადგინეს  
თავიანთი ნატურა და წადილი. ოსმალეთის სამფლობელო სა-  
ქართველოში მისწყდა ხმა ქართველ-კათოლიკეთ გვარის მო-  
ძრაობისა და მოქართულე პატრებისა. პატრებს ბინათ დაშთა  
მარტოთ საქართველოს და იმერეთის სამფლობელოები. აქ  
გაიმაგრეს ამათ ფეხი და მეფეებთაგანაც დიდათ პატივცემულ-  
ნი იყვნენ, რადგანაც იგინი ქებულნი იყვნენ ყველაფრით და  
ნამეტურ ქადაგებით და ექიმობით. პატრი ჯერმინეს და ამის

ძმათა ჰატრების შემდეგ დიდმა ხანმა აღარ განკლდა, რომ ახალ-  
ცინე რუსებმა აიღეს და ამიტომ ახალციხის კათოლიკეთა სჯ-  
მეებიც სხვათურთ უნდა შეცვლილიყო, იგი უნდა შეერთებოდა  
ამიერ-საქართველოს რომის ქართველთა კათოლიკეთა კონსის-  
ტორიას, რომელთა ეპისკოპოსათ მამინ ირინცხეობდა ცნო-  
ბილი გამომხენილი ექიმი და ვიცე ვიკარი ფილიპე, რომელიც  
მეფეების დროდგანვე სცხორებდა აჭა და ეს ჰატრი თავ-  
გამომეტებითაც კაცთმოყვარეობდა, ამიტომ აქ ცოტას კიტყვით  
მასზედაც რამეს.

ჰატრი ფილიპეც იყო ისეთ მალალ სათნოებისანი მოძღვარ-  
ექიმი, როგორც სხვა ჰატრები, იგი იყო დაჯილდოებული  
დიდის კაცთ-მოყვარეობით, დიდის მსხეობით, ენერგიით, შრო-  
მის სიყვარულით, მალალის უმანკოებით და ხალხის სიყვარუ-  
ლით. ამათ გვამში საყოველთაოთ სჩქებდა ერის სიყვარული.  
ესენი კათოლიკებს დიდის თანამომხრეობით ჰჰატრონობდნენ,  
კათოლიკების გარეშე ყველას მამათ ითვლებოდა ფილიპე. სა-  
ქართველოში ყველამ იცოდა ჰატრი ფილიპეს ხსენება და ჰატ-  
რი ნიკოლასი.

ჰატრი ფილიპე დაიბადა 1777 წ. შთამომავლობით იტა-  
ლიელი იყო, ჰატარაობიდანვე რომში გაზდილი, სამღვდე-  
ლოების ხელში, სრულიად ახალგაზდა ემაწვილმა კაცმა დაამ-  
თავრა სასულიერო სწავლა. სასულიერო სწავლის გარეშე ეს  
იყო მეტრფილე სხვა და სხვა ენების და ნამეტურ ქართული  
ენის. ქართული ენა ამან რომში გაიცნა. ჰავის კოლეგიაშივე  
დაიწყო სწავლა ქართულის ენისა და რამდენიმე ხნის შემდეგ  
საქართველოში დანიშნული და გამოგზავნილი. როგორც ზე-  
მოთაც მოვიხსენეთ, ეს მოჭყვას დამიანე ანკოლეასა და სრუ-  
ლიად ახალგაზდა ბერმა ერთობ მალე შეისწავლა ქართული ენა,  
ზედმიწეებით, უფრო უკეთესათ, ვინემც ახატმა დამიანე ანკო-  
ლეაძმა.

ჰატრმა ფილიპემ ქართული ენის გაცნობის შემდეგ ერ-  
თობ მალე გაიცნო საქართველოს კრი, ნამეტურ ქართველ-გა-

თოლიკეთ კითარება, ეს დაუხსლოკდა არა მარტოთ თფილი-  
სის კათოლიკებს, არამედ ქართუკლებს, სომხებს და თკით  
თათრებსაც. იყო შესანიშნავი მქადაგებელი, კაცთ-მოყვარე, ქრის-  
ტიანობის, რომის ეკკლესიის, ჰაპის, მეცნიერი კაცი სამღთო  
საგნებში, მასთანვე გამოცდილი ექიმი, ნამეტურ ჯარა-ექიმო-  
ბის, კარგათ მცოდნე ბებიობის და ბეკრიც სსკა რამის. იყო  
საყვარელი მთელის ქართუკლობის, ყველას მამა, მფარველი, მძა  
და მეგობარი. ამან დიდის ერთგულობით იღვაწ-იშრომა ქარ-  
თუკლ-კათოლიკეთა სსსარგებლოთ და 1839 წელს მიიცვალა  
ღრმად მოსუცი, მრეკლის სამსახურისსაგან დიდათ დაღლილი.  
იგი დასაფლავეს სოლოლაკზე, ფრანგების სსსაფლავს ეკკლე-  
სიაში, რომელ ეკკლესიაც თკით ჰატრმა ფილიპემ გააკეთა. საფ-  
ლავს აქეს თლილი ქვა და მასთანვე წარწერა, რომ იქ განი-  
სვენებს ჰატრი ფილიპე. ჰატრი ნიკოლას შემდეგ საქართუკ-  
ლოს კათოლიკებს ფილიპესთანა აღარავინ მოკლენიათ თკით  
დღევანდლამდე. ამობენ, რომ კითომც ჰატრი ნიკოლას ცხოვ-  
რება დაბეჭდილია ერთს სამქადაგებლო ფრანგულს ყურნასს  
„მისიონ კატოლიკ“-ში, კარგი იქმნება მოსტებნოს ვინმემ ეს  
ცნობები და გადმოსთარებნოს ქართულათ.

ჰატრი ნიკოლას იყო მღვიძარე გვამი, მეფე ერეკლეს სი-  
კდილის შემდეგ ამან მალე წერილი გაგზავნა რომში ჰაპა პიო  
მეექვსესთან და აუწყა მეფე ერეკლეს გარდაცვალება, გიორგის  
გამეფება და საქართუკლოს რომის კათოლიკების კითარება.  
ჰატრი სთხოვდა ჰაპს, რომ მეფე გიორგისთან ბერები გა-  
მოგზავნეთ მოსალოცათ, მოულოცეთ მეფობა, დალოცეთ მის  
მეფობაო. ჰაპმა ყურადღება მიაქცია ჰატრი ნიკოლას მოხსენე-  
ბას და მალე საქართუკლოში გამოგზავნეს აბატი დამიანე ან-  
კოლელი და სამიც სსკა ბერები.

აბატი დამიანე ანკოლელი მალე მოვიდა თფილისში, ამას-  
ვე მოჭყყა თან ახალგაზდა ჰატრი ფილიპე. ესენი მალე წარ-  
სდგნენ მეფე გიორგის წინაშე და მიართვეს ჰაპისსაგან გამო-  
გზავნილი ლოცვა-ყურთხევა, ანუ ბულლას. მეფე გიორგის აუწყა

დაწვივრებით ყოველისფერი ნიკოლამ. მეუფეს დიდათ ესამოგნა ჰაპის მოლოცვა, დამიანე ანკოლელს და ფილიპეს ნიკოლას პირით ჯეროკანი პატრიარქისცემა და სიუკარული გარდასცა.

საუბრის დროს მეუფე რომიდან მოსულ პატრებს გამო-  
ჭვითხაკდა ეკროპის ამბებს და პატრებიც მოუთხრობდნენ ნი-  
კოლას დასმარებით. სწორეთ ამ დროს და ამ პირების მეხებით  
განითესა საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის მდგო-  
მარობის საქმე. ეველას ამბების განთესვა ნიკოლას ეკუთვნის.  
ეველამ კარგათ ვიცით, რომ გიორგი მეუფე ფანატოკი კაცი  
იყო, ამის მართლმადიდებელ ეკლესიის გარდა სხვა აწაფერი  
სწამდა, კათოლიკობა და სხვა სჯულნი უბრალო რამეთ მიანდა  
წინაშე მართლმადიდებელ ეკლესიისა, ასევე უთხრა დამიანე ან-  
კოლელს:

— პატრო! მე კათოლიკის სარწმუნოება არ მიუყარს,  
რადგანაც მე ორთოდოქსი ვარ, მე მიუყარან და პატრიარქსცემ  
პატრებს, რადგანაც იგინი სამაგალითონი არიან სუფთა ცხოვ-  
რებით, გლახაკთ-მწიკობით, მკურნალობით და ცოდნით.

ეს მართალი მოსაზრება არის გიორგის მხრით, სწო-  
რეთ რომ პატრები ასეთ ღირსების მექან გაამათ ირიცხუ-  
ბოდნენ და ამიტომაც იგინი ღირსნი იყვნენ იმ პატრიარქის-  
მის, რასაც მათ მეუფემ დაწყობილი ხალხმდის უჩენდნენ.

პატრი დამიანე ანკოლელი დიდათ გაამხნევა ნიკოლამ,  
აუწყა მეუფე გიორგის ბიოგრაფია და კითარება ქართლის სა-  
მეუფისი. პატრს ესამოგნა. მეუფემ მალე იხმო პატრი და ნი-  
შნათ თვისის პატრიარქისცემისა წელიწადში ჟამაგირათ დაუნიშნა  
300 მანათი, როგორც ეს წესად დაედგინა მეუფე ერეკლეს. ამა-  
თი ჟამაგირის დანიშნის დრო 1760 წ. მიეწერება, როცა  
თფილისში ჭირი გაჩნდა და პატრებს ქართველნი ახალციხეში  
ეკედრებოდნენ, რომ ოღონთ დაბრუნდით თფილისში და ეკ-  
ლესიის აღდგენას და ხატ-ნიკეთების დაბრუნების გარდა წლიურ  
ულუფასაც დაგინიშნათ.

პატრი დამიანეს კძლეოდა ულუფა მეუფესაგან და ულუფას

გარდა საჩუქრების, ამან ძრეულ მალე შეისწავლა ქართული ენა, ენის პრაქტიკა რომშივე ჭქონიყო, ერთი წლის განმავლობაში ამან მშვენივრათ დაიწყო ქართულს ენაზე საუბარი და ქადაგება მრეკლში. განთქვა ამის სახელიც მამინ ისევე, როგორც პატრი ნიკოლასი. დამიანე ანკლელი დადიოდა ქართველთა სკოლებში და სხვა და სხვა საგნებსა და ლათინურს და ფრანგულს ენასაც ასწავლიდა. ნამეტურ ამასთან ხშირათ დაიარებოდნენ ბატონიშვილები და მისგან ცნობილობდნენ სხვა და სხვა კეროპიულს საგნებს.

ქართველთა მამინ რესპუბლიკა გაიციხეს, ამობენ მკაკალინი, ზოგნი ამასაც-გი ითხოვდნენ გიორგი მეფისაგანაო. ეს ჭეშმარიტება არის, პატრი ნიკოლას და სხვების მეოხებით ქართველნი არამც თუ რესპუბლიკის წესებს სცნობდნენ, არამედ კოლტერის ნაწერებსაც-გი აუწყებდნენ ქართველთა, ამათ კოლტერის ხსენება ისე განაკრცეს საქართველოში, რომ „კალმასობის“ თქმით, საქართველოში კოლტერის ჭაზრების მიმდევარნი თითით სახვენებელნი იყვნენ. იტყოდნენ ხოლმე, რომ „ავერ ვოლტერის ჭაზრების მიმდევარიო“. ამას გარდა ბეკრი კიდეც სხვა რამ ცოდნანი შემოჭქონდათ მათ ქართველ ბატონიშვილებში. პატრებთან დაახლოებული კავშირი ჭქონია თვით ალექსანდრე ჭავჭავაძესაც, პატრ ნიკოლასთან ეს ხშირათ დაიარებოდა ხოლმე.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში მთავარმართებლათ დაინიშნა რუსეთში გაზდილი ციციშვილი. ამ პირს პატრები ეახლნენ, მთავარმართებელმა დამიანე ანკლელს ფრანგულათ დაუწყო საუბარი, პატრმა-გი ქართულათ დაუწყო პასუხის მიგება. მთავარმართებელი გაკვირდა პატრის ასე კარგათ ლაპარაკის გამო. ჭკითხა პატრს: ეგრე კარგათ, ზედმიწევნით და მშვენივრათ ქართული ენა როგორ შეისწავლეო? პატრმა ცნობები აუწია. მთავარმართებელთან პატრებმა ჭკვიანათ დაიჭირეს საქმე. ეს მიზეზი იყო, რომ მთავარმართებელმა ამათ ჯეროკანი პატრივი აგო და მეფეთაგან მი-



ნიჭებული უზიარატესობა, ხმა, გაკლენა და შემძლებლობა ბეკრათ გაუფართოვა. მრავალთა უკვირდით ესეთი საქციელი მთავარმართებლისა. ამ დროს თფილისში სცხოვრებდნენ პატრი ნიკოლა, ფილიპე, ანდრია, მარიოსი, იაკობი, დამიანე და სხვები. ამავე დროს მთავარმართებელს სტამბოლიდამ წერილი მოუვიდა რუსეთის ელჩისაგან და ეს სწერდა, რომ თფილისიდან ფრანგის პატრები საქართველოს ცნობებს სტამბოლში მყოფ ფრანცუზების კონსოლს ატყობინებენ და ამიტომ სდევნეთ ეკენიო. სხვათა შორის პატრი ნიკოლა დაუჭერათ, ამის ამბავს რომის პაპიდის მალე მიუღწევია. პაპს თხოვნა გამოუგზავნია და ნიკოლას განთავისუფლება უთხოვინია. ამის შესახებ დიდთ უძეცადინია დამიანეს. დამიანე ანკოლელი დიდი სათნოების კაცი იყო, მადლის გონების და ცოდნის, დიდი მოყვარე, მოსარჩლე და მოყარველი ღატაკთა, ეს გარდაიცვალა პირველ რუსობის წლებს. ერთობ მალე, ამის ალაგზე დადგენილ იქმნა პატრი ფილიპე. პატრ ფილიპეს გარდა მეფე ერეკლეს დროს პატრი ფილიპე სხვაც იყო. პატრი ფილიპე იყო თანამედროვე პირი პატრი ანდრეასი, მავროსი და ანტონის. ეს იყო ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენის, მწიგნობრობის და ისტორიის, როგორც სხვა პატრები ესეც განვითარებულყო ექიმობაში, დიდხანს სცხოვრებდა ახალციხეში, ამის დახმარებით ახალციხიდან გაიგზავნენ მრავალნი ქართველთა ძენი რომში, პაპის პროფაგანდოში სასწავლებლათ, ახალციხეში ფილიპეს ბეკრი რამ გაუკეთებია, მერე მეფე ერეკლეს კარზე გადმოვიდა და დროებით დოქტორ რეინგესის და მეფის მთარგმნელათც იყო. ამავე პატრმა გამოწურთნა შესანიშნავი გვამი არქიმანდრიტი ფილადელფოს კვიანაძე და ბეკრიც სხვანი შემხნეულნი გვამნი ქართველთა და თანამბაძველნი ანტონ პირველ საქართველოს კათალიკოზისა. პატრი ფილიპე გარდაიცვალა 1795 წ. ამ დიწსეულ გვამის ცხოვრების ცნობები ჩანთქა ქართველთა 1795 წ. უბედურმა შემთხვევამ და მრავალი რამ ცნობები და ჭთარა შავმა ნისლმა.

პატრი ნიკოლა იყო ტომით უცხო, მაგრამ გულთ ქართველი, მომხრე იმ ერის და მრევლის, სადაც ეს მსახურებდა, რომელ ქვეყანაშიაც ეს სტახოვებდა. ამ ექიმ-პატრს ბევრი ამბები გადასდენია, ბევრი რამ ამბები უნახავს, ბევრი რამ თავგადასავალი, მაგრამ ამ ამბებთა ცნობები ჩვენში სულ არ დაჩენილა, უამთა ვითარების ბნელს მიმდინარეობას ყველაფერი ჩაუნთქავს. დაჩენილა თითო-ორი ცნობები რომში და საქართველოშიც, საქართველოში დაჩენილის ცნობების ზოგი ცვალებით მოთავსებულია „კავკასიის აქტებშიც“.

უწიან, რომ პატრმა ნიკოლამ აღწერა მთელი საქართველოს კათოლიკობა, დაწერილებით აღუწერია გორის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიის დაქტევის და განახლების საქმეც, რომელ ძველი ეკლესიაც XVII საუკ. ნახევარს იქმნა აღშენებული, თლილის ქვით, შემკული ქართულის ნაწილებით, ბიბლიოთეკით, ძვირფასის სამკაულებით და სხვებზე მრავალ მნიშვნელოვანი. მაგრამ საუბედურთ, ეს ძველი ნაშთიც დაიქცა უმეტარ ქართველთა ხელით. დღევანდელი გორის ეკლესია ახლად არის ნაშენი, აქ რამე ჩვენის ისტორიის მასალებისა არაფერია დაცული, ამ ეკლესიის შრომაზედაც საკმარისი შრომა მიუძღვის პატრ ნიკოლასა. ამის გარდაცვალება მიეწერება 1815—17 წლებს.

ზ. პ.

1887 წ.

შეცდომა. ერთ ფურცელზე შეცდომით მოხსენებულია, რომ ეკლესია აწყურს გააკეთეს, ამის მაგიერ ახალციხე უნდა იქონიოთ სახეში.

\*) ამ წიგნში მოთავსებული ზოგი ცნობები მივიღე პატივცემულის ბ. ლევან პავლეს ძე მჭედლიშვილისაგან, რაისა გამო ეძღვნის წრფელი მადლობა.

## მზადდება დასაბეჭდათ:

1. პატრი ტულუკაანთ დაეითა და 1733—1793 წლებში რომში ქართული წიგნების ბეჭდვა.
2. ქართველი კათოლიკობა 1150—1625 წლებში, პირველი წიგნი.
3. ქართველი კათოლიკობა 1625—1755 წლებში, მეორე წიგნი.
4. ქართველი კათოლიკობა 1751—1878 წლებამდის, მესამე წიგნი.

## ზ. ზიზინაძე

კუკიაში, მეორე თემანოვის ქუჩა, სახლი 30 №-რი. აქ ისეილება მის მიერ ყველა გამოცემანი, ვინც ათ ცალს ერთად იყიდის, იმას მანათზე 30 კაპ. დააკლდება, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ აღრესით მომართონ: *Въ Тифлисе, З. Чичинадзе.* მეტი არა უნდა-რა, აღრესი მარტივას.

## იაფი სამკითხველო

1897 წლიდამ, აქვე დაარსდება იაფი სამკითხველო, სადაც მოპოვებულ იქმნება ყველა ქართული გამოცემანი.

ფასი 20 კაპ.